1913 წელს ქართული საზოგადოება აღფრთოვანებით ასმება ნაწიკრებებს „აბესალომთან“. პარტეტურაზე დაძაბული მუშაობა 1915 წლამდე გაგრძელდა. ოპერა დასახლს მოუახლოვდა. შემოქმედებით აღსვლების ბედნიერი წუთებს განიცდიდა კომპოზიტორი. და აი, ამ დროს, ულ-მომბედა შედისწარა ამ საშინელი ტრაგედია და დატკბარა ფალანგიშვილის ოჯახში. 1915 წლის გარდაცვალება ზაქარიას ერთადერთი შვილი, მისი იმედი და სუკეში, პატარა ერკლე. კომპოზიტორი გამოეთიშა შემოქმედებას, ცხოვრებას, სამიანებს, სასოგადოებას. გულისწუხობა, სასოწარკითხობაში, დარდას სრულიად შევსავს მისი წარმოდგენა წუთისოფლიც. 2 წელიწადი გრძელდებოდა ეს დამატანჯალი დიფერესია. რა გაუქარებდა დარდას და მწუხარებას? მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედება, დაობლებული „აბესალომ“. ამეორება ივია ზაქარიას იმედი, სუკეში, მისი სისხლი და ხორცი. კვლავ ამბოვანად ფორტეპიანო, გადაიშალა მივიწყებულ კლავირის ფურცლებში, მის გარეკანზე განდა გულწაბრობითი კომპოზიტორის ხელი მიწერილი ამაღლებული წარწერა: „ძველად დიდსივითა ყრბის — ირაკლის უმანკო სულისა მამამისის ზაქარია პეტრეს ძე ფალანგიშვილისაგან“. ამ კლავირის ხელნაწერი სათუთად არის დაცული ზაქარიას სახლ-მუზეუმში. შემოქმედება თანდათან ჩააყვია კომპოზიტორი დაუცხრომელი მოღვაწეობის კალაპოტში. ახლოდებოდა ქართული მუსიკის დიდი ერთობლივი ზეიშის დღე — „აბესალომ და ეთერი“ სუცხროვი ნათლობის დაუვიწყარი წუთები. ეს მოხდა 1919 წლის 21 თებერვალს. ვინ იყვნენ ზაქარიას გენია-რობების შემსრულებელი სულისამადგმელები? დიდირობობდა თვით ზაქარია, რეჟისორი ალექსანდრე წიწუნავა, მსატკარი ზალომანი, ქორეოგრაფი ხ. ვაკარაძე, მთავარი მოხების შემსრულებელიც: ეთერი — ო. ბატუგაშვილი-შულგინა, მურმანი — ს. ინაშვილი, აბესალომი — ზალომ-სკი. რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ კი დიდებული მომ-

ღერქვის ანსამბლს — ო. ბახტაშვილ-შულგინასა და სანდრო ინაშვილს მხარში ამოუდგა ვანო სარაჯიშვილი. ადგილი წარმოსადგენია „აბესალომ და ვთერის“ იმ სპექტაკლების ძალა და სიდიადე, რომლებმაც ქართველ-მომღერალთა ეს ბრწყინვალე თანავარსკვლავედი ელვარებდა.

სახლ-მეზუვემის ეს დარბაზი „აბესალომ და ვთერის“ დადგემის ისტორიის სავანედ იქცა. ათავალიერებთ ამ ექსპოზიციას დიკრიბებთ თბილისის საოპერო თეატრის დიდ მატინაჟში. რამდენი შესანიშნავი აბესალომის ციციკომიდა მის სცენაზე! ამ მათი პორტრეტებიც ვანო, ნოე ქუშიას-შვილი, დავით ანდელუძე, ზურაბ ანჯაფარიძე... თითოეულმა მთელი თავისი არსება ჩააქსოვა აბესალომის მთელვარე რომანტიკულ სამყაროში. რამდენმა ქართველმა მომღერალმა ქალმა განიცადა ვთერის მიმეფ ხვედრი. ვინ დაივიწყებს სანდრო ინაშვილის, პეტრე ამირანაშვილის, დავით გამრეკელის, ბათუ კრავიშვილის მურმანს?

რამდენმა დიდიოვრმა, რეჟისორმა და მხატვარმა სცენადა ახლებურად გადაეწყვიტა „აბესალომ და ვთერის“ სეპენური სიცოცხლე. მხოლოდ ჭეშმარიტმა ნიჭიერებამ შეძლო ეს უმადელად და რთული მწვერვლის დაპირობა. დღესაც გრძელდება „აბესალომ და ვთერის“ მუსიკალურ-სეპენური კონცეფციის განხორციელებისათვის ახალი საშუალებების ძიება. ქართველ ხელოვანთა ახალი თაობა იზრდება და ვაჟაკებდა ამ პარტიკულარულ შესწავლა-წარმოსახვაში, წარმოსახვა-წარუმატებლობის ტილიძეში.

სახლ-მეზუვემის ამავე დარბაზში უხვად არის წარმოდგენილი მასალა (მოლოცვები, დეპეშები), რომელიც 1919 წლის 25 თებერვლისა და 1925 წლის 12 აპრილის ზაქარის საიუბილეო საღამოებს მოგვამოგებს. ქართველმა ხალხმა დიდის მადლიერებით აღნიშნა ნ. ფალიაშვილის ჯერ 25 და შემდეგ 30 წლიანი მოღვაწეობის თარიღები. 1919 წელს თბილისის კონსერვატორიის საბჭომ ამავე კონსერვატორიის რექტორი — ნ. ფალიაშვილს პროფესორის წოდება მიანიჭა. 1925 წელს კი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

სავაგონოვე ექსპოზიციის ეს კომპლექსი მოიცავს კომპოზიტორის შემოქმედების შემდეგ პერიოდსაც. ეს გახლავთ „დაისზე“ და „ლატავრასზე“ მუშაობის ხანა. ფოტოგამოფენაში წარმოდგენილია ყველა ის ხელოვანი, რომელსაც თავისი წვლილი შექმონდა ოპერა „დაისის“ პირველ (1923 წლის 19 დეკემბერი) და მომდევნო დადგებში. ვეგნობით 1928 წლის 16 აპრილს ოპერა „ლატავრას“ პრემიერის მონაწილეებსაც. გ. გუნია, ალ. წუწუნავა, ა. ახმეტელი, მ. კვალაიაშვილი და სხვა მოღვაწეები იყვნენ „დაისის“ და „ლატავრას“ სცენური მოღვაწის მკვლევარი. აქვე ამონაწერები პრესიდან, სპეციალისტთა აღფრთოვანებული რეაქციები. გამოფენის ამ კუთხეთი ყურადღებას აქცევს ზაქარის მეგობრის ნ. ი. ხუციანთის მწვერვლი პორტრეტი. სწორედ მას უძღვნა კომპოზიტორმა ოპერების „დაისი“ და „ლატავრა“. მისივე არსებით არის შთავაზონებული ნ. ფალიაშვილის ინსტრუმენტული პიესები და რომანსები. გამოფენილია ამ კლასიკების ხელნაწერები და ნ. ფალიაშვილის ოპერების დადგებისათვის სხვადასხვა მხატვრების მიერ შესრულებული მაკეტები, ესკიზები. იქვე ვითარებული ციტატას პროფესორ გ. დონაძის ფუნდამენტური მონოგრაფიიდან „ზაქარის ფალიაშვილი“: „აბესალომ და ვთერის“ ეპიკური სიდიადით აღმდგენი მუსიკალურ ტრაგედია წარმოადგენს და ძველი ქართული ხელომთმოდებრის გრანდიოზული ძეგლების მსავსად, ხალხური გეოსის ჭადრაკ ქედებზეა აღმართული. „დაისი“ უმთავრესად ლირიკული დრამა, მაგრამ არა ინტერირის თოს კედლებში ჩაკეტილი, არამედ ჟანრისა და პიესაჟის მშვენიერ კოლორიტულ ფონზე გაშლილი. გრანდიოზულ

მუსიკალურ ფრესკა — „აბესალომ და ვთერის“ მკვეთრად დაუპირისპირდა ღრმად მგრძნობიარე ოპერა-პოემა, რომელიც ხიზლავს ადამიანს თავისი სათუთი პოეტური სულითა და ლირიზმით, კომპოზიციის ინივათი მოქნილობით და ფაქტის ოსტატობით.

ექსპოზიციის ამ კომპლექსს ამდიდრებს თ. თვედარიანის სკულპტურული პორტრეტები „აბესალომ“ და „მურმანი“. აქვეა „ეპიკურიანი“ შთავრებილი ნ. შავჯელიძის ქედებობა, ა. ხ. ფალიაშვილის უკანასკნელი დღეები — ასე ჰქვია უ. ჯაფარიძის სურათს. თანდათან ვუახლოვდებით გამოფენის ტრაგიკულ მომენტს, ცხოვრების გარდევლი დასასრულის ამსახველ კუთხეს. სამკლოვარო დეპეშებიდან, გვირგვინებიდან შემორჩენილი მრავალრიცხოვანი წარწერებიდან გამოსჰვივის ის დიდი სვედა და მწუნარება, რომელიც 1933 წლის 8 ოქტომბრის, დიდი ზაქარის გარდაცვალების დღეს, მთელმა ქართველმა ხალხმა განიცადა. აქვეა კომპოზიტორის დაიბლებული სალირიკორო ჩოხი.

10 ოქტომბრის დამწუხრებულმა ქართულმა საზოგადოებამ დიდი კომპოზიტორი სამუდამო ადგილსამყოფელსავე მიიღო. საოპერო თეატრის ბაღში, თავისი სიყრმის მეგობრის ვანო სარაჯიშვილის გვერდით, დაქრძალეს ზაქარია. ვეღარ მოეწყო კომპოზიტორი თავისი ოპერების ტრიუმფულ სეზონს, არ დასცალდა იმ დიდ ზეიმში მონაწილეობა, რომელიც 1937 წელს გაიმართა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში ქართული ხელოვნების პირველი დღეების დროს. იმ დღეებში ცნობილი მუსიკისმცოდნე, პროფესორი ბრალეუდ გახუთ, სოფელსკოე იუსუსტოს“ ფურცლებზე წერდა: „ქართული დედადა გაიხსნა დიდი ქართული კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. ეს ოპერა სამარლილიანდ უნდა ჩაითვალოს ქართული საოპერო მუსიკის მწვერვალად, ხოლო მისი ავტორი თამაზაშვილია დაგაყენოთ უდიდესი მასშტაბის მუსიკოსების გვერდით...“

ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორი ს. გინზბურგის აზრით კი მოცარტის „დონ-ჟუანის“, ბეოპოვენი „ფედელიოს“, ბიუსეს „კარმენის“, ვერდის „ოტელოს“, მუსორგის „ბორის გოდუნოვსა“ და ჩაიკოვსკის „პიკის ქალის“ გვერდით „ყოველგვარი ექვის გარეშე შეიძლება დაგაყენოთ ნ. ფალიაშვილის გენიალური ოპერა „აბესალომ და ვთერის“.

დიდების შარავანდელი მოფენია „აბესალომისა“ და „დაისის“ დიდ ავტორს.

განსაკუთრებულ შემოქმედებას ახდენს სახლ-მეზუვემის შემდეგი დარბაზი. აქ ყოფილა ზაქარიათა ნაწილადღეული განმარტობისა და დასაბოლოო შემოქმედებითი მუშაობის სავანე. დღეს დიდი კომპოზიტორის სამუშაო თაბანი ყველაფერი ისევე გამოიყურება, როგორც მაშინ, ზაქარიათა მშფოთვარე ცხოვრების დღეებში. მასში განსაკუთრებულ მოწიწებით არის დაცული ზაქარიათაველი ნივთები. უმრავლესობად დაქარგა თავისი რელიგიარული დანიშნულება და ხსენვის აღსანიშნავი უტოვებლად იქცა. ამ მასიური საწერი მაგდა, სავარძელი, ფანჩრები, კალმები, საწერი ნივთების გარნიტორი. იქვე დღეს ლისტის პატარა პორტრეტი, კედლიდან შემოგვექვირან მოცარტი და ბეთოვენი, გლინა და ჩაიკოვსკი, რომსკი-კორსაკოვი და ბოროდინი. როგორც ჩანს, მათ ვეებერთელა შემოქმედებით მონაპოვრებს განსაკუთრებით ეთავყვანებოდა კომპოზიტორი. საჯანგეოდ არის გამოყოფილი დიდი ილიასა და სერგი ტანევევის ზაქარიათაველი ფოტოპორტრეტები. ისინი იქმნენ კომპოზიტორის სულიერ მამებად მსოფლმშვედლობასა და შემოქმედებაში. აქვეა აკაკი წერეთლის პატარა პორტრე-

ტი და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა კოლექტიური სურათი. მათთან იდგური სიახლოვე აკავშირებდა ზაქარიას. ამ ექსპონატებში თვალსაჩინოდ გამოსწვივის ზ. ფალიაშვილის მხურვალე პატრიოტული სულისკვეთება.

ამ ოთახის ცენტრში დგას ზაქარიასეული „მოდერნის“ ფირმის რთიალი. პირველად მას უზიარებდა დიდი კომპოზიტორი თავის ღრმა ნააზრევსა და გაცდილს.

სამუშაო ოთახის ყოველ კედელზე ჰქვია პატარა ერეკლეს სხვადასხვა ზომის სურათები. იქვეა დედისეული ძველგური სარკეც, რომელიც განსაკუთრებული სინაზით ჰყვარებია ზაქარიას. „მასში ჩახედვა დედას მაგონებსო“ — გულისტკივილი ამბობდა თურქი იგი. მათ გარემოცვაში მძაფრად იგრძნობა ზაქარიას მოსიყვარულე ბუნება, იგრძნობა ის ადამიანური სითბო და სიფაქიზე, რომელსაც იგი მორცხვად მალავდა გარეგნული თავმჯავებულობის მიღმა.

აი, უბრალო რკინის საწოლიც, რომელზედაც მოხდა დიდი კომპოზიტორის მკვნებარე ცხოვრების დამაგრებების ტრავიკული აქტი. აღარ მოძრაობენ ზაქარიასეული საათის ისრები, 1933 წლის 6 ოქტომბრის 5 საათის შემდეგ სამუდამოდ შეწყდა ამ საათის შეუნღებელი მსვლელობაც.

ზაქარიას კერაში სიცოცხლე გრძელდება... მომდევნო დარბაზში, რომელიც სასტუმრო ოთახის სამსახურს უწყევდა ფალიაშვილების ოჯახს, მუსიკალურია საღონია გამართული. აქ დღესაც ისმის მუსიკა, ტარდება კონცერტები, ლექსი-საუბრები, გრძელდება მომდევნო თაობის მუსიკოსთა მისვლა-მოსვლა. კვლავ ცოცხლობს სტუმართმოყვარეობის ის ტრადიცია, რომელიც მუდამ იზიდავდა ზაქარიასთან სიახლოვის მრავალრიცხოვან მაძიებლებს. დღითიდღე იზრდება მათი რიცხვი. სტუმართა შეუნღებელი ნაკადი ეგნობა დიდი ზაქარიას პიროვნებას, მის მრავალმხრივ მოღვაწეობას.

აქ, ჩვენთან თუ უცხოელი სულგანბული მღერეულებით ისმენს ზ. ფალიაშვილის მუსიკის უკუდავ პანაგებს. ამ დარბაზსაც ამშვენებს ზაქარიას შემოქმედებით შთაგონებული ქართველი მხატვრების ნამუშევრები. აი, ლადო გუდიაშვილის ფერტილო „აბესალომისა და ეთერის შეხვედრა წყაროსთან“, ე. ბერძენიშვილის დრამა „აბესალომისა და ეთერის სიკვდილი“, გ. ოჩიაურის ესკიზი „ზ. ფალიაშვილის საფლავის ძეგლისათვის“, ე. ბერძენიშვილის ესკიზი „აბესალომ და ეთერის“ შესახებ მიმდებინათ-ვის“, იქვეა მხატვარ ი. ასკურავას მიერ დიდის ნატოვანებით შესრულებული მაკეტები და ესკიზები „აბესალომ და ეთერის“ იმ ისტორიული დადგმისათვის, რომელმაც სიცოცხლე მისცა საქართველოს მფორ საოპერო თეატრს ქუთაისში (რეჟისორი გ. გაჩეილიაძე).

„ზ. ფალიაშვილი და ჩვენი თანამედროვეობა“ — ასე ეწოდება სახლ-მუზეუმის მეექვსე დარბაზში მოწყობილ გამოფენას. აქ დაეკლია ზ. ფალიაშვილის ოპერების ადრინდელი და უახლოესი დადგმების მრავალრიცხოვანი აფორები და პრიოგნები, კლაიონები, პორტრეტები, დიდი კომპოზიტორისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, ბროშურები, სტატეტი. გამოფენილია ზ. ფალიაშვილის შემოქმედების მიმდევრთა — მომდევნო თაობების ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა პორტრეტები, ნაწარმოებები. აქედლიდან შემოგვტყვევებს ო. სულავას მიერ შესრულებული ზ. ფალიაშვილის პორტრეტი, რომლის შესახებაც ბელგრადის კონსერვატორიის პროფესორ ლ. მიხალოვს შთაბეჭდილობათა წიგნში ჩაუწერია: „ფალიაშვილი ცოცხალი კაცივით მოგვჩვენებდა პორტრეტებიან, იგი გამოიწვევის როგორები ვართ ჩვენ, ახლანდელი თაობა, რომლებმაც კიდევ




იენა და ზაქარია ფალიაშვილები — ლ. აღინაშვილის გენდის წიგნები.

უფრო შორს უნდა წავილოთ ჩვენი დროის ესტაფეტა, ამიტომ მისი გამოხედვა სიმბოლიურად მენიშნა.

სახლ-მუზეუმის ბოლო ოთახი დავითო მდიდარ სეიფს, სადაც ინახება უნიკალური დოკუმენტები, ხელნაწერები, პირადი ბარათები, ძვირფასი საარქივო მასალა. ყოველივე ამანა ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი კვლევითი მუშაობის ცენტრად აქცია.

ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწყვეს. ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა ბიოგრაფიული ცნობანი „ზ. ფალიაშვილი“, „მეგუერი“, „ზ. ფალიაშვილი“, „ი. ფალიაშვილი“. დიდი კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის მიმზადდა მონოგრაფიული ხასათის შრომა — „ზ. ფალიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამასხველი მასალები“. სახლ-მუზეუმის ერთგულ შემოქმედებით კოლექტივთან კავშირში საქართველოს სსრ კარლ მარქის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ 1966 წელს გამოსცა „ზ. ფალიაშვილის ბიბლიოგრაფია“. თანდა ამისა, მუზეუმის შექმნის დღიდან მის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულია 100-მდე საინტერესო მასალა — სტატია, ახლად მიკვლეული დოკუმენტები და სხვა. ღრისეულად შეფასდა სახლ-მუზე-



ზ. ფალიაშვილის მამა — პეტრე ფალიაშვილი.



ზ. ფალიაშვილის დედა — მარიამ მესტიამციელი.

უმის სანიმუშო მოღვაწეობა. იგი არაერთხელ დაჯილდოვდა საკავშირო და საქართველოს კულტურის სამინისტროების საპატიო დიპლომებით, რომელნიც იქვეა გამოფენილი.

სახლ-მუზეუმის მთელ ამ უაღრესად ინტენსიურსა და ნაყოფიერ მუშაობას წარმართავს ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ვაჟა ჩინჩალაძე. მართლაც რომ სამაგალითოა მისი ენთუზიაზმი, მხურვალე პატიოტული დამოკიდებულება ზ. ფალიაშვილის შემოქმედების, მისი კერისა და სასოგადოდ ეროვნული მუსიკალური კულტურის მიმართ. არსებითად მისი დაუღალავი მუშაობის შედეგად მოხერხდა ამ მდიდარი გამოფენის ორგანიზება. აღსანიშნავია ისიც, რომ სახლ-მუზეუმის დაარსების დროს მის ხელთ იყო მხოლოდ 11 ექსპონატი, დღეს კი მუზეუმში 1.120 ექსპონატია გამოფენილი. სახლ-მუზეუმის საერთო ფონდის ოდენობა 3.906 ერთეულს უდრის, აქედან მეორიან-ლურია 3.234. ყოველივე ამის მიკვლევა და თავმოყრა სწორედ ვ. ჩინჩალაძის თავდადებაზე საქმიანობის შედეგია. როგორი მზრუნველობითა და მოერაბლებით დასტრიალებს იგი თვითველ ნივთს, ფოტოსურათსა თუ ხელნაწერს, როგორი სიყვარულითა და სინაზით უვლის ზაქარიასეულ სახლ-კარს, როგორ მხურვალედ განიცდის ყველაფერს, რაც ზაქარიას სახელთან არის დაკავშირებული. აოდენ ღრმად და საუფქლიანად იცნობს ვ. ჩინჩალაძე სამუზეუმო ხე-

ლოვნების სპეციფიკასა და ტრადიციებს. თვალსაჩინოა მისი ორგანიზატორული ნიჭი, მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი შეგრძნება, უანგარო და მუსყაითი საქმიანობა. ამჯერადაც მოვლენათა ბედნიერ თანხვედრასთან გვაქვს საქმე — შეილივით პატრონობს ვ. ჩინჩალაძე ზაქარიას დიდებულ კერას. კვლავ გრძელდება ზ. ფალიაშვილის ექსპოზიციის გამდიდრება. ვ. ჩინჩალაძის სიხარულსა და აღფრთოვანებას არა აქვს ხოლმე საზღვარი, როდესაც იგი ზ. ფალიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ რაიმე ახალს მიაკვლევს. ამჯერადაც, აღნიშნულ წერილზე მუშაობის დროს ვ. ჩინჩალაძემ მისთვის ჩვეული მღვლეარებია და გატაცებით გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილება. ჩვენც დიდ მადლობას ვუცხადებთ მას დახმარებისა და ხელის შეწყობისათვის.

რალა თქმა უნდა, შეუძლებელია ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის მდიდარი და მრავალსახოვანი სამყაროს ამომწურავად წარმოდგენა. შეუძლებელია იმ განწყობილებების გადმოცემა, რომელსაც ზაქარიას ჩაუქრობელ კერაში განიცდის კაცი.

თვალსაჩინოა მხოლოდ სურვილი — დიდების შარავანდელი ეფინებოდეს მრავალკამიერ ქართული მუსიკალური კულტურის ამ წმინდათა წმინდა სავენს!

კონკრეტული ბიოგრაფიული

იზა ნადირაძე

ხუთი წლის ზაქარიამ დაიწყო მემკვიდრეობის გამოჩენილი ქართველი პიანისტის ალოიზ მიხანდარის მხასთან ფელიქს მიხანდართან. რვა წლისამ ეკლესიაში, შობა ღამეს „იესოს ნანი“ ივალდა. მშვენიერი დისკანტითა და მუსიკალური მიზნითა მსმენელი, უმაღლე მიიპყრო საერთო ყურადღება. ორღანისა და ფიშკარ-მონიაზე სისტემატურად უკრავდა ჰაიდნისა და ბახის ნაწარმოებებს. 1887 წლიდან თბილისში ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში ორღანის-ტის მოადგილედ და მაგალობად მუშაობდა, პარალელურად ლ. აღ-ნიაშვილის გუნდში მღეროდა, სადაც ჩაესახა სურვილი ქართულ ხალხურ სიმღერას თვით ხალხში გასცნობოდა. მალე ზაქ. ფალიაშვილმა ჩამოაყალიბა ქალ-ვაჟთა გუნდი და მარ-თავდა კონცერტებს მუშაობა უბნებში. მისი თაოსნობით დაიდგა საოპერო სპექტაკლები, ფორტეპიანოს თანხლებით. აი, მაშინდელი მოწინავე საზოგადოების აზრი ზ. ფალიაშვილზე. „12 თებერვალს თბილისის საკრებულოს დარბაზში დანიშნული კონცერტი ზაქ. ფალიაშვილისა, რომელიც უკანასკნელ ხანს საქვედომოქმედო კონცერტებში მონაწილეობას იღებდა თავისი ხროთით, ამ ყმაწვილმა კაცმა დაამთავრა სამუსიკო სასწავლებელი და რუსეთს მიდის...

ჩვენს საზოგადოებას ასეთი მწყობრი გალობა ჯერ არ გაუგონია... როგორც გვეცმის, მუსიკის მცოდნეთაგან, ფალიაშვილს ემჩნევა საიმედო შრომის მოყვარულობა, ნიჭი და მომეტებული მიხედვითა საერთო მოტყუებისა. საზოგადოება, როგორც ქართველი, ისე სხვა ტომისა, ყოველთვის ემაყოფილი დარჩენილა ფალიაშვილის ხორის გალობით და იმედი აქ ბევრით მოსწავლე კაცს თანაგრძნობას არ მოაკლებს, რომ გზაზედ დამდგარს ღონისძიება მისცეს უმაღლესი სამუსიკო სწავლა შეიძინოს და ამ სწავლისა და შრომის შემწეობით გამოადგეს ჩვენს საერთო საქმეს“ (გაზ. „ივერია“ № 31, 1900 წ., 10 თებერვალი).

„გუმწინე, 21 დეკემბერს წერაკიხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ იმ საღამომ დიდძალი ხალხი მივიხიდა თბილისის საკრებულოში. თვით კონცერტის შესახებ ვიტყვით მხოლოდ, რომ საზოგადოებას მოეწონა ბატონ ფალიაშვილის მიერ საორკესტროდ გადაღებული სახალხო სიმღერები. იმედი ბატონი ფალიაშვილი განაგრძობს ანგვარს თავის შრომას და კეთილად დააკვირვინებს“ (გაზ. „ივერია“, № 275, 1903 წ.).

ზ. ფალიაშვილის იმთავითვე მკაფიოდ ქმონდა განსაზღვრული თავი-

ლი შემოქმედებითი მისია. იგი წერდა: „სამუსიკო ხელოვნებაში, ყველაზე რთული და ძნელი საგანი კომპოზიციაა, რომელიც შემუსიკისაგან მოითხოვს ბუნებრივ ნიჭს, გადაშეტებული მუშაობას და დიდ „პრაქტიკას“. (გაზ. „ისარი“, № 282, 283, 1907 წ., დეკემბერი).

ქართული მუსიკალური ფოლკლორის მეცნიერულ-ვითარებაში კვლევის პროცესში ზ. ფალიაშვილმა მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: „დავიარე მთელი საქართველო და დავრწმუნდი, რომ ქართველები, ერთ ნიჭიერ ხალხთან უნდა ჩაითვალოს სამუსიკო ხელოვნებაში. ჩვენი სიმღერა, გალობის სიმდიდრე იმაში გამოიხატება, რომ, როგორც ხანგი, ისე პარმონია დიდ ინტერესს წარმოადგენს და დიდ მასალას იძლევა მის შესამუშავებლად და მუსიკალური ლიტერატურის გასამდიდრებლად“ (გაზ. „ამირანი“, № 151, 1908 წ.).

„ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ გამოვინათა უკმაყოფილება, რომ ზაქარია ფალიაშვილი ოპერას წერს და მის გამოქვეყნებას კი აქამდე არა ეშველა რა! და ეს ერთნაირ გჭვსავ ბადებდა საზოგადოებაში, მაგრამ საზოგადოებამ სრულიად არ იცოდა ის



ზ. ფალიაშვილი, მისი მეუღლე ელ. უტკინა და ვაჟი ირაკლი.

არანორმალური პირობები, რომელშიც მე მომხსნა ამ ვრცელი ოპერის დაწერა... მე დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდი ხალხურ სიმღერათა პარმონიზირებასა და სტილიზირებას...

რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ხელუხლებლად ვტოვებდი მათში თვით ხალხის მიერ შემუშავებულ ერთეულ იერიანობასა და ტრადიციებს... შევითვისე რა დასავლეთისა



ზ. ფალიაშვილის შვილი ირაკლი.

და რუსული მუსიკალური ლიტერატურის კომპოზიციის მდიდარი საშუალებანი, მე ფართოდ გამოვიყენე ისინი, განსაკუთრებული გულისხმევრებით შერჩეული ხალხური პანგების შემუშავების დროს...

1913 წლის 27 აპრილს, ქართული თეატრის სცენაზე, დაიდგა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ III აქტი, დირიჟორობდა ავტორი.

1959 წელს ქ. კლინიში შეხვედნი პ. ი. ჩაიკოვსკის დისშვილს, ღრმად მოხუცებულ იური ლეოვის ძე დავიდოვს. მან მიაბო: „კიევის საოპერო თეატრში ანტრეპრენიორად ვმუშაობდი, აქვე მოღვაწეობდა დირიჟორად ივანე ფალიაშვილი, რომელთანაც ზაფხულობით სტუმრად ჩამოდიოდა მისი ძმა, კომპოზიტორი ზაქ. ფალიაშვილი, ფრიად ნიჭიერი და საინტერესო პიროვნება. მართალია, ზაქ. ფალიაშვილი ბრწყინვალე დირიჟორი არ იყო, მაგრამ კიევის საოპერო თეატრის სპექტაკლები მისი დირიჟორობით ზემოქმედებას ახდენდნენ. მას მსმენელამდე მოჰქონდა მუსიკის აზრი და სიღრმე, რის გამოც დიდი სიმპათიას იმსახურებდა.“

„ქართული ხელოვნების დღესაწაული“ — ასეთი იყო წერილის სათაური, რომელიც ამ მოვლენას გამოეხმაურა; „ბატონ ზ. ფალიაშვილის შრომა ქართული მუსიკის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელოვანი მოვლენაა, შესანიშნავად ელერს სექსტიტი, საგუნდო სიმღერის ფონზედ, საგუნდო სიმღერები ავტორის უფრო მეტი მოხდენილობით დაუწერია. „ადიდოს ღმერთმა აბო მეფე“ პოლიფონიურად ელერს და დიდებულადაა პარმონიზებული. დაინტრუმენტება ლამაზია და შესრულება საზრიანი, ყოველივე ეს გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ბატონ ზ. ფალიაშვილის შრომა ქართული მუსიკის განვითარების ისტორიაში დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა. („სახალხო გაზეთი“, № 882, 1913 წ.).

1919 წლის 21 თებერვალს ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მრავალმა გამოჩენილმა მოღვაწემ გამოსთქვა თავისი აზრი. ზ. ფალიაშვილის პრემში უმაღლესი შეფასება მიიღო ქართული ხელოვნების — პირველი დეკადის დღეებში მოსკოვში. „აბესალომ და ეთერი“ კლასიკური ნაწარ-

მოება. იგი შეიძლება გვერდში ამოგვეყენოთ მუსიკალური ხელოვნების ისეთ შედეგებს, როგორცაა „აიდა“ ვერდისა, „რუსლან და ლულმლოა“ გლინკასი, „თავადი იგორი“ ბორდინისა“. (გაზ. „პარადა“, 1937 წ., 11 იანვარი).

დიდმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა, პირველმა იწინასწარმეტყველა: „დიდი დღესასწაულია! დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა! დღესასწაული გამარჯვებისა! სარკმელია ვეროპისაკენ! გასაოცარი ლეგენდაა სამშობლო ქვეყნის ძანგებით მოსხვადებული, ვეროპული ოსტატობით

შემუშავებული. მულანდბა და მგონია, ხორცს ისხასს ჩვენი მესიანობა ხელოვნებაში, მსოფლიო ხელოვნებაში. მწამს, საქართველო, ორი დიდი დამოუკიდებელი კულტურის სახელგარზე მდგარი — აღმოსავლეთის გასაოცარი სინოიერისა და ვეროპის გასაოცარივე ოსტატობისა, — თავის არსებაში ამყრობს ამ ორ კულტურას და ოდესმე მისცენს ქვეყნიერებას იმპულსს ხელოვნების აღორძინების ახალი ეპოქის შექმნისათვის, ახალი ვითარებისა და ახალივე აზრით აღვისილობისათვის.

დიდება პიონერს ამ გზით მიმა-

ვალს, დიდება კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს.

„ახესალომის“ გარჩევა მე არ შემიძლიან ვერ ერთი იმიტომ, რომ მუსიკოსი არა ვარ, მეორე და უმთავრესად იმიტომ, რომ მოტრფიალეს არ ძალუძს თავისი სატრფოს ავკარგის აწონ-დაწონვა. მე კი ნამდვილი ტრფიალი ვარ „ეთერისა“.

სამწუხაროდ „ეთერი“ მითია, არც მუსიკაა შენივთებული რამ და ამიტომ არ შემიძლიან მათ ჩემი ბავით შევხებო.

სამაგიეროდ, სულითა და გულით ვეამბორებნი ზაქარია ფალიაშვილს“.

**ზაქარია
ფალიაშვილის
დაკაჟების
100 წლისთავი**

დღიურის ერთი ფურცელი

ვაჟა ჩინჩალაძე

ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიამო თვალსაჩინო ადგილი ეთმობათ ჩვენი სამშობლოს სასიკადალო შეილებს, რომლებმაც განუზომელი შემოქმედებით ამაგი გასწიეს ზაქარიას ოპერების წარმატებისათვის. აი ისინი: ივანე ფალიაშვილი, პეტრე მირიანაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, ივანე ჯავახიშვილი, ილია ზურაბიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ვალერიან გუენია, ვალერიან სიღამონ-ურისთავი — ისინი მთელი არსებით იღვწოდნენ ქართული ოპერის დაბადებისათვის.

ჩვენს ხელთ არის ამ სამაგალითო შემოქმედებითი თანამეგობრობის ამსახველი დოკუმენტები. მკითხველს ვთავაზობთ გამოჩენილი ქართველი რეჟისორის ა. წუწუნავასა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ხ. ინაშვილის წე-

რილებს, რომლებიც ინახება დიდი კომპოზიტორის სახლ-მუზეუმში.

„...მაგონდება ჩემი პირველი შეხვედრა ზაქარია ფალიაშვილთან. ეს იყო 1912 წელს, მაშინ სახალხო სახლში ვმუშაობდი სამხატვრო ხელმძღვანელად და რეჟისორად. ერთ საღამოს, რეპეტიციის შემდეგ, ჩემთან მოვიდა უცნობი კაცი და ზაქარია ფალიაშვილად გამაცნო თავი. ზაქარია უწინ არ მენახა, მხოლოდ გამეგონა, რომ იგი გუნდის ლოტბარი იყო. მან მიაბზო, რომ ოპერა ჰქონდა დაწერილი და მთხოვა დაეხმარებოდი. მე დიდი სიამოვნებით მივეგებე ამ საქმეს. ზაქარია მ გამაცნო თავისი ოპერა „ახესალომ და ეთერი“ და მუსიკალური ილუსტრაცია დაურთო. ამ დროიდან იწყება ჩვენი ერთობლივი მუშაობა „ახესალომ და ეთერ-



დვანანი: შ. აზმაიფარაშვილი, შ. მშველცი; სხედანი: ა. ხოფერი, ზ. ფალიაშვილი.

ზე“, რომელიც, მართალია, სისტემატურად არ მიმდინარეობდა.

1915-1916 წელს „აბესალომის“ მესამე მოქმედება დადგეს ქართულ კლუბში. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

1918 წელს, როდესაც უკვე საოპერო თეატრის დი-

ელ. ჩერქეზიშვილი, ა. ფალავა, ვ. გუნი, ი. გრიშაშვილი, ზაქარია და ვანო ფალიაშვილები.



რექტორი ვიყავი, ზაქარია ფალიაშვილი კვლავ მოვიდა ჩემთან და თავისთან მიმიწვია. ზაქარიასთან იმ საღამოს დამხედუნენ ვანო სარაჯიშვილი და ილია ზურაბიშვილი. ზაქარია უკრავდა, ვანო თავისი წარმტაცი ხმით გატაცებით მღეროდა „აბესალომს“, ილია ზურაბიშვილი აღტაცებული უსმენდა ახალ ნაწარმოებს. ოპერა თეატრშიც მიიტანეს. მრავალი საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია ამ ნაწარმოებმა, მაგრამ თეატრის დასმა შესწავლა იგი; შინაური რესურსებით შეეჭმინეთ დეკორაციები, შევარჩიეთ კოსტუმები, რომელთა უმეტესობა იმ დროს პეტერბურგის ოპერის ნაჩუქარი იყო. მე მხვდა ბედნიერება პირველს განმეორციელებინა ქართული საოპერო ხელოვნების ამ შედეგის დადგმა. ზაქარია ფალიაშვილის გენიით შეჭმნილი მუსიკა აქამდე უბადლო ქმნილებად უნდა ჩაითვალოს ქართულ საოპერო ხელოვნებაში. მისი სურნელება დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და ჩვენი ქვეყნის მუსიკალური საუნჯის ერთ-ერთ ბრწყინვალე მარგალიტად იქცა. უკვე ლოგინად ჩავარდნილი ზაქარია ფალიაშვილი მეორე შესანიშნავი ნაწარმოების ოპერა „დაისის“ პრემიერის დღეს მწერდა:

„მთა ალითა, დღეს ლოგინში მწოლიარე განუზომელი მადლობის მეტს ვერაფერს გეტყვი, ისე იფიქრეთ, რომ ვითომ დღეს მეც თქვენთან ვარ თეატრში და ვუწუხერ იმ არაჩვეულებრივად ნიჭიერ დადგმას ჩემი „დაისისს“, რომელშიც პირველობა შენ გეკუთვნის!“

მართლაც, დიდი კომპოზიტორის თქმის არ იყოს, აღექსანდრე წუწუნავას მიერ დადგმული „დაისი“ დღესაც მიუწვდომელ მწვერვალად დარჩა ქართული საოპერო რეჟისურის ისტორიაში.

სანდრო ინაშვილი მოგვიხსნობს: „ზ. ფალიაშვილს 1908 წლიდან ვიცნობდი. მაშინ გუნდში ვმღეროდი, ხოლო ზაქარია თბილისის ქართული „ფილარმონიული საზოგადოების“ დირექტორი იყო. ჩვენს მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა ზუბალაშვილის სახალხო სახლში, სადაც ხშირად

გმონაწილეობდი კონცერტში. ეს კონცერტები ზაქარიას დიდ ყურადღებას იპყრობდა. მასხოვს, 1912 წელს ვანო სარაჯიშვილი და მე ზაქარიამ თავის ბინაზე მიგვიწვია და გაგვაცნო ნაწყვეტები მომავალი ოპერიდან. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ნამდვილი მეგობრობა და გატაცებული მუშაობა „აბესალომზე“. ზაქარია წერდა, ჩვენ კი ვასრულებდით ყოველ ნაწყვეტს. მაგონდება სოსო გრიშაშვილის საღამო, რომელზეც ვანო სარაჯიშვილი და მე ვასრულებდით აბესალომისა და მურმანის დუეტს. მსმენელები აუწერელი აღტაცებით შეხვდნენ ზაქარიას დიდებულ ქმნილებას. იმ საღამოს შთაბეჭდილება დღესაც არ გამჭრავს და მრავალს ახსოვს. ეს იყო დასაწყისი გენიალური ნაწარმოების შემდგომი ტრიუმფისა.

უნდა აღინიშნოს ვანო სარაჯიშვილის დიდი დამსახურება „აბესალომ და ეთერის“ შექმნაში. ვანომ შესანიშნავად იცოდა ქართული ხალხური სიმღერა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვის გამოთქმას. იგი იტყვოდა ხოლმე: ისე უნდა იმღერო, რომ ადამიანს ქართული ჰანგი შიგ გულში მოხვდესო.

კიკაშოს სახე ოპერა „დაისში“ ჩემს მიერ არის შექმნილი. მუდამ ცდილობდი ყოველი სიტყვა მიმეტანა მსმენელამდე. თვითონ ზაქარია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სპეციფიკურ ქართულ მეტყველებას და ყოველთვის აღნიშნავდა ვანოსა და ჩემს შესრულებას.

დღეს, როდესაც ჩემს განვილილ ცხოვრებას ვიფიქრებ, ვამაყობ, რომ წილად მხვდა იმ გმირების პირველად განსახიერება, რომელთა შექმნაზე ასე ფაქიზად მუშაობდა ჩვენი დიდი, გენიალური ზაქართა!.



ვანო და ზაქარია ფალიაშვილები, ბათო აბაშიძე. ბორჯომი, 1925 წ.

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

მობვიტსრობს პირველი ეთერი

ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა

ჩვენთვის უცნაოა მკითხველს ვთავაზობთ გამოჩენილი ქართველი მომღერლისა და პედაგოგის ოლღა ბახუტაშვილი-შულგინას სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა რუსულ ენაზე 1948 წელს ზ. ფალიაშვილის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო. სიტყვის ქართული თარგმანი ეკუთვნის ილია ზურაბიშვილს. იგი დაცულია მის პირად არქივში საქართველოს სსრ ლიტერატურულ მუზეუმში.

ზაქარია ფალიაშვილი ეკუთვნის იმ რჩეულ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც მოწოდებულნი არიან შეასრულონ საზოგადოებრივი ცხოვრებაში განსაკუთრებული მისია და თა-

ვანთი მოღვაწეობის სფეროში ეპოქა შექმნან.
ერთ-ერთი პირველი ქართული ოპერის „აბესალომ და ეთერის“ შექმნის პერიოდი — დაახლოებით 8-10

წელიწადი აღინიშნება როგორც ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი.
ზაქარია ფალიაშვილს წილად ხვდა ბედნიერება გამმადრიყო მშობ-

ლიური ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ნამდვილ ქართულ ეროვნულ ოპერას და ააგო ისეთი თეატრი და ისეთი დიადი შენობა, როგორც არის „აბესალომ და ეფრეა“. იგი საუკუნეებს გაუძლებს და სახელმძღვანელო მაგალითი იქნება ქართველი კომპოზიტორების ყველა თაობისათვის.

ჩემს ამოცანას არ შეადგენს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების დეტალური შეფასება... ამაზე საკმაოდ თქმულა და დაწერილა (ი. ზეარაზიშვილი, შ. ახალაიშვილი და სხვ.) და კვლავ ბევრს დაწერენ მუსიკოსები, საეტიკოსები... მე ამჟამად ვლაპარაკობ ზაქარია ფალიაშვილზე, როგორც მისი თანამედროვე, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა შეხვედროდა კომპოზიტორს თავისი ცნობრებისა და სასცენო მოღვაწეობის გზაზე, ყოფილიყო მისი ეთერის პირველი შენარჩუნებელი, მასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით შეეთვისებინა ოპერის მუსიკალური ტექსტი და ზიარებოდა მის შემოქმედებას.

კარგად მახსოვს ოპერის სცენაზე „აბესალომ და ეფრეა“ პიროველი დადგმა, რამაც აღტაცება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში.

ყოველი საერთო სამიწლიერ ვარჯიში, ყოველი რეპეტიცია გვიცხოველებდა პასუხისმგებლობას მომავალი წემისათვის.

დასადგმელად მზადდებოდა პირველი ქართული ოპერა. ლამაზ ლეგენდზე აგებული სიუჟეტი ეროვნული იყო, ლიტერატურული ტექსტის ავტორიც პეტრე მირიანაშვილი — ქართველი.

მთავარი პარტიების ყველა შემსრულებელი ქართველი იყო.

ოპერის დამდგმელს რეჟისორ წუწუნავას უნდა აეზებრებინა ჩვენი და ყველა ქართველის გული.

გენერალური რეპეტიციის დღისათვის სულიერმა დაძაბულობამ კლუბინაციას მიაღწია. მით უფრო, რომ ერთ-ერთი თავგამოდებული თავყანის სულიერმა და პროპაგანდისტმა ამ ოპერაზე — ჩვენი ქართველი სტალინი — იღოა ზურაბიშვილი გახლავდა, რომელიც რეპეტიციებს ესწრებოდა და პირველმა პირველთა შორის შეაფასა ამ ოპერის მშვენიერება, მისთვის ჩვეული ექსპანსიურობით ამ ოპერისადმი ინტერესს თესავდა

ქართველი საზოგადოების ყველა წრეში, სადაც კი მისწვდებოდა, და დავას უმართავდა ყველა დამკვეთულს.

ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ გენერალური რეპეტიციის დღისათვის ქართველი საზოგადოების სულიერმა აღტაცებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ამ ზეიმის ყველა მონაწილე, ყოველი ჩვენგანი, ვისაც წილად გვებდა პარტი და პასუხისმგებლობა ქართველი საზოგადოების ფართო ფენებში გაგვეტანა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება, მისი პირში შენიღბა, რასაკვირველია, ყველაზე მეტად ვლელავდით...

... ამავე დროს თვით ავტორს არ ზოგავდა არც თავის ძალღონეს, არც დროს. და ეს გასათყარა შრომისმოყვარე ადამიანი ყოველთვის მზად იყო ამა თუ იმ პარტიასზე სამუშაოდ, არა მარტო ოპერის წამყვანი პარტიების შენარჩუნებლათან, არამედ გუნდის თვითველ წევრთანაც კი.

ზაქარია ფალიაშვილმა იცოდა, რომ შრომა ასაზრდოებს ნიჭს, ვით საქმელ-სამგელი ორგანიზმს.

იგი იყო განსაკუთრებით შრომისუნარიანი შემოქმედი, რომელიც ყველადათვის სახელმძღვანელო მაგალითი უნდა იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ფალიაშვილი თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი იყო. ის ერთი ფაქტი:

ეთერის არია პირველ სურათში თავებუდა პირველი ოქტავის სოლო ნოტიო.

ასეთი დასასრული, უმთავრესად ვოკალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, შეუსაბამოდ შეჩვენებოდა, ვაგებდ და ვუთხარი ზაქარიას, — გაეშურ გრძინობას უფრო მეტყველად და უფრო ბუნებრივად ჰქონს ხმა მაღალი თავისმიერი რეგისტრის გამკვირვალე ნოტიო გაცემებით უკეთესად გადმოსცემს, ვიდრე საშუალო რეგისტრის ნოტიო-მეთუი. ყურადღებით მომსმინა, იმ წამვე რიალდით მივიდა და მთხოვა დამემთავრებინა არია ისე, როგორც მე გველუსმომობდი. მერე მოხორა, ასე სჯობიაო, და იქვე შეიტანა შესწორება თავის პარტიასში.

ბევრი რამ შეიძლება გაიხსენოს ადამიანმა და ბევრი რამ ითქვას ქართული საოპერო ხელოვნების ამაგდარზე, მეტადრე იმ შობამეტილებზე, რომელიც პირველმა წარმოდგე-

ნებმა მოახდინა საზოგადოებაზე. მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ინტერესი ოპერა „აბესალომ და ეფრეა“ადმი — დღითი დღე იზრდება.

ამ ოპერის პირველი წარმოდგენის შემდეგ სათელი გახდა, რომ დაინადა ქართული კლასიკური ოპერა, საფუძველი ჩაეყარა ქართულ აკადემიურ მუსიკას, რომ ზაქარია ფალიაშვილმა ხალხურ მუსიკაზე დამყარებით გამოიქმნა პარნოხიული, დასვეწილი და ეროვნული ნაწარმოები, რაც საშუალებას გვაძლევს ვახავსახვათი იგი ყველა სხვა მუსიკოსსაგან — ეს იქნება რუსული თუ იტალიური, ფრაგული თუ სხვა. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ზაქარია ფალიაშვილმა მოიოქმედა საქართველოსათვის ის, რაც თითქმის ასი წლის წინათ გააკეთა რუსეთისათვის გენიოსმა რომელსაც კომპოზიტორმა გლინკამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსული მუსიკის აღორძინებასა და განვითარების მთელ პერიოდს.

... და აი ახლა, როდესაც აღენიშნავთ მისი გარდაცვალების მგათ წლისთავს, გულსტკივილით ვამბობთ, რომ ასე უდროოდ წავიდა ჩვენგანს.

რამდენი დიდი კომპოზიტორი, თუნდც ვეროპოლია შორის, — როსინი, გუზო, ვერდი, ვაგნერი გარდაიცვალა მხოლოდ ღრმამ მოხუცებულობაში. ვერდიმ თავისი „ოტელო“ შექმნა, როდესაც უკვე 75 წლისა იყო, ხოლო ვაგნერმა 80 წლისამ დაწერა თავისი „პარიზეული“. ზაქარია ფალიაშვილი კი დეკარგეთ მაშინ, როცა მისი სულიერი ძალა და შემოქმედებითი ენერგია გაფურჩქნას განიცდიდა... მაგრამ ის, რაც ზაქარია ფალიაშვილმა შექმნიდა დაუტოვა ქართველ ხალხს, რომელსაც მან შესწავლა უკლებლივ თავისი ძალა, მგზნებარე სული და რომლის ხელოვნების საკურთხეველზეც მან აღმართა ორი სრულყოფილი ძეგლი — „აბესალომ და ეფრეა“ და „დაიხი“, საკმარისია იმისათვის, რომ მისი სიხარე ცოცხლობდეს იმ დროში, ვიდრე ქართველი ხალხისათვის მუსიკა იქნება წყარო სიხარულისა და ბედნიერებისა.

მართალი, დიდი კომპოზიტორის სიკვდილის შემდეგ დაიწყო მისი მუსიკის უკდავება.

მოსე თოიძის
დაკარგვის
100 წლისთავი

ხელოვანი პედაგოგი, მოღვაწე

ლეილა თაბუკაშვილი



მოსე თოიძე.

როდესაც თვალს ვავლებთ ქართული სახვითი ხელოვნების დღევანდელ მიღწევებს, გვახარებს მაღალნიჭიეროსტატთა ახალი წარმატებანი, არ შეიძლება მოწიწებით და მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ ის ხელოვანი, ვინაც გაკავალა საბჭოური ქართული ხელოვნების განვითარების გზა, ვისი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა საფუძვლად დაედო მხატვართა მთელი თაობების აღზრდას.

1953 წელს გარდაიცვალა ქართველი საბჭოთა მხატვრების პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო მხატვარი მოსე ივანეს ძე თოიძე. სწორედ ამ წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, ახლა უკვე ცნობილმა მხატვარმა დიმიტრი ხახუტაშვილმა სადიპლომო შრომის სახით შექმნა ჯგუფური

პორტრეტული კომპოზიცია „უხუცესი ქართველი მხატვრები“. ეს ტილო, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებებით გასცდა სადიპლომო შრომის მნიშვნელობას და ქართული სახვითი ხელოვნების ძვირფას ფონდში დამკვიდრდა, სიმბოლურ გამოხატულებად იქცა მადლიერი მოწიწების მოწიწებისა შესანიშნავ ხელოვანთა და პედაგოგთა მიმართ. ტილოზე გამოსახული არიან ისინი, ვისი მოღვაწეობაც დედაბობად დაედო ახალი კადრების დაბადებას, მათ ზრდასა და გამრავლებას. ალექსანდრე ციმაკურიძე, ბორის შებუევი, იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, მოსე თოიძე, ისებ შარღმანი — ეს სახელები ჩვენს მეხსიერებაში აკოცხლებენ არა მარტო მხატვრულ ქმნილებებს, რომლებიც მათ ხელიდან გამოსულა, ისინი უხილავად არიან და-

კავშირებულ ჩვენს მხატვრების დღევანდელ თვალსაჩინო მონაპოვრეთანაც.

ამ ხელოვანთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსე თოიძეს, დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის საყვარელ მოწაფეს, ქართული საბჭოთა მხატვრების შესანიშნავ წარმომადგენელს და დიდად ღვაწლმოსილ პედაგოგს.

მოსე ივანეს ძე დაიბადა 1871 წელს ღარიბი ხელისონი ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და დედამის გასაზრდელად დარჩა ორი პატარა ბავშვი. რვა წლისა იყო, როცა თამბაქოს ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, თან სკოლაში სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სახეივანო-სამშენებლო სახელოსნოში შევიდა და ამ საქმის ოსტატის წოდება მიიღო.

მხატვრობაში მოსე ადრევე იწაფება. ჯერ კიდევ სახელოსნო სასწავლებლის 12 წლის მოსწავლე სახალხო წარმოდგენათვის დეკორაციებს ხატავს, უფრო მოვიანებით მწერლობის საფეხვეთ პორტრეტებს ქმნის. 1890 წლიდან იგი აქტიურად ემგება რევოლუციურ წრეებში და უახლოვდება თბილისში მყოფ მაქსიმ გორკის. ამავე პერიოდში სახატავს ტურად თანამშრომლობს ყოველკვირულ გაზეთ „აკალიში“ და ინტენსიურად მუშაობს ფერწერაში ეტიუდებსა და ესკიზებზე.

1896 წელს სამხატვრო განათლების მისაღებად მოსე თოიძე პეტერბურგს მიემგზავრება. იქ ერთხანს მხატვარ დმიტრეე-კავკაზსკისთან სწავლობს, ხოლო მალე დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის დახმარებით სამხატვრო აკადემიაში შედის, შევადინებთ მისსავე სახელოსნოში, როგორც თავისუფალი მსმენელი. რეპინმა მოსე თოიძეში განსაკუთრებული მონაცემები დაინახა და ყოველმხრივ ზრუნავდა მასზე. ახალგაზრდა ქართველი მხატვრისთვის კი უდიდეს სკოლას წარმოადგენდა არა მარტო რეპინის ხელმძღვანელობით მუშაობა, არამედ იმ პერიოდის რუსულ მაღალი დეკორატიული ხელოვნებასთან ზიარებაც.

პირველი დიდი სურათი, რომელმაც მოსე თოიძეს ფერწერის ოსტატის სახელი მოუხვეჭა, იყო 1901 წელს შესრულებული მისი სადიპლომო შრომა „მცხეთაში“. ახალგაზრდა მხატვარმა ქართული სინამდვილიდან აიღო თემა. შემოქმედის დიდი ინტერესი უბრალო ხალხისადმი, მისი ცხოვრებისა და ყოფისადმი პირველად ამ ნაწარმოებში აისახა სრულყოფილად. „მცხეთაში“ — ეს საკვლელო დღესასწაული, სინამდვილეში სახალხო ხასიათს ატარებდა. სუბტილური გალავანში იმართებოდა ხალხური თამაშობანი, შეხიზარი, მომერალ-დამკვრელების გამოსვლები, მახვილსიტყვაობანი. სწორედ ამგვარი დღესასწაული ასახა მხატვარმა თავის ტილოში, რომელზეც ვხვდებით ცოცხალ, ეროვნულ ტიპებს. თვითუღლის ფაქიზი ფსიქოლოგიური დახასიათება ღრმა სოციალურ ძვლარდობას ანიჭებს ამ ქმნილებას. კომპოზიციას გამომსახველობას მატებს წმინდა ფერწერული ღირსებებაც — ფერის სიმკერძო, ძვლარდობა, შუქ-ჩრდილის მკაფიობა.

ამგვარი ნიშანთვისებებით ხასიათდება თოიძის შემდგომი ნამუშევრებიც. შუქ-ჩრდილის მკვეთრი კონტრასტებითაა დაწერილი „მოხუცი ებრაელის პორტრეტი“. ფართოდ, თავისუფლად და რელიეფურადა გამოქმნილი მოხუცის თავი, ხელები. ამ ადამიანისათვის სახასიათო პორტრეტული ნიშნები ხაზგასმულია მუქი და ნათელი ფერების ლაკონური მონასმებით.

მხატვრის ძალზე თბილი გრძობაა ჩაქსოვილი „დედის პორტრეტში“. ისევე, როგორც მოსე თოიძის მთელ რიგ ამ განრის ქმნილებებში, უბრალოდ, ყოველგვარი გარეგნული პოზიორობის გარეშე გახსნილია ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ბუნება, ინტელექტი.

გარდა პორტრეტებისა, მხატვარი ინტენსიურად მუშაობს პეიზაჟებზე, ვიწრო სივრცეებზე, რომლებიც საქართველოს და კერძოდ თბილისის ყოფის სხვადასხვა მხარეებს ასახავს. ამ სურათებშიც მხატვარი დიდ ყურადღებას უთმობს ჩრდილისა და განათების აქცენტებს, ფერთა ელერალობას, რაც მის ნაწარმოებებს განსაკუთრებულ ცხოველბატულობას ანიჭებს. ძველი თბილისის კოლორიტს შთანთქმავდა და გადმოსცემს სურათი „ძველი თბილისის კუთხე“. მოსე თოიძის სწრაფვა გამომსახველი ფერწერული საშუალებებისაკენ თანდათან უფრო თანმიმდევრული ხდება. მისი სურათები სულ უფრო მეტად იცხება პაერთ, ნათელ და გამკვირვალე ტონებით. 1915 წელს იგი აწყობს პირველ ინდივიდუალურ გამოფენას, რომელმაც უდიდესი გამოძახილი პოვა სასოგადოებაში. ამ გამოფენით მხატვარმა ფართო აღიარება მოიპოვა, როგორც შესანიშნავი კოლორიტი, კომპოზიციის ოსტატმა და, რაც მთავარია, შემოქმედმა, რომელიც თავის შთაგრებას, სურათების თემებს ხალხის ცხოვრებაში პოულობდა.

მოსე თოიძის მოღვაწეობაში ჭეშმარიტად მაღალნაყოფიერი ხანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება. მასწავლად შეიკრიბო რა ახალი, დიდი ეპოქის დასაწყისი, უკვე 1922 წელს იგი ხსნის სამხატვრო სტუდიას და სამხატვრო განათლების მისაღებად ფართოდ უღებს კარს ხალხის წიაღიდან გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს; თავდადებით და უდიდესი სიყვარულით იღვწის მხატვართა ახალი კადრების აღსაზრდელად. დაახლოებით ათი წლის მანძილზე ამ სტუდიამ შეიღასამდე მოწაფე გამოუშვა და მრავალი შესანიშნავი კადრი მოამზადა უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში — თბილისის სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად.

ეპოქის მახისცემას ემზარება მოსე თოიძის ფუნჯიც. იგი წერს ფერწერულ ტილოებს მუშათა და კომუნერეთა ცხოვრებიდან. ნაწარმოებებში გადმოსცემს ხალხის თავდადებული, შთაგონებული შრომის პათოსს. 1928 წელს შექმნილ სურათში „ინდუსტრია“ იგი გაზობტავს მუშათა ბრედანს საქარნო სამაქროში. შრომითი შემართება, აღტკინება იგრძნობა ამ ადამიანების ფიგურებში, ვარგის ყოველ დეტალში.

„მედიწირი ცხოვრება“ — ასე ეწოდება 1936 წელს შე-

ქმნილ სურათს. აჩვენოს საკომპლექსური სოფლის ბარაქა და სიუხვე, მართლად ახასოს ამ სიუხვის შემქმნელთა სახეები — შემოქმედის ეს გატაცებული სწრაფვა იგრძნობა სიყვარულით დაწერილ ამ ტილოში. მხატვარმა შექმნა კომპლექსურნათ ცოცხალი, ტიპიური სახეები, ხალისიანი, მაღალი ოპტიმიზმით სავსე განწყობილება. იმ პერიოდში, როცა ქართულ სახვით ხელოვნებაში ჯერ კიდევ ძალზე ცოტა მოიპოვებოდა ჩვენი სინამდვილის ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, თოიძის ეს ტილო ერთ-ერთი პირველი საინტერესო ქმნილება იყო.

მოსე თოიძე ახალი საბჭოთა ხელოვნების იდეური პრინციპების განმტკიცებისათვის დაუცხრომელი მებრძოლია მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. ჯერ კიდევ სამხატვრო სტუდიის პედაგოგი, იგი თანმიმდევრულად და ბეჯითად ამკვიდრებს მის მოწაფეთა მსოფლგაცებაში რეალიზმს, მხატვრულ სიმართლეს. თოიძის პედაგოგიური, ორგანიზაციული-შემოქმედებითი და სახელოვნო მოღვაწეობა ნათელი მაგალითია საბჭოთა პედაგოგისა და მხატვრის ჭეშმარიტი მისიისა. ვრცელა იმ შემოქმედთა სია, ვინც ამ შესანიშნავი ფერმწერისა და მოღვაწის ხელმძღვანელობით გამოვიდა შემოქმედებითს გზაზე. და თუ დღეს ქართული სახვითი ხელოვნება არაერთ გამარჯვებას ითვისებს და მსოფლიო ავტორიტეტს აქვს მოპოვებული, ამასი თვალსაჩინო წვლილი უდევს ღვაწლმოსილ მხატვარსაც, რომელსაც სიკვდილამდე არ დაუტოვებია პედაგოგის პოსტი.

რეალიზმს, მხატვრული სიმართლის ერთგულებას პრინციპულად ითხოვდა იგი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისაგან, რომლებსაც პირველ ყოვლისა აძლევდა მყარ, საფუძვლიან აკადემიურ ცოდნას, ხოლო შემდეგ კი უბიძგებდა მათ ევლოთ დამოუკიდებელი გზით, მოეხატათ საკუთარი ენა, სამყაროს დანახვისა და გადმოცემის ინდივიდუალური საშუალებანი.

მოსე თოიძე თანამედროვეობის შთაგონებული მხატვარია. მისი შემოქმედება მთლიანად თანამედროვეობას მიეძღვნა. „შრომის ჰიმნი“, „ზაქსის ჩირაღდნები“, „ინდუსტრიისათვის“ — ეს ის ნაწარმოებებია, რომლებშიც მხატვარმა გვიჩვენა საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შემოქმედებითი შრომა, ამ შრომის ჰეროიკა. ჭეშმარიტი ხელოვანი და მოქალაქე თემებს თავისი ტილოებისათვის

ხალხის ამ დიდ შრომითს საქმიანობაში ეძებს, მასში ნახულობს დიადი გარდაქმნების საფუძველს, ახალი, ბედნიერი აწყობისა და მომავლის შენების სიხარულს. მისი პოლიტიკაც გასხივონებულია, უფნავი მღელვარე და მოქნილი. რაოდენი პატრიოტული სურვილებით და მტრიადმი მრისხანებით გამსჭვალული ტილოები შექმნა ხელოვანმა დიდი სამამულო ომის წლებში! ეს ნაწარმოებები აღსავსეა გამარჯვების ღრმა რწმენით. მათში იგრძნობა სამშობლოს უსასვლრდ მოყვარული შვილების პატრიოტული თავდადება, ხალხის ზრუნვა ფრონტზე წასულებისადმი. „თბილისელი ქალები ამზადებენ საწურებს ფრონტზე გასაგზავნად“, „ასახარულო ამავა“ და სხვა ტილოები სამამულო ომის მხატვრულ მატთანში შესული მეტყველი ნაწარმოებებია. ამ სერიის სურათების კანონზომიერ დავიერიგინებად იქცა სიხარულით, ბედნიერებით აღსავსე „გამარჯვების სიმღერა“ (1948). მოსე თოიძის სხივსანი პოლიტიკა ამ ტილოში კიდევ უფრო გასხივონდა და აელვარდა, თითქოს მხატვრის გულის სიღრმიდან ხმირ სიმღერად ამოვარდა ეს ვარდისფერები, გაზაფხულის ყვავილებად გაიფურჩქნა და ირგვლივ ყველაფერი გაახალისა.

ასეთივე ხალისიანი, ხელოვნებაში სიცოცხლის დამამკვიდრებელი იყო ღვაწლმოსილი ხელოვანი თავისი დღეების ბოლომდე. ერთგულად, გატაცებით იღვწოდა ხელოვნებაში თუ პედაგოგიურ სფეროში. მისი სახე სწორედ ააე თი აღიბეჭდა იმთ მესხიერებაში, ვინც მას ახლოს იცნობდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებოდა. ასეთივე სხივმოსილია მთელი მისი მხატვრული შემოქმედება.

მაღალიდებურობა, ღრმა რეალიზმი, ეროვნულობა და ახლის გრძობა ახასიათებს მოსე თოიძის ქმნილებებს. ამ გზითა და მიზანსწრაფვით მიჰყავდა მას თავისი მოწაფეებიც, ამ გრძობას უნერგავდა მათ, აჩვენებდა ევლოთ იმ ერთადერთი მიმართულებით, რომელიც მსოფლოდ დიდი და ჭეშმარიტი ხელოვნებისაკენ მიდის.

მხატვრის დაბადების 100 წლისთავის ზეიმი ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ზეიმიცაა. ზეიმია იმ ხელოვნებისა, რომელსაც მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა შესანიშნავ ხელოვანთა მცირე ჯგუფმა, მათ შორის შთაგონებულმა ფერმწერმა, პედაგოგმა და მოღვაწემ მოსე თოიძემ.





საქართველოს
სსრ და
საქართველოს
კომპარტიის
50 წლის-
თავის აღმ
მისწვნილი
გამოფინდა

შ. გველუბიანი.
აქანუბა.

ხშირად მიხდება სოფლად ყოფნა და ყოველთვის გულდაწყვეტით შეცდმური ახალ მშენებლობებს, რომლებიც უსიტემოდ, სტიქიურად მიზინვარებობს. სოფლები იზრდება გენერალური გეგმის გარეშე, საცხოვრებელი სახლები და ცალკეული ნაგებობა შენდება პრიმიტიული წესით, რამდენი შრომა, მასალა იხარჯება და ხშირად უაზროდ. აუცილებელი ხდება გადაგეგმარება. ყოველივე ეს აკონტროლს სოფლების გარდაქმნას ქალაქის ტიპის დასახლებად და ხელს უშლის სოფლის მშრომელების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

სოფლად საყოფაცხოვრებო პირობების დაბალ დონეს მიყვებით სამუშაო ძალების დიდი დინამიკა. ახალგაზრდობა სოფლიდან გარბის. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ამინებს მას? იგი მიისწრაფის უკეთესსააქენ, კომფორტისაკენ, მას უნდა თვითონაც იცემოს ტექნიკისა და მეცნიერების ის მონაპოვარი, რომელიც ყოველდღიურ მოვლენად იქცა დიდი ქალაქის ცხოვრებისათვის, ახლო აქონდეს წყალი, სარგებლობდეს აბაზანი და ცენტრალური გათბობით, სოფლის საზოგადოებრივ დაწესებულებათა ნაგებობანი შესაძლებლობდეს ქალაქისას. ეს კი უშუალოდ არქიტექტორთა საქმეა.

სად ვეძიოთ გამოსავალი? როგორი უნდა იყოს სოფლის საცხოვრებელი სახლის ტიპები, მათი არქიტექტურული სახე?

ამჟამად საქართველოს სოფლის სახლების ფონდში გვხვდება სხვადასხვა ტიპის შენობები. მაგალითად, ახალი ტიპის, მრავალბინიანი, სექციური, თანამედროვე, კეთილმოწყობილი, მათთან ერთად ერთბინიანი, საკარმიდამო ნაკვეთიანი საცხოვრებელი სახლებიც, მაგრამ არც ერთნი და არც მეორენი არ შეიძლება მივიჩნიოთ დამაკმაყოფილებელ! სექციური სახლებს, როგორც წესი, არ განიხილავთ საკარმიდამო ნაკვეთიანი, რომლებიც მოხერხებულად იქნებიან დაკავშირებული ბინასთან და ამის გამო ვერ ითვალისწინებენ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას. ერთბინიანი საკარმიდამო ნაკვეთიანი სახლები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გეგმარებით, კარგად პასუხობენ ადგილობრივ ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს, საყოფაცხოვრებო თავისებურებებს, მაგრამ ისინი უმეტეს შემთხვევაში, არ არიან კეთილმოწყობილნი და ვერ პასუხობენ მოთხოვნილებებს.

ამათთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა სოფლის საცხოვრებელი

სოფლის საცხოვრებელი

სახლების მშენებლობა

განვითარების პერსპექტივები

ნიკოლოზ ლალიძე

ფონდსა და ყველა იმ ფაქტორის შესწავლა, რომლებიც საცხოვრებელი სახლების ჩამოყალიბებაზე მოქმედებენ, რათა მეცნიერულად დასაბუთდეს სოფლად საცხოვრებელი სახლების რაციონალური ტიპები სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კომუნალური და ინდივიდუალური მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ ცენტრალური სატექნიკური სამმართველოს მონაწილეობით ინდივიდუალურ საკარმიდამო ნაკვეთიანი საცხოვრებელი სახ-

ლები შეადგენენ მთელი სასოფლო საბინაო ფონდის საცხოვრებელი ფართის 98%, მაშინ როდესაც სახელმწიფო ფონდი შეადგენს არა უმეტეს 2%, ხოლო საკოლმეურნეო და კომუნალური ფონდი პრაქტიკულად არ არსებობს.

საცხოვრებელი ფონდების აღნიშნული თანაფარდობა გვეაღდებულეს გადაწყვეტილი იქნას სოფლად საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტიპოლოგიური საკითხები არა მარტო სახელმწიფო, საკოლმეურნეო და კომუნალური ფონდი, არამედ ინდივიდუალური მშენებლობისათვისაც.

საცხოვრებელი სახლების ტიპების განსაზღვრისას ძირითადი ფაქტორები (ბუნებრივი და კლიმატური პირობები, სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, მისი დამოკიდებული შემადგენლობა და სხვა) საერთოა ამ მშენებლობის სახეებისათვის.

ამ ფაქტორების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სოფლის საცხოვრებელი სახლის ტიპების ჩამოყალიბებასა და მათი სპეციფიკის განსაზღვრაში გადაწყვეტი მნიშვნელოვან აქვს სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს და უპირველეს ყოვლისა ინდივიდუალური დამამარე მუხრნეობის აუცილებლობას. თუ ქალაქად მცნებაში „ოჯახის საცხოვრებელი უკარგად“ იგულისხმება „ბინა“, სოფლად, სადაც დაბალია საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ეს მცნება უფრო ფართოა ვიდრე ბინა, რადგანაც ბინის ფარდა შეიცავს საკარმიდამო ნაკვეთს, სამეურნეო და დამამარე ნაგებობებს.

სოფლის საცხოვრებელი სახლის ეს თავისებურება გვეკანსაზღვრავს მშენებლობაში გამოვიყენოთ ძირითადად დაბალსართულიანი, საკარმიდამო ნაკვეთიანი საცხოვრებელი სახლები.

ასეთი ტიპის სახლები კარგად პასუხობენ საქართველოს ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს: გვიადვილებენ რელიეფზე მშენებლობას, ხეისმიკის გათვალისწინებას და იცავენ სათავსოებს გადასურებისაგან.

ისინი არ ეწინააღმდეგებიან სოფლად მშენებლობის მატირალურ ტექნიკურ ბაზასაც, რადგანაც მასიური მშენებლობაში ადგილობრივი სამშენებლო მასალისა და მათგან დამზადებული კონსტრუქციების გამოყენების აუცილებლობა საცხოვრებელი სახლის სიმაღლეს საზღვრავს ორი სართულით.

ერთ-ორსართულიანი საკარმიდამო ნაკვეთიანი საცხოვრებელი სახლების უპირატესობას სხვა ტიპის სახლებ-



ისტორიული, რევოლუციის შემდგომ-დროინდელი და თანამედროვე ტიპების ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

ტიპური პროექტებით აშენებული საცხოვრებელი სახლები მარნეულის, წინანდლის, სამგორისა და ბათუმის საბჭოთა მუნიციპალიტეტებში.

თან შედარებით ასაბუთებს აგრეთვე საქართველოში სექციური მრავალბინიანი, მრავალსართულიანი სოფლის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და გეგმვა-საგარეო პროექტირება-სექციური სახლების არქიტექტურული და დეკორატიული სტრუქტურა აძნელებს ბინების საკარმიდამო ნაკვეთებთან უშუალო კავშირს და მათი მიკრო-ენური და საყოფაცხოვრებო თავისებურებების გამოყენებას, შინაური ცხოველების და ფრინველების მოვლას, საზაფხულო სამზარეულოს, „მწვანე ოთახის“ მოწყობასა და სხვა. ზაფხულში სექციური საცხოვრებელი სახლების სათავსოებში ჰაერის ტემპერატურა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხალხურ საცხოვრებელში. საბჭოთა მუნიციპალიტეტებისა და კოლმეურნეობების ეკონომიური შესაძლებლობა ამგვარად არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოთ მასიურად აივით სახლები კეთილმოწყობის თანამედროვე დონით. ეს კი უფრო აუარესებს სექციურ სახლებში ცხოვრების პირობებს (საწვავისა და წყლის ატანა სართულგეგმე, ნავის გტანა და სხვა).

სექციური მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მასიური მშენებლობა (ქალაქის მიმდებარე რაიონების გარეშე რადიუსით 40-50 კმ) ძნელდება აგრეთვე სახლთშენებელ-საწარმოთა და მშენებლობის ობიექტების ერთმანეთისგან დიდი მანძილით დაშორებითა და ცუდი სავაიო ქსელით, სოფლის საამშენებლო ორგანიზაციების მექანიზმებით, საამშენებლო მასალებითა და კვალიფიციური კადრებით, მომარაგების დაბალი დონითა და სხვა.


სოფლის პირობებთან სექციური სახლების შეუსაბამობის გამო სოფლის მოსახლეობა განიხილავს მათ, როგორც დროებით საცხოვრებელს,

მიწის ნაკვეთის მიღებამდე და მასზე ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლის აშენებამდე. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო ფონდის სექციურ საცხოვრებელ სახლების სოფლად ხშირად იყენებენ არა როგორც საცხოვრებელს, არამედ საერთო საცხოვრებლად, სატურმოებად და სხვა. საბჭოთა მუნიციპალიტეტისა და კოლმეურნეობებში ქალაქური ტიპის განაშენიანების მექანიკური გამოყენება სექციური სახლებით დისკრედიტირება უკეთესს დიდ საქმეს — სოფლის საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტებით მშენებლობას.

აღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ როგორც სექციური, ისე სხვა ტიპის საცხოვრებელი სახლები (საკარმიდამო ნაკვეთების გარეშე) ამგვარად არ შეიძლება რეკომენდებული იქნას მასიური მშენებლობისათვის, რადგანაც თითქმის ყველა ოჯახს სოფლად ესაჭიროება საკარმიდამო ნაკვეთი ინდივიდუალური დამხმარე მუნიციპალიტეტისათვის.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ხალხურ საცხოვრებელში განვითარებული ინდივიდუალური მუნიციპალიტეტისათვის მიღებულია მიწის ნაკვეთი ფართით, რომელიც საკმარისია შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობისათვის ბაღის, ბოსტნისა და პატარა ევანხისთვის. საშუალო მუნიციპალიტეტის პირობებში — ბაღის, ბოსტნისა და შინაური ფრინველებისათვის.

სოფლის ნუმა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეთა ოჯახების გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ განვითარებული მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია საკარმიდამო ნაკვეთები სახლთან ფართით 1 000-1 200 კვ. მ., საშუალო მუნიციპალიტეტის პირობებში კი — 600-800 კვ. მ.



მიწის ნაკვეთის დანარჩენი ფართი, რომელიც გუკუთვინის სოფლის ოჯახებს, გატანილი უნდა იქნას სოფლის საცხოვრებელი ზონის გარეთ, მათი ფართი სხვადასხვა დასახლებული ადგილებისათვის შეიძლება არათანაბარი იყოს იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფალოებრივი წარმოება, სოფლის მოსახლეობის შემოსავალში და კვების პროდუქტებით მათ უზრუნველყოფაში.

როცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფალოებრივი წარმოება შეძლებს მთლიანად დააკმაყოფილოს სოფლის მოსახლეობა კვების პროდუქტებით და აღარ იქნება აუცილებელი ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობის წარმოება, განთავისუფლებული ტერიტორიები გამოიყენება საცხოვრებელი განაშენიანებისათვის, ანდა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის. მაგრამ საკარმიდამო ნაკვეთების სრულ მოსპობას არ უნდა მოველოდეთ შორეულ პერსპექტივაშიც. სოფლის პირობებში პატარა მიწის ნაკვეთი „მუყანე ოთახი“ ბაიისა და ყვავილებისათვის, უნდა შენარჩუნებულ იქნას ყოველ საცხოვრებელ სახლთან მოხავედლემ, როგორც სოფელს ცხოვრების ერთ-ერთი უპირატესობა.


საკარმიდამო ნაკვეთის ზომები, ისევე როგორც მათი სამეურნეო ექსპლოატაციის ხასიათი, მნიშვნელოვნად მოქმედებს სოფლის საცხოვრებელი სახლის შერჩევაზე.

პროექტების პრაქტიკის შესწავლამ, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, საშუალება მოგვცა საკარმიდამო ნაკვეთებიანი სოფლის საცხოვრებელი სახლები დავყოთ ორ ჯგუფად.

I ჯგუფი — ერთ, ორბინიანი საცხოვრებელი სახლები ოჯახებისათვის, რომლებსაც განვითარებული ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობა გააჩნიათ.

II ჯგუფი — მრავალბინიანი ბლოკირებული საცხოვრებელი სახლები ოჯახებისათვის, რომლებსაც საშუალო ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობა გააჩნიათ.

ერთბინიანი საკარმიდამო ნაკვეთებიანი საცხოვრებელი სახლები უზრუნველყოფენ ბინების უშუალო კავშირს მიწის ნაკვეთთან, სათავსების გარკვეულ რაოდენობას და განათებას, მათი ორიენტაციის განუსაზღვრელ საშუალებებს, მცხოვრების იმთავსად მუშობებისაგან. გარდა ამისა, ერთბინიანი საცხოვრებელ სახლებში ადვილია სანიტარულ-ტექნიკური კეთილ-



ხევსურეთი. სოფელი შატალი.

მოწყობის დროებითი, ადგილობრივი სისტემების გამოყენება. ამასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები შევლებურად დაიკავებენ ძირითად ადგილს ინდივიდუალურ მშენებლობაში. მათ შეიძლება გაგრძელდება პპოიონ საკოლმეურნეო და კოოპერატული მშენებლობაშიც.

ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მაღალი საამშენებლო ღირებულება უზუდავს მათ გამოყენებას სახელმწიფო მშენებლობაში და გვიანულადაა ვიპოვით საცხოვრებელი სახლების ისეთი არქიტექტურულ-გეგმურებითი გადაწყვეტა, რომელშიც ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ეკონომიური უპირატესობა შერწყმული იქნება საკარმიდამო ნაკვეთებიანი განაშენიანების უპირატესობასთან. ასეთი გადაწყვეტა მიიღება ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების ბლოკირებით ორ და მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლებად. ასეთი სახლები შეიძლება იყოს ერთსართულიანი და ორსართულიანი, რიგითი და გვეგამში ჯვრის ფორმის, სხვადასხვა სართულზე განაწილებული, ტერასული და შიდასოფიანი ბინებით.

ბლოკირებული საცხოვრებელი სახლების დიდი უპირატესობაა მათ საკარმიდამო ნაკვეთებზე სამეურნეო საგნობების მოთავსების შესაძლებლობა, მათი შეგუება სანიტარულ-ტექნიკური კეთილმოწყობის ადვი-

ლობრივ და დროებით სისტემებთან. ისინი აგრეთვე უზრუნველყოფენ ბინების უშუალო კავშირს მიწის ნაკვეთთან. ბლოკირებული სახლების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად გამოიყენოთ მიწის ნაკვეთის საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური თავისებურებები. მაგრამ ბლოკირებულ სახლებში, რომლებიც ოთხ ბინა-ბლოკზე მეტს შეიცავენ, აგრეთვე გვეგამში „ჯვრის ფორმის“ საცხოვრებელ სახლებში, საკარმიდამო ნაკვეთების ფართი და მისი ფორმები არაა ხელსაყრელი საშუალო და განვითარებული ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობის წარმოებისათვის.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე სახელმწიფო საკოლმეურნეო და კოოპერატული მშენებლობისათვის რეკომენდებულია ორი და ოთხბინიანი ბლოკირებული საცხოვრებელი სახლები საკარმიდამო ნაკვეთებით. ორბინიანი საცხოვრებელი სახლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალურ მშენებლობაშიც. მისწავლილია მრავალწერტიანი ოჯახები, განვითარებული ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობით, შევასაზოთ ორსართულიანი ორბინიანი საცხოვრებელი სახლები, ხოლო ოჯახები საშუალო ინდივიდუალური მეურნეობით — ორსართულიანი ოთხბინიანი საცხოვრებელ სახლებში. პატარა ოჯახები განვითარებული ინ-

დივიდუალური მეურნეობით ერთ-სართულიან ორბინიან საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საშუალო მეურნეობით — ერთსართულიან ოთხბინიან საცხოვრებელ სახლებში.

პატარა ოჯახების შესახლება (რომლებსაც აქვთ ინდივიდუალური მეურნეობა) ბლოკირებულ სახლებში სხვადასხვა სართულებზე განაწილებული ბინებით, არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც ამ შემთხვევაში უარესდება ბინების კავშირი მიწის საკვეთთან და მეორე სართულის სათავსოების მიკროკლიმატი.

იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც მრავალწევრიან ოჯახებს არა აქვთ ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბლოკირებული ტიპის საცხოვრებელი სახლებიც შიდა ეზოებით.

რეკომენდებულია პატარა ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ დამხმარე მეურნეობა, შესახლდნენ გალე-

რეიის ტიპის საცხოვრებელ სახლებში.

ასეთია საცხოვრებელი სახლების ნომენკლატურა უახლოეს მომავალში საქართველოს სსრ რაიონებში მასიური მშენებლობისათვის. რა თქმა უნდა, დაუშვებელია ქალაქური საპროექტო წინადადებების შექანიკური გადატანა სოფლად, ვინაიდან სოფლის მოსახლეობას, მის შრომას, ყოფას აქვს თავისი სპეციფიკა, და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იქნება განსხვავებული ქალაქისაგან, სოფლის მშრომელთათვის ნორმირებული სამუშაო დღის შექმნის ტენდენცია, ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობის თანდათანობითი მოსპობა, სოფლების კომპაქტურად, საზოგადოებრივი მომსახურეობის განვითარებული ქსელით და თანამედროვე კომფორტის სრული კომპლექსის დაგეგმარება არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც თანდათან

უნდა მოსპონ განსხვავება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების შორის.

თვითონ ცხოვრება, კომუნიზმის მშენებლობის პერსპექტივები სოფლად მშენებლობის მთავარ პრინციპად ხდიან არა იმას, ავაშენოთ დღევანდელი მოთხოვნილების საფუძველზე და ვნახოთ როგორ შეიძლება მისი გამოყენება ზვალ, არამედ იმას, ავაშენოთ ზვალინდელი მოთხოვნილებისათვის დღევანდელის გამოყენებით.

სოფლად საყოფაცხოვრებო პირობების გარდაქმნის აუცილებლობა გვეკარნახობს ფრთხილად, ექსპერიმენტის სახით დავიწყოთ პერსპექტიული ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რათა კომპაქტურად დავაგეგმაროთ ახალი სოფლები და უზრუნველყოთ სოფლის მშრომელები თანამედროვე კეთილმოწყობის მაღალი დონით.



6. მიანსაროვ-იოსელიანი.
ინლესტრია.



მ. ხილუაშვილი.

რევოლუციის მხარეზე.

**საპარტიზოს სსრ
და საპარტიზოს
კომპარტიის 50
წლისთავისადმი
ვიკლავნილი
გამოფენიდან**

რ. სანაძე.
გაზაფხული.





აზარის ტაძრის საუნჯე

არსენ ჩავლეიშვილი, იოსებ ბეჭირიშვილი

ბასული საუკუნის ცნობილი არქეოლოგი და მოგზაური პრასკოვია უვაროვა (სხვათა შორის, მისი მუღლაც არქეოლოგი-ისტორიკოსი იყო). არაერთხელ სწევია კავკასიას, კერძოდ, საქართველოს. მან ფეხითა და ცხენით შემოიარა აჭარის ხეობები, მთები, ესაზღვრა ადგილობრივ მცხოვრებლებს და ბევრი ფრიად საყურადღებო ცნობა შემოგვიწინა.

გრაფინია უვაროვასათვის აჭარაში მოგზაურობიდან ყველაზე უფრო ნაყოფიერი 1888 წლის შაფხულებში მოწაო-ბილი ექსპედიცია იყო. ამ წელს მან გაწმინდა და გათხარა აჭარის (ხულოს რაიონი) ჩანგრეული ველგუბა, გაეცნო მას და აქ აღმოჩენილი უნიკალური საცხენო შესწავლის მიზნით რუსეთში გაიტანა. ამასთან მან ფრიად ძვირფასი ცნობები შემოგვიწინა სხალთის ციხე-სიმაგრესა და ველსისაზე, სადაც ახლა მხოლოდ ერთადერთი ეკლესია დგას.

ჩვენი მხარის მატერიალური კულტურის ეს ორი ძეგლი მოგზაურმა შეისწავლა და საქართველოსადმი მიძღვნილ თავის ფუნდამენტურ და კარგად ილუსტრირებულ ნაშრომში „ქრისტიანული ძეგლები“ შეიტანა. მათზე ნაწილობრივ თქვა თავისივე წიგნში „აფხაზეთი, აჭარა, შავ-შეთი, ფოკიის უბანი. მგზავრის ჩანაწერები“, ნაწილი მეორე, რომელიც 1891 წელს გამოქვეყნდა. სხვათა შორის, ექსპედიციამ მუშობლად მდებარე საციხურის ეკლესიის გათხრაც მოსურვა, მაგრამ ბინის უკონოლობამ და სიცხემმა ხელი ააღებინა ამ განზრახვას, თორემ უმძველად აქაც რაღაცას მივაკვლევდით. — წერდა შემდეგ უვაროვა. აჭარისა და სხალთის ეკლესიების განხილვის წინ ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ჩვენი მხარის წარსულს.

ახლა, — წერს მკვლევარი, — აჭარა ბათუმის ოლქის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს (აერთიანება აჭარის, ართვინისა და თვით ბათუმის ოლქებს) და ქვემო და ზე-მო აჭარად იყოფა, ძველად კი მთელ ამ მხარეს საერთო სახელი — სამცხე ანუ ზემო ქართლი ერქვა. ჩრდილოეთით მას გურია ესაზღვრება, სამხრეთით შავშეთი და პერანგას ქედი. როგორც ცნობილია, ამ ადგილების მკვიდრი, ისე რეორტე მქმობლად შავშეთისა და ლაზისტანის მცხოვრებლებს, ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში წმინდა ნინოსაგან მიუღიათ.

ამავე აზრის ასახულებს ნ. ლომოური.² იგი წერს: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობის სამეცნიერო სარწმუნოებად გამოცხადებას ეკრისი (ლახეთში) მივთვლო საუკუნეში აქონდა ადგილი, ე. ი. დაახლოებით იმ ხანებში, როგორც იბერიაში. იგი ამას უფრო გარკვევით იმეორებს 130-ე გვერდზე.

ბ. უვაროვას აზრით აჭარის მოსახლეობა 12 საუკუნეს მართლმადიდებლური იყო. ქრისტიანობისაკენ მათ სწრაფვას მეტყველებენ უამრავი ეკლესიები და ტაძრები, რომ-

ლებიც, მიუღს დასავლეთ საქართველოშია მიმოფანტული და მნახველებს ნანგრევებითაც კი ახვიფრებენო.

ახლა აჭარის ბინადარი ისლამს აღიარებენ, ამიტომაც მათ ზოგჯერ თურქებად მიიჩნევენ, ისინი კი ნამდვილად სუფთა ქართველური ტომისანი არიან, — ამბობს მეცნიერი. აჭარელები კარგა ხანს თურქების უღელქვეშ გმინავდნენ, მაგრამ მშობლიური მათში მაინც ვერ წაბილწვაო. თურქულენას მშობრესული ასწავლიან, რომლებიც ყოველ მეჩეთშია, მაგრამ იგი სრულებით უცნობია ქალებისა და ბავშვებისათვის, — ვკითხულობთ ნაშრომში.

აჭარულმა ქართველებმა, მართალია, დავიწყებს მამა-პაპათა სარწმუნოება, მაგრამ თავის თავს ისინი „გურჯებს“ უწოდებენ და ამასობაზე მშობლიური ქართული ენით, თავიანთი სუფთა კილოთით.

რელიგიური დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლებს გარდა ბ. უვაროვას ყურადღება მიუქცევია თაღვანი ხიდებისთვისაც. ისინი თლილი ქვებითა და კირით აუგიათ ჩვენს წინაპრებს, რაც მათ მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

თაღვანი ხიდები დღესაც ამშვენებენ ჩვენს მხარეს. საცხები მისაღებია ჩემს მიერ წინათ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, — ამბობს მკვლევარი, — რომ აჭარის მცხოვრებლებს ქრისტიანული სამოღვცელო სახლები ოდითგანვე აქონდათ აგებული მიმებზე, ხეობებსა და ბარშიც.

აჭარასა და შავშეთში ასეთი პატარა ტაძრები შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე აფხაზეთში, — განაცხადობს მკვლევარი — მართლაც, აჭარაში უამრავი აგებული ნაგებობა აღერიცხეთ და გაუხმოეთ. ყველა ისინი ერთი ფორმისა და ამიტომაც ყველაზე არ შეგწრებდით, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი სხვენმა უკვე აღწერესო.

მკვლევარი სწორად შენიშნავს, რომ აჭარასა და შავშეთში ეკლესია-ტაძრები, ციხე-სიმაგრეებისა და მიუვალი კომპლექსების მუშობლად, ან შიგნით არის ნაგები, რაც იმდროინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. აქედან განმომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში ეკლესიების აგება ციხე-სიმაგრეებისა და მათ შიგნით არაბების, უფრო კი თურქ-ხელაჯუკების პირველი შემოსევების წინ უნდა დაეწყოთ.

უვაროვას გადმოცემით, ასეთ ეკლესიებს განეკუთვნება: ჩედის (მოპირდაპირე მხარეზე), ზემო ანუ დიდჭარბიანდ შუა აჭარაში გადმოსასვლელთან მდებარე დაწლობა, იოიასწყლის ან ორინასწყლის (ავტორს ორინასალი უწერია), ხულოს წვიით მდებარე ს. დიაკონიძეების, ხიხაძირის ვარდციხედ ცნობილი, ხირხათ-ხიხანისა და სხვა. ამ უკანასაგებზე ადგილობრივ მცხოვრებლებს უთქვამთ, თამარ მეფემ ააგოთ. ეს არაა მართალი. ქართლის ცხოვრების პირველ ტომში (თბ., 1955 წ., გვ. 300) აღნიშნულია, რომ ქართვლების მოღალატე ლიპარიტ ბაღვაშმა ვერაგობით „გამოიტყუენა ანისით (ციხიდან. — ი. ბ.) დედოფლისაგან აბუხერი, ერისთავი არტანუჯისა და ხისათა და ციხის — ჯუ-

¹ Материалы по археологии Кавказа, выпуск IV, М., 1894 год.

² ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968 წ., გვ. 120.



აჭარის ზოგიერთი ეკლესია-ტაძარი პავლინოვმა და სხვებმა აღწერეს, ამიტომაც უვაროვა მათზე თავს იკავებს და ამბობს, პატარა ეკლესიებიდან მე მხოლოდ აღწერილი ავა-რისას, როგორც ძალზე საინტერესოს თავისი ადგილმდებარეობისა, ასევე მასში აღმოჩენილი საგნებით.

ამ მიზნით იგი აჭარის ეკლესიის ზუსტ ლოკალიზაციას იძლევა. მდებარეობს ამ მხარის დედაქალაქ ზულოს ჩრდილო-აღმოსავლეთით თხუთმეტ კერსზე კანალიდერეს ანუ პისლიან ხეობაში.

იგი განცალკევებულ ბორცვზე ყოფილა აგებული. ამ ადგილისათვის ხალხს ნასაყდრალი უწოდებია.

ეს გორაკი დასავლეთით ლორჯომის ხეობას ესაზღვრება, ჩრდილოეთით ამავე სახელწოდების სოფელს, აღმოსავლეთით ს. აგარას, სამხრეთით კი ამავე სახელწოდების ხეობას. ეკლესიის სტრატეგიულ ადგილმდებარეობაზე ისიც მტკიცელებს, რომ აქედან გზა ჩრდილოეთით გურიაში გადადის, აღმოსავლეთით კი — ხალციხეში.

მოგზაურის ცნობით მთელ ამ მიდამოს საყვალაფერდი და მრგვალიმინდორა (წიგნში რეალიზირებული) რქმევია. (სხვათა შორის, ლორჯომის ს/საბჭოს ს. ტუნაძეებში ახლაც არის სათიბი საყულაფერდი და სათესი გრძელმინდორი ს. ლორჯომში).

აჭარის ეკლესია ექსპედიციას თაღამონგრეული დახვედრია. მეცნიერმა გადაწვიკთა მისი გასუფთავება და გათხრა. ეს მოსაზრება შენობის გარე დასვერვამ უფრო ნათელი გახადა. შესასვლელ კარზე წააწყდნენ პირველ ძვირფას აღმოჩენას — ბრინჯაოს მშვენიერ ხატს წმინდა გიორგის გამოსახულებით.

ეკლესია ორნაწილიანი, წარმკვლევული ოთხკუთხედის ფორმის ყოფილა. ქვებიდან კოხტად გამოჭრილი ლოდები-თა და კირით ნაგები, სიგრძით 17 მეტრი, სიგანით — 10 მეტრი. თალი მთლიანად შიგნით ჩავარდნილიყო და ბევრი რამ კიდევაც დაგნახებინა. მაგრამ თლის ქვის არქიტექტურული დეტალების, კრამიტისა და თლილი ფილების ნაწილი მაინც გადარჩენილა. მათ წყალსადინარები და ერთმანეთზე გადასამგელი სამარგები ქონდათ, რაც ცხადყოფს მშენებლობის მაღალ დონეს იმდროინდელ აჭარაში.

კრამიტისა თუ თლილი ფილების სიგრძე ერთ არშინზე მეტი ყოფილა. იატაკი ქვის დიდი ფილებით დაკეობთ. სვეტები, კოლონადები, მათი თავები, საყრდენები, კედლები სხვადასხვა სტილზე, სხვადასხვა ფერით მოხატათ. ყველაფერს სუფთა დახვეწილი ოსტატობის ხელი აჩნდა.




წმინდა გიორგის ხატი, ბრინჯაო, XII ს. უტრულის ნატეხი, ლეონ-შოთაბის ხატის წარჩენები.

რისა და აწყურის ციხის პატრონი, ივანე ერისთავი, ივანე დადაიანი და გურამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხისა პატრონი, — და შეიპყრა იგინი ანისის კარსა“ (ხაზი ჩვენია).

ეს შემადარწუნებელი ამბავი ანისის 1045 წლის ომის დროს მომხდარა.³ ე. ი. ხიხათა-ხირხათისა თუ ხიხანის ციხე თამარ მეფემდე კარგა ხნით აღრე ყოფილა აგებული.

³ ე. კობალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969 წ., გვ. 213.

კანკელი (ქაზე ამოკვეთილი), XI ს.



არქეოლოგიების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითქმის დაუზიანებელ ქვის კანკელს წააწყდნენ. იგი საკურთხევლის ცკლების სხვა ნაწილისაგან კიჟოს და ხატების თავმოყვლის ადგილს წარმოადგენს, მას შიგელ ბრწყინვალეობით და ორნამენტებით ამკობდნენ, რომ შორწმუნებულზე დიდი ემოციურ-რელიგიური გავლენა მოახდინებინ.

კანკელი ადგილიდან დაძრულიყო. თავდაპირველად ქვიდან გამოჭრილი ბრტყელ საფეხურზე შედგება. აქ შობილად კოლინადები და მათი დამამშვეფელი არქიტექტურული დეტალები დახვდათ. ისინი, უფრო კი კანკელი, ისტატების ფაქიზად, თვალის მომჭრელად მოექუქურთმებინათ. კომპონირებულ ფიგურებსა და ორნამენტებს, ფეიხოს დახვეწილ ქვეს, სწორ კუთხეებსა და წითელი ფერის ხაზებითა და სარტყლებით დამშვეფებულ კანკელს ალტკელაში მოუყვანია პ. უვაროვა. ამიტომაც, რომ იგი თავისი ნაშრომის ბოლო სიტყვაში ისე უბრუნდება მას და ამბობს, რომ — ეს კანკელი ფრიად ფაქიზადაა დახვეწილი, ამასთან უფრო მაგარ ქვაზე, ვიდრე სამცხე სხვაგან კავკასიაში შევხვდებით, იგი უსათრევ დახვეწილად მოქადავს განუკუთვლად და სრული აღმოსავლური ხასიათისაა, როგორც დაბუშავეების, ისე ორნამენტის წარჩევად, — მაგრამ ის ისე შეინიშნავს, რომ — შორეულ წარსულს არ უნდა გუთვნოდეს, რადგან წითელი ფერის ნახატები კარგად შეინიშნაულა, თუმცა არაერთი საუკუნე გაუტარებია ნანგრევებს ქვეშ.

გელციონის თაღის ჩამონგრევა, ჩვენი აზრით, უფრო გვიან უნდა მოხსდარიყო, ვინაიდან ფიქტურულად აღმოჩნდა. მართალია, მოსასვლელა მამა-პაპის ნასაყდრულს არ დაარბევდა და წმინდა ადგილად გამოაცხადებდა, მაგრამ იმანადაც განა ცოტა მოხეტიალე-ყანალი დაძრულია მიიგება და ხეობებში? მათ შეეძლოთ ბინა დაედით აქ და კიდევაც „გაესუფთავებინათ“ ის.

1874 წლის აქაურობას ცნობილი ქართველი მოღვაწე გ. ყაზბეგი ეწვია. მან აქ გვერდითი კედლების ნაშთები და ქვების გროვა ნახა. ხალხს უთქვამს, რომ იმ მალღობს, რომელზეც ტაძარი იდგა, ნასაყდრალი ჰქვია. ეს კი იმის მაწმუნებელია, რომ ტაძარი კარგა ხნის ჩამონგრეული იყო და ამიტომაც მას მოსასვლელა მასაყდრალი უწოდებ.

კანკელის ერთ ლოდზე შედრულად მოხატული ტოლფერდა ჯვარი, პილასტრები და ღვთისმშობლის ხატი იპოვეს. ეს უკანასკნელი სპილენძის ფორფიტებით ხის დაფაზე დაემკვრებინათ. მასზე დედა ღვთისა ამოეკვეთათ, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა.

ნახეს აგრეთვე ქვის ჯვრები, თეთრი ფილისისა და სხვა ჭურჭლეულის ნატყვები, პირვარდუ თიხის დოქები საყურებრებითა და ვერცხლ სადგამებით. მათ ჯვრისებრი ორნამენტი ამშვენებდა.

ნანგრევებს ქვეშ გარეული თხების, ცხვრების უამრავი რქები აღმოჩნდა, აგრეთვე ირმის ერთი რქა. ეცლებათ ისინი დასამუშავებლად მოეტანათ, რადგან ირმის რქა ორივე მხრიდან უკვე მოშუადლებინათ.

აქვე იპოვეს რკინის ჯვრები, კავები, დიდი ზომის გასაღები, დანა, ბრინჯაოს ორი ეჭვანი და რკალები, აგრეთვე ვერცხლის ბალთა და ლილეები.

უვაროვა ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს ქვის ქანიდან ფაქიზად გამოკვეთილ ხატს, ეს ფიგურებიანი ხატი ორიატუსიანი. ქვევითა ნაწილზე გამოსასულია სამი მხედარი, რომლებსაც მშის დისკოები ანუ შარავანდი მოსავთ. პირველს ხელში ხმალი უჭირავს, მეორეს — ფარი, ხოლო მესამეს — შუბი, რომლის წვერიდა შემორჩა ხატს.

ზედა იარუსი ცის კაბადონს უჭირავს, რომლის შუაში მკვეთრად ამოკვეთილი და შარავანდითი მისილი იქოს ქვისტკა ჯვრის გადასახვის მომენტში, აღბეჭდილია აგ-

რთველ ღვთისმშობელი და ორი წმინდანი, ისინი ხელგაწვერილები მიმართავენ ქრისტეს.

უვარის ხატმა აღაფრთოვანა უვაროვა. იგი ხაზს უსვამს ამ ნამუშეურის ზედმიწევნით დახვეწილობას, ნათელ ფერებს, ტიპსაცლის ნაოჭების კლასიკურ აღბეჭდვას და საერთო მოხატულობას.

ამ იარუსებს შუა შევიარალებული თვალთათვი კი შეიმჩნევა დაზიანებული ქართული წარწერა, რომელიც უვაროვას აღ. ხანაანაშვილისათვის უწევინათ. ქართველმცოდნეობამ ამ გამოჩენილ მოტივსახელებს უთქვამს, რომ იგი 14 საუკუნის მხედრული წარწერაა, მაგრამ წარწერა ხომ გვეჩვენავს უცნობმა პიროვნებამ, რომ თავისი აღტყება გაწმუთვთა ხატატების მიმართ. ასეც წერია: „მაცხოვარო შე მოქმედ...“

ფრიად საყურადღებოა ბრინჯაოს ხატეც. როგორც ვთქვით, იგი გელციონს შესასვლელ კარზე იპოვეს. მასზე ცხნებულ მადონი წმინდა გიორგია გამოსახული ურჩხულის მოკვლის დროს. ის ნამუშევარი არქეოლოგის აზრით აგარაში აღმოჩენილი სხვა სახეებისაგან განსხვავდება როგორც შესრულებით, ისე ხასიათით.

ვიდრე ვიტყვოდეთ, თუ სად შეიძლება აღმოჩნდნენ ჩვენი მიწის უნიკალური ძეგლები, მოვიყვანთ სამ ქართულ ხელნაწერს. პირველი მ. კაკაბაძის წიგნი 542 ნომრით შევიდა. უკა კათალიკოს მელქისედექის მიერ 1020 წელს შედგენილი სიგელი, რომლითაც მან მცხეთის სვეტიცხოველს უწყალობა გელციონები და სოფლები, მათ შორის 10 აგარა (აგარა) — 5 ტაოს, სამი კლარჯეთისა და თითო შავშენი-კოლასი.⁴ ამით იმის თქმა გვსურს, რომ როგორც ცნობილია, უკე მე-9 საუკუნის 80-იანი წლებიდან აჭარა შავშენი-არტაანის საერისთავთ-ერისთავოში შედიოდა. ხოლო მესხთა ქვეყნების და აჭარის ცენტრი კლარჯეთი იყო. სიგელის შემდგენელმა, ცხადია, ხულოს აგარა ეკლესიაში რომელიმე ზნით ჩამოთვლილ მგზობელ ოლქს მიათვალა, დიდა, ან უფრო დაწინაურებულს.

მეორე ხელნაწერი (№ 189) 1392 წლის 1 დეკემბერსა დაწერილი მეფე გიორგი VII-ის მიერ. მასში სამი აგარა ნახსენებია. მათ შორის ერთი ეკუთვნოდა ნინოს ჯვარს, მაგრამ რომელ კუთხეში მდებარებდა, არაა მითითებული, ისეც ცხადი კია, რომ იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკუთვნოდა.

მესამე დოკუმენტი (№ 437) მალეოგრაფიულად მე-15 საუკუნით არის დათარიღებული. მასში აწყურთან, ვარციხთან, ჩაშველით და სახალთასთან ერთად ნახსენებია აგარის ეკლესია, მაგრამ რომელი კუთხისა აქაც არაა მითითებული.

ს. კაკაბაძის აზრით ეს დოკუმენტი შავშენით უნდა იყოს შედგენილი, ეტყობა, ასეთი დასკვნა იქიდან გამოაქვს, რომ იგი გ. ყაზბეგმა 1874 წ. რტეში იპოვა. (ახლა ოთხაჭეთის ფარულბშია ხულოს მოპირდაპირე მხარეზე). იმანადა იქ ზემო აჭარის ეკლესიები ტბების ტიპისაჟიოსა ემორჩილებოდნენ. გამორიგებული არაა, რომ ამ დოკუმენტში სწორედ ჩვენს აგარაზეა ლაპარაკი. ყოველივე ეს მხოლოდ ჩვენი მოსაზრებაა და არა თქმა უნდა, შემდგომში უფრო ღრმა შესწავლის მოითხოვს.

იხადება კითხვა, სად შეიძლება მიაგველით აგარის ეკლესიის უნიკალურ საუნჯეს და დავიბრუნოთ იგი?

უვაროვა აჭარაში მოსკოვის საიმპერატორ არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მოაგვინა, მანვე გამოხატა მისი სხეულები ნაშრომი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ისინი მოსკოვის რომელიმე მუზეუმში ან სხვა ამავე დარწმუნებულბაში უნდა ინახებოდეს.

⁴ С. С. Какабадзе. Грузинские документы института народов Азии, М., 1967 год.

უპრინერტა თეატური ტილოჯი

რესპუბლიკურ საიუბილეო ბაჰოფენაზე

ოთარ ევაძე

საკაბტო მოვალეობა

საპარტამენტოს მხატვრები დიადი საბჭოთა ქვეყნის საპატიო და კეთილშობილურ სანახურში დგანან. ისინი ასახევენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების გარჯა-მოღვაწეობას, ხალხის შემართებით ცხოვრება-კეთილდღეობის მხატვრულად აღქმა-ასახვას ახმარენ საკუთარ ნიჭსა და ძალებს.

ამ ასპექტში განიხილება პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის შემდეგ პერიოდში გახსნილი საქართველოს მხატვართა სამუშაოების საიუბილეო გამოფენა. ამიტომ ექსპოზიციას ფურტილოებს ჩვენ გაეპარებთ ძირითადად იმ თვალთახედვით, თუ როგორ უახუსეს ფერმწერებმა პარტიის საერთო მოთხოვნებს, რა ძალის იდეური და შემოქმედებითი სულისკვეთებით მონაწილეობენ ისინი სოციალისტურ გარდაქმნათა სახალხო შემართებაში, რა სიმამფრით წარმართავენ თავიანთ პროფესიულობას სოციალისტური მსოფლმხედველობის ადამიანების ესთეტიკური გემოვნების ასაბალებლად.

რაკი ექსპოზიციის გარჩევის მთავარ არსად ასეთ მოთხოვნებს გაყენებთ, ბუნებრივად მიგვანჩნია, რომ სასოჯადოებრიობა უკვე დარწმუნებულია საიუბილეო გამოფენის მონაწილე მხატვართა პროფესიულობაში. ხოლო თუ ეს ასეა (და ეს, მართლაც ასე უნდა იყოს), ჩვენ აღარ შეეხებ-

ბით ფერწერის ვიწრო საკითხებს, მხატვართა წმინდა საოსტატო ტექნოლოგიას, რათა უნებოდ არ აღმოვინდეთ ხატვა-ძერწვის ტექნიკის შესწავლის სასტუდიო სემინარზე, დიდი სასოჯადოებრივი მნიშვნელობის თემატიკური დიალოგი არ ვაქციოთ საწარმოო კოლოკვიამად, არ დავგავიწყდეს მთავარი, — ღრმად ჩააწვდეთ მხატვართა იდეურ-ესთეტიკურ მსოფლმხედველობას, ცხოველ თანამედროვეობასთან მათს კავშირს და იმ მასშტაბს, რა ზომითაც ამას მოითხოვს პარტია თითოეული შემოქმედისაგან.

თუმცა ვერც იმას დავიწყებთ, რომ ზოგი მხატვარი სრულიად სხვა, ერთიმეორისაგან გამოუთიშავ ამოცანებს უყენებს საკუთარ თავს, — ნაწარმოების იდეურობის დატოვებას ვიწრო ტექნიციზმის მიღმა და აპლომბით მოითხოვენ განუპარტრონ როგორ და რა გზით შეიძლება სხვათა გამოცდილების გადაღება, — ფერისა და ხაზის ტექნიკის დახვეწა.

ასეთების საპასუხოდ მათ ერთგვაროვანი სხვა შემოქმედებითი კოლექტივებისაკენ მივავლდეთ, მწერლებისა და კომპოზიტორების კავშირებში მხატვრული ნაწარმოების გარჩევის დამკვიდრებულ ჩვევებს შევხსენებთ, როცა, მაგალითად, მწერალთა თავმჯერაში გარკვეული პერიოდის მხატვრულ პროდუქციას იხილავენ, — დისკუსია იშლება პროზისა თუ პოეზიის ქმნილებების მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებაზე და არა ლექსის ვიწრო ლაბორატორიულ ტექნოლოგიაზე, ბასისობენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ვარჯისიანობაზე და არა ავტორთა მიერ გამოყენებულ ტექნიკურ ხერხებზე, — თქვენგებმარცლიანი თუ სხვა მეტრით გალექსა, არჩევენ მხატვრულ მხარეს და არა იმას, თუ როგორ უნდა დაეწერა — „ვიფლა“ თუ „ვიფლი“, „შიმ-ველი“ თუ „შიმველა“, „ოფოფი“ თუ „ოფოფა“? იქნებ მართლაც „ოფოფი“? მაგრამ ვაჟას რა ვუყოთ?

„წერთაც გადაიარეს, მერცხალიც მოფრენილაო, ოფოფა სავარცხლიანი იმით მოუღება წინაო“.

შემოქმედს მკითხველთან აზრის მიტანის გუმანი მიუძღვის და როცა ეს არის, ოფოფა არაიენ დაუფრთხობს.

ასეთივე საზომით იხილავენ კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც. ლაპარაკობენ მუსიკალური ენის სასოჯანებაზე, ეროვნულ ფესვებზე, ემოციურ ხატოვანებაზე და არა იმაზე, თუ სად რა უნდა აეწია ნახევარტონით, ან მივლი ტონით დაეწია ავტორს ესა თუ ის ბეგრად.

იდეური მავრობა თუ ფარწირიტი ბუნდოვანება

ამაშემ იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ არის შემთხვევა, როცა ცალკეული მხატვრები, მათ შორის თავისი საჭმის სოციატიებიც, ფარული პრეტენზიულობით მოითხოვენ ხელმოწერათმცოდნეებისაგან — ხელი ავიღოთ მათი ნაწარმოებების მხატვრულ-იდეური არსის აზრობრივ ახსნაზე, თავი ავარიდოთ მათი ფერტილოების ავკარგიანობის სიტყვიით გადმოცემას და თანაც გვეჩადნებიან: „კრიტიკოსებო! თუ კარგი ბიჭები ხართ, კონკრეტულად მიგვიითეთ, სად რა ფერი დავადოთ და სად რა ხაზი გავავლოთ?!

ასეთი მოთხოვნა, მეტი რომ არ ვთქვათ, იმისი გაუმარტლებელი დედა, რომ მათი ნაწარმოებების გარჩევისას ვასაქვი ენით არ ავხსნათ არ გაუგებრობა, რაც არის სურათში, თ. ი. არა ვთქვათ, — არის თუ არა სურათში აზრი და ხატოვანება, არის თუ არა ნაწარმოებში იდეა და ფორმა.

მათი ვაგებთ ნაწარმოებების ავკარგიანობის ახსნა ლიტერატურული, ჩვეულებრივი, ადამიანური ენით, თურმე, არაპროფესიულობაა და ამიტომაც მოითხოვენ ნაწარმოები შევაფასოთ არა თბრბობით ენით, არა აზრის დინებით, არა

იდეის სამოქმედო, არა კომპროზიციისა და ფორმის ძიებით, ანტიკონსერვაცია და ემოციურობის აწივით, არამედ ნაწარმოების შექმნის უკეთესი ტექნოლოგიური რეცეპტის შეთანხმებით.

ჩვენ უარს ვამბობთ ასეთი რეცეპტების გაყენებაზე, კრიტიკოსი ამა თუ იმ ლექსის გარჩევას ავტორს როდი ურჩევს სტროფების გადაჯგუფებას ან რიტმის შეცვლას. ეს ავტორის ნებისა და პროფესიული ოსტატობის საქმეა. კრიტიკოსი მიაჩნნება ოსტატობის დაბალ დონეზე, მაგრამ არ მიაწოდებს სხვა უკეთეს ტექნოლოგიურ ვარიანტს, რადგან ვარიანტის ავტორმა თავისთავად უკვე ნაწარმოების ავტორებაა. კრიტიკოსი მიაჩნნება ნაწარმოების იდეურ-აზრობრივი კონცეფციის სიკარგვე-სიმრუდეზე და ეუნებება კიდევ როგორ შესვლას უხეირო გამონათქვამი უკეთესი აზრობრივი გამონათქვამი, როგორ აქციოს აზრის ბუნდოვანება მეაფიო აზრად.

ასეა მხატვრობაშიც. ამიტომ ნურც ერთი მხატვარი უნ შეეცადოს ხელოვნებათმცოდნისაგან, რომ კრიტიკოსმა მის მოუტას აიღებინა და წითლანად მწვანე ფერის მიდგომილობას შეაკვლიერებინა რომელიმე სხვა მიმდგომი ფერით, დასვარს ხელწერას შეუცვლიან დიპლომატიული მანერით. მხატვარს სჭირდება, — თუ ის ნაკადიერი, პროფესიული მხატვარია, — იდეურ-აზრობრივი რჩევა და სასიტყვილოც კია, რომ ერთის ტიხელ ხელწერას მეორის კარგი კალიგრაფიით ვცვლიდეთ. და საერთოდ, ხელწერის შეცვლა აზრობრივ შეცვლას არ მოსწავება.

ასეთი წინააღმდეგობა იმითმ დაგვიკრია, რომ ვინც კვლავც მოითხოვს, ხელი ავიღოთ ნაწარმოება აზრობრივ განხილვაზე და გადავიანაცლოთ ნაწარმოების შექმნის ტექნოლოგიური რეცეპტების შემოღებაზე — სურვილს არ ავუსრულებთ. სამაგიერ შეუძლიათ მოითხოვიონ სპეციული სემინარი, ტექნოლოგიური კოლოკვიები, რომელსდაც ავლანაკლო მხატვრებს კონკრეტული მაგალითებით განუმარტავენ მათივე უფრო მცოდნე და გამოწვითობილი პროფესიული კოლეგები. ჩვენ ეს სიტყვებს გავაგრძობლებთ ნაწარმოება მხატვრულ-იდეურ დირბულებზეზე, პროფესიულობისამი ჩვენს შესხედულებაზე, რომელიც მთლიან ჩვენი საზოგადოებრიობის ერთობლივი შეხედულებებიდან გამომდინარეობს.

ბრომოლოგიი აზრი

მს მრომოლოგიი აზრი იმაში გამოისატება, რომ

1. ჩვენს საიუბილეო გამოფენას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი X XIV ყრბოლობისათვის შობების პერიოდი, უფრო ადრე კი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და კომუნისტური პარტიის თუქმდობის ვლადიმერ ილიას ტი ლენინის დაბადობის 100 წლისთავის აღმნიშვნელი წეიში, რომელიც საბჭოთა ხალხების კოონომიური, პოლიტიკური და მხატვრულ-შეოქმედებითი ძალების დათვალაირებისა და შედგომი ამნტიკვიების გრანდოზულ მოვლენად გადაიქცა. ლენინის თუბოიმ კიდევ უფრო გააძლიერა მხატვრული ინტელიგენციის მწარმება კომუნისტური მწენებლობის თანმხედვერობის საზოგადოებრივით გასაშლელად, ხალხის მატკრიბოლური და იდეური უნარიანობის გასაზრდელად, ახალი ზიანების დასახვა-დასაძლიერა, ხელოვნების კვლავც ხალხის სასაზოგადოებრივად ჩასახენებლად.

2. ამ მთავარ, მაკისტრალურ ამოცანას ისახადნენ სხვა დიდი პოლიტიკური ღონისძიებანიც, კერძოდ, საქართველოში საბოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლის იუბილევ.

რაც ჩვენს რესპუბლიკის მწრომელებმა მაღალი საწარმოო-იდეური მაჩვენებლებით აღნიშნეს და კიდევ უფრო ღრმად ღრისტიაინობით იხენიეს.

3. საქართველოს მხატვრების საიუბილეო გამოფენა წარმოადგენს მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენას საერთო რესპუბლიკური შემოქმედების ციკლში და აღიქმება ქართული საბჭოური მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, კინოსა და არქიტექტურის განვითარების ლოგიკურ წარმტებად, მის ბუნებრივ ნაწილად.

4. საქართველოს მხატვართა შემოქმედება არათუ იკვებება რესპუბლიკის საერთო შემოქმედებით პოტენციით, არამედ, თავის მხრივ, ცხოველყოფილ შეგავლენას ახდენს მწერლების, თეატრის, მუსიკის, კინემატოგრაფიისა და არქიტექტურის ერთობლივ განვითარებაზეც.

5. ასეთი ურთიერთშემოქმედების ატმოსფერო მტკიცდება საერთო იდეოლოგიური უკრსით, ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპის მტკიცედ გატარებით, რომელსაც მუშაობის მთავარ გეზად იხდის საქართველოს მხატვართა კავშირი და უმაღლესი სასწავლებელი — სახმმართველო აკადემია.

6. რესპუბლიკაში სწორად დაყენებულმა სამხატვრო აკადემიებმა სწავლებამ და მხატვართა დამოუკიდებლად გაწეულმა შემოქმედებებმა ძიებებმა კეთილგონიერული პირობები შეუქმნეს საქართველოში სახვითი ხელოვნების ამაღლებას, რაც საიუბილეო გამოფენაზეც გამოვლინდა.

7. რესპუბლიკური საიუბილეო გამოფენა რამდენადაც განსხვავდება დღემდე ჩატარებული გამოფენებიდან როგორც მრავალფეროვანებით, ისე მასშტაბურობით, საკაონფერო კომიტეტის სასწავლოზე განსახილველად წარმოდგენილ და საქსპოზიციოდ მიღებულ ნაწარმოება სიმრავლით.

8. საერთო ექსპოზიცია განაწილდა ოთხ თბიქტზე, — სურათების სახელმწიფო გალერეაში, მართათვილის ხიდის საქსპოზიციო სალონში, გოდინში და სახალხო მეურნეობის მიღწევათა სალონის პავილიონში. ოთხივე ექსპოზიცია ითვლის მრავალ ნამუშევარს, რაც ბევრად აღემატება წინა პერიოდის ასეთსავე ვერნისაყვებს. ესეც ნათლად მტავლდება ჩვენი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვან რიცხობრივ და ხარისხობრივ ზრდაზე.

9. საიუბილეო რესპუბლიკური გამოფენა გარკვეულად გამოიჩინა თქმელობითი და შემოქმედებითი ხელწერის მრავალმხრივობით. ეს მიღწეულია იმით, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით დართო გზა ექვალ სოციალისტური რეალიზმის ბელოვნებს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვნების ქვეკუთხედს. აღნიშნული გამოფენა კონკრეტული საბუთია იმისა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ადგილი არა აქვს ნიჭისა და გემოვნების ნივლიერებას, სტილისა და ხელწერის უნიფიცირებას. პირიქით, ისე, როგორც მრავალფეროვანია სოციალისტურ მწენებლობაში ჩაბმული საბჭოური ხალხის ნიჭისა და ძალების პოტენცია, — ასევე მრავლისმეტყველებას სოციალისტური მეთოდით წარმართული სხვადასხვა ხელწერის, მაგრამ ერთობლივი მიზანდასახულებით გამსჭვალული საქართველოს სახვითი ხელოვნება.

10. საიუბილეო გამოფენის ექსპოზიცია არ განიასხედება ერთი რომელიმე ლოკალური თემით. როგორც მოსალოდნელი იყო, ფართოა საქართველოს მხატვართა შემოქმედების საზოგადოებრივი დიაპაზონი. გამოფენის ექს-

პროცესში წარმოდგენილია ჩვენი ხალხის ცხოვრება-ბრძოლის მრავალი მხარე, კერძოდ, მასში ნაჩვენებია ისეთი საკითხები, როგორც არის:

ა. საქართველოს მშრომლების რევოლუციური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასაყარებლად.

ბ. საქართველოს მშრომლების სამეურნეო და იდეოლოგიური ბრძოლა სახელმწიფოებრივი სისტემის დასაცავად და განსამტკიცებლად.

გ. ხელი ლენინისა და კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ზღვიდასრულებების ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვა.

დ. კომუნისტური საზოგადოების შექმნელთა დასვენება, ხალხის კულტურულ-ესთეტიკურ მიზნოვნათა მხატვრულად აღქმა, ადამიანების ფიზიკურ-სულიერი სრულყოფის შეცნობა, მშრომელთა ესთეტიკური და ფიზიკური ხილამაისი ჩვენება.

ე. საქართველოს ბუნების მშვენიერება და ბუნებასთან შეგნებულ დამოკიდებულებას გაზრდილ ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი ფსიქიკის გახსნა. მთა-ბარის ხელშეუხებელი პეიზაჟის ინდუსტრირება და ინდუსტრიულ ლანდშაფტში ბუნების მშვენიერების შეტანა.

ზ. საზოგადოებრივი მოღვაწეობის მონაწილე დიდი და პატარა ადამიანების პირადი თუ კოლექტიური ყოფითობა — თავატყალური, სამუსიკო, ჟიროგრაფიული თუ სპორტული სანაზაობითი ღონისძიებანი.

მარადიულის აწვევადიურობა

ჩვენში რესპუბლიკის მშრომლების ასეთი მარადიული პრობლემატი წარსულშიც პოულობდნენ სათანადო ასახვას. ეს ბუნებრივი არის, რადგან საქართველოს მხატვრები თავიანთი ცხოვრების მიზნად მშობლიური ხალხის სამსახურს ღიბობს იხიან. წარსულშიც შეიქმნა არა ერთი მნიშვნელოვანი ტილო, რომელიც საქართველოს სახეობით ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა და სათანადოდვე აღინიშნა ფართო საზოგადოებრივი აღიარებითა და უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოების ჯილდოებით.

მიუხედავად იმისა წარსაქმებისა, ქართველ მხატვართა შემოქმედებაში შემოქმედდა ისეთი ნაწარმოებების მომზადება, რომლებიც შემოქმედებითი სტილის ხელოვნურად გამოუმუშავების ცდას უფრო გაავდა, ვიდრე ესთეტიკურ შეხედულებათა ბუნებრივ გამოვლინებას. ამის შედეგად ზოგი მხატვარმა გარკვეული დღადა გადარსდა ნაძალადევი პრიმიტივიზმი, ადამიანის ფიგურის გაუმარტოვებელ გაუხეშებას, ფსევდოხალხურობის ტენდენციას.

ამასთან ერთად იყო დიდი, მონუმენტური თემის ხმადაბლა, ფუნქცია კამერულობაში გადაკვივის ცდებიც; და ეს მართლმდებდა ე. წ. მოდერნ ფსიქოლოგიზმის შემოჭრით. ზოგი მხატვარი უფრო მეტ იეროლოფურ აზრობრივ დატვირთვას აძლევდა ნაწარმოებებს, ვიდრე აზრის მკაფიოდ გამოხატვას სახეობით ფორმას.

ამის შედეგად ზოგიერთთა ნაწარმოებებში წინა პლანზე ჩნდება ბუნების, ხასიათის, მოვლენის ფერსაზოობრივი დეკორირება. განმირად ჩანინილი, გამოფიქრებელი ბუნების ხედების ხატვა, ადამიანის ნაკეთების ულსაზოად გამოკვეთა, ფსიქოლოგიური ღრმა ფიქლის მკაფიერ, სტატიკური გაყვანა აზრისა და ფიგურისა.

ყოველივე ამს გვერდით ადგილი ჰქონდა მხატვრული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის უნიფიკირებას, პიროვნების დეკორირისაყვის. შესამჩნევად მცირდებოდა ისეთ ნაწარმოებთა რიცხვი, რომლებშიც გახსნილი იქნებოდა ადამიანის, პერსონაჟის გმირობა, ინდივიდუალობა, პერიკულობა.

საბედნიეროდ, საიუბილეო გამოფენაზე ასეთი ნაწარ-

მოებები არაა, მაგრამ მინც აქვს ადგილი ადამიანის ტრინოსა და სხეულის მონუმენტურობის დაკნინებას, მოძრაობის მექანიკურობას, კომპოზიციების სქემატურობას, პერსონაჟის ერთხალხუანებას, მონოტონურობას, ერთფეროვანებას.

ასეთი ნაწარმოებებით უფრო თვალში გვეცემა ფერწერა და მოქანდაკეთა ნახელავი და უფრო ნაკლებად — გრაფიკისა ნაშეშვებები.

მიუხედავად ამისა, ქართველ მხატვართა შემოქმედებაში ყოველთვის უპრობდა მშობლიური ხალხის ფსიქიკასთან ტრადიციულ, კარგვეც კავშირში ყოფნის საიმედო ჩვევა. ამან გახაპირებას, რომ საქართველოს მხატვართა შორის არ აღმოჩნდნენ ისეთი მოდერნიზმები, რომლებიც მამად გაკვეთილდნენ უცხოურ, მოდერნოიზმისა და თავადგებულ დამოკიდებულებას კლასიკური მეგვიდრობისადმი. ასეთივე მტკიცე სახელოვნო პოლიტიკა ტრადიციად მწერლობაში, თეატრში, მუსიკაში, კინოსა და არქიტექტურაში და ამითაც ახსნიება ქართული სახეობით ხელოვნების მტკიცე დამოკიდებულება ქართული რეალიზმის მეთოდით წარმატულ ხელოვნებაში.

ისტორიულს დოკუმენტურობა

მამბებში ციკლიდან უპირველეს ყოვლისა შეგნებდებით ბელადის იერსახის შექმნის პრობლემაზე, ქართველი ხალხის ერთგულებასა და სიყვარულზე ლენინის უკვდავი იდეებისადმი. და ასეთი დამოკიდებულება ამ თემისადმი შესამჩნევია არა მხოლოდ მხატვრობაში, არამედ ბევრ შემთხვევაში აისახება პარტიულ დოკუმენტებშიც. მაგრამ ამანავე ბრვენიეს მოხსენებაში ლაპარაკია ჩვენი სახეობით ხელოვნების განვითარების არც თუ მაღალ ტემპზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ კრიტიკულ ვერ გავმალეთ, არ ვუშინებთ მხატვრებს იმას, რასაც ვერძნობთ.

გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იმ ფერტილებში, რომლებშიც გადმოცემულია ბელადისა და რევოლუციური ხალხის იდეური ერთიანობა და ფსიქოლოგიური მთლიანობა. ყოველივე ეს ვლინდება არა მხოლოდ ლენინის პერსონიფიკირებულ პორტრეტებში ან კომპოზიციებში, არამედ საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ რევოლუციურ, გარდაქმნელობით, პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ლენინის იერსახე იხედება არა მარტო პორტრეტებში, არამედ ჩვენი საზოგადოების შენების გადმომცემ განსოგადებულ ნაწარმოებებშიც. მიუხედავად ამისა, გამოფენაზე არის ბევრი მხატვრული ტილო, რომლებიც კანონობრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით ლენინის პერსონიფიკირებული იერსახის შექმნას მიეძღვნა.

ლენინის იერსახულ ფერტილოდ წარმოგადგინდა რობერტ სტურუას, ივანე ვეფხვაძისა, დავით აბოთაშვილის ფერტილოებიც და ლენინიანას ციკლის სწორედ ამ სამ ძირითად ნაწარმოებზე გაგამახვილებთ კურადლებას.

რობერტ სტურუას, ივანე ვეფხვაძისა და დავით აბოთაშვილის ამ კონკრეტული ნაწარმოებების განხილვისას ჩვენ ვხედავთ მკაფიოდ იური მისაზრებით: პირველი გამოიხატება იმით, რომ ლენინიანას თემა იყო და რჩება მაგისტრალურ თემად საბჭოთა სახეობით ხელოვნებაში. ამას ადასტურებენ პარტიის ოცდამეათეხე ყრილობაზე საანგარიშო მოხსენების ის ნაწილიც, რომელშიც ამანაგი ლენინი დილი-ას ძე ბრვენიევი ამბობდა:

„ლიტერატურულ და მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საანგარიშო პერიოდში ლენინის თემაში. გაჩნდა მთელი რიგი საინტერესო რომანები, პიესები, კინოფილმები ლენინის შესახებ, რომლებიც გამსჭვალულია რევოლუციური მგზნებარებით, ლენინიზმისადმი ერთგულების პათოსით“.

როგორც ვხედავთ, მხატვრულ შემოქმედებაში, ამხანაგ ბრენენვის სიტყვით, განსაკუთრებული ადგილი უკავია ლენინის თემას. მით უფრო ნათელი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ასეთივე განსაკუთრებული ადგილის დაკავებები გაუმინანათ ჩვენს მხატვრებსაც. რობერტ სტურუა, ივანე ვეფხვაძე და დავით გაბიტაშვილი კი ისეთი მრავალფეროვანი მხატვრები არიან, რომელთა შემოქმედებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლენინიანას.

ეს არის ის პირველი მოსაზრება, რომლითაც მივმართეთ სწორედ რობერტ სტურუას, ივანე ვეფხვაძესა და დავით გაბიტაშვილს.

მეორე მოსაზრება არის ჩვენი მათდამი პირადი მეგობრობა და მათი შემოქმედების მოწონება. ვინც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ რობერტ სტურუაზე, ივანე ვეფხვაძესა და დავით გაბიტაშვილზე დაბეჭდილ ჩვენს წერილებს გაიხსენებს, დარწმუნდება, თუ რამდენი მოწონებების სტრუქტურით გვიძღვნიან ამ ნიჭიერი და იდეური ფერმწერებისთვის. ამიტომ ასეთივე კეთილსურველობა უწყვეტად განვიხილავთ მათ ახალ ნაწარმოებებს, ხოლო მათ მიმართ განსაკუთრებული შენიშვნების მხოლოდ მათივე შემოქმედების სასიკეთოდ გავგეგმიზნავს.

რობერტ სტურუას „ლენინის ძეგლის გახსნა თბილისში“

რობერტ სტურუამ წარმოადგინა დიდი ზომის მრავალფეროვანი კომპოზიცია — „ლენინის ძეგლის გახსნა თბილისში“.

თქმა არ უნდა, ეს თემა დიდად მნიშვნელოვანია და თანავე ისტორიულობის თვალსაზრისით მტკადა ახალი. ამ ფერტილის მხანველსა და აღმქმელს ადვილად შეუძლია მთელი დოკუმენტური სიზუსტით დაასვენოს, რომ მხატვრის მიერ ასახული ფაქტი ახალ შუქს აქვან მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, თუ, რასაკვირველია, თარიღიც დაემთხვევა.

როგორც ვითვით, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში გაიმარჯვა 1921 წლის თებერვლში. მართალია, თბილისის თავზე საბჭოური წითელი დროშა 25 თებერვალს აფრიალდა, როგორც ამის შესახებ სერგო ორახიანიც ბაქოდან დეპუტით აცხიბებდა ლენინსა და სტალინს მოსკოვში, მაგრამ, საბოლოოდ, მთელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მხოლოდ მარტის პირველ ნახევარში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თვის იმითაც ვაზუსტებ, რომ მარტიდან მხოლოდ იქნის თვეც არ გასულიყო და 1921 წლის სექტემბერში, პირველად მთელს საქართველოში სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საქართველოში დაიდგა ცოცხალი ლენინის ქანდაკება.

ეს ფაქტი დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება უკვე ოთხ წელს ითვლიდა, მაგრამ არც პეტროგრადში და არც მოსკოვში ლენინის ქანდაკება არ დადგმულა.

თბილისში დადგმული ლენინის ძეგლის ავტორი იყო მეორეთვე არმიის წითელარმიელი, მოქანდაკე სერგევირაძენდაც აპოლონ ქუთათელისძესთან პირად საუბარში გავიცნია, მას და მის კოლეგებს ახლო მეგობრულ დამოკიდებულება ჰქონიათ ამ ნაკლებად ცნობილ მოქანდაკესთან. ლენინის ძეგლი დაიდგა ყოფილ ოლქის ქუჩაზე, ამჟამად რუსთაველის პროსპექტზე, საქადრავო კულების წინ და ეს ფაქტი იქცა მამნიშველი თბილისის მოსახლეობისათვის ზეიმისა და ლენინისადმი მადლიერების გამოვლინებად.

ამ თემაზე დაწერილი ფერტილის ავტორმა დიდად მოსწონი საქმე გააკეთა, რაკი აღმქმდა და ისტორიას დეტალურ ისტორიულ მნიშვნელობის მოვლენა.

მარგამ, აქვე უნდა შევხიზნოთ, რომ ავტორმა კონკრეტულად, ისტორიულ სურათში მთელი სიზუსტით არ დაიკავ ისტორიულ სინამდვილედ, ლენინის ძეგლის გახსნის ზეიმური განწყობილება კონკრეტული დანაშაულობა და დეგულაციონა და აიტანა. ასე შეალოთადა: ცნობილია, რომ 1921 წლის სექტემბერში ლენინის ძეგლი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, საზეიმო მხანველობა პუბლიცისტური ვითარებაში სიტყვად ფილიპე მასარაძემაც. ფერტილითვე კი იკითხება მემორიალური ატმოსფერო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბელადს ძველი დაუდგეს არა 1921 წელს, არამედ 1924 წელს. კომპოზიციის ცენტრალური ფიგურა — ფილიპე მასარაძის გამოსახულებაში ამოიკითხება არა ზეაწეული მისაღობება, არამედ თავდაწეული გამოთხოვება. მის თვალეზში სამგლოვიანო განწყობილება ჩანს, მისი ტანი სტატუარული შეურენელობით სდუმს. ფილიპეს გვერდით მდგარი ქართველი ქალიც შორეთის სიღრმეში იყურება, მისი თვალეზი არ გვაძინებთ ცოცხალი ბელადის სახის აზრით წარმოსახვის სიხალისეს. მასნიც უფრო სხვაა, — ბელადის გარდაცვლილებით გამოწვეული სამგლოვიარო განწყობილება.

ასეთ ასოციაციებს წარმოშობენ დანარჩენი პერსონაჟებიც. ფილიპე მასარაძისა და ქართველი ქალის უკან მდგარი ორი ქართველი კაცის დრამატისმით დამძიმებული სახე ასოციაციურ განწყობილებას აცხიბებს და მემორიალურ-სამგლოვიარო ატმოსფეროს ავლენს ყვავილებით ხელში წერ წამომდგარი პატარა ბიჭუნას დანაშალო, რომელიც ძველსაც კი ვერ უსწორებს თვალეზს. დანაშალონიშნული და გათვებული დამყურებს კვარცხლბეგს, რასაც, თავის მხრივ, ასეთივე დუმილის ტინალობას უქმნის ძეგლის ძირის დაფუძნის თეთრი ნარმა და ზეად დაყრილი ცოცხალი ყვავილები.

კომპოზიციის მარჯვენა მხარეზეც მუშეხისა და წითელარმიელების მდგმარე ფიგურები დგანან; შეიარაღებული მუშა ზურგმშობეულია, თოფებდმართული ჯარისკაცი კი პროფილურ თუ ანფასურ ჭრილობით მდგმარე დამაბელობით იყურებობს, მაგრამ ლენინის გარდაცვლილებისაკენ კი არა, ისევ სივრცეში, თვალეწეუნე შორეობში.

ასეთი კომპოზიცია არღვევს ისტორიულ ფაქტს, საბჭოთა კავშირში ლენინის ძეგლის გახსნის პირველობის უნიკალობას და ამის გამოც დასაწევებს ჩვენს რესპუბლიკას საერთო რიგში, ან საერთო რიგში მხოლოდ თბილისში, როცა ლენინის გარდაცვლილებს შედეგე მასობრივად დაიწყო ლენინის ძეგლების დადგმა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

შესაძლოა, ზოგი არც კი დავეთანხმოს ასეთ შენიშვნაში ის საბუთო, რომ მხატვარმა ასახა არა ლენინის პირველი ძეგლის დადგმის მომენტი, არამედ მისი შემდგომი თანმიდგრობა. ეს, რასაკვირველია, სწორი იქნებოდა, მაგრამ, მაშინ აღარ უნდა იყოს მხატვრულ დოკუმენტად აღებული კონკრეტულად სერგევის ქანდაკება, კონკრეტულად ოლქის ქუჩა, კონკრეტულად საქადრავო კულები და კონკრეტულად ფილიპე მასარაძის გამოსვლა ძეგლის გახსნაზე. ისტორიული დოკუმენტურობის ასახვა არალოკუმენტურობით ჩვენ მიუღებლად გვეჩვენება, რადგან ისტორიულ ფაქტს ისტორიულობას გავრცავს.

როდესაც ჩვენს ასეთ მოსაზრებას გაეცენ მხატვართა კავშირის პრეზიდენტი წვევრი, რამდენიმე დამსწრე მხატვარმა, ჩვენის აზრით, პარადოქსული აზრი გამოთქვა. კრიტიკოსმა სიუჟეტურადაც კი არ უნდა მოგვიხიზნოს, რაც მან რ. სტურუას ამ კომპოზიციამ დანახსა, არამედ

ფერწერილი შესრულების ტექნიკის ანალიზით დაამტკიცოს.

ცოტა გაუგებარი მოთხოვნაა. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ფერწერილობა ტექნიკამ, დაზგურობამ თუ დეკორატიულობამ, მონუმენტურობამ ან კანტორულობამ, უნათი წერამ თუ აკრძალული სატყვამ რამდენიმე მსგავსის ნაწარმიების შესახებ. დავუშვათ, რომ, როგორც უზოგ ვეაფერ-თისებდა, „შესაღებელია მაგორულობა ფერებმა სამგლო-ვიარო განწმინდილობა სახეიმი განწყოიბილებით შევცვალო-სო. ამიტომ საჭიროა ფერის ანოტებებაზე ილაპარაკო-თო“. რასაკვირველია, ფერის ანოტებებში შედილობა მკა-ვირებობა მისცეს ნაწარმიობებს, მაგრამ აბა შეუძლობა ინტენ-სირობამდე გადიდებულ, ან ინერტულობამდე შენელებულ ფერს სურათში ჩადებულ ნაწარმიების განწყოიბილებ-და და აზრი საპირისპიროდ შესცვალოს? მაგორული ფერი ვერასოდეს ვერ გადაშლის პერსონაჟის მწუხარებას, ხლოდ დუნე ფერი ვერასოდეს ვერ წაშლის სიხარულის გამონათე-ბას. ფერის შეუძლობა მხოლოდ გაძლიერება ან შესუსტება, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში საწინააღმდეგოს წარ-მოქმნა.

ამიტომ მივაჩინა, რომ ვერავითარი ტექნიკიში ვერ შეუვლის ნაწარმიობის იდეის შეცვლას. ვერც ტალანტი! დიდ ტალანტის სპეციფიკა იმაშია, რომ ისტორიული სი-უსტის დაბრუნებ ნაწარმიობეში ტალანტური მხატვარი უფრო გააღრმავებს დარღვევას, უტალანტო კი უფრო ნაკ-ლებად შეუმჩნეველს გახდის შეცდომას.

სტურუა დიდ ტალანტის მხატვარია და ამიტომ არის, რომ მისი ნაწარმიობის ეს ისტორიული უსუსტობა დიდ განსოვადებულ უკმარისობამდე ადის. თუმცა, არც ის არის დასაძალო, რომ მხატვრის ამ ნაწარმიობეში არა ჩანს ავტო-რის ჩვეული პროფესიული ოსტატობა.

ლენინის იგნასია შექმნის დროს შექმნილები, სი-ლაღ უნდა გააჩნდეთ ავტორებს. ეს შემმარტებება, მა-გრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გადაჭარბებული განსო-ვადება და ლენინის სახისათვის უჩვეულო ნაკვირვას და ფსიქიკის მიმატება მხოლოდ დაუჯერებელს გახდის ავტო-რის ჩანაფიქრს.

დავით ბაბიტაშვილის „ლენინი“

ამ შემთხვევაში ასეთი საშიშროება არ ელის დავით გა-ბიტაშვილის დიდ პორტრეტულ კომპოზიციას — „ლენ-ინი“. ავტორი ფუნჯის ოსტატის საკუთარ ძალაში გვახე-დებს და გვაჯერებს, მაგრამ აქვე შეფინშნავთ, რომ იგი ამ ახალ პორტრეტში ოპტიკურობის ისეთ ცდუნებასაც ეძლე-ვა, როცა ლენინის ფიგურა ხელმოფურად გადიდებული ნაკვირვითი გვესახება.

დ. გაბიტაშვილის ფერტილი მკვირი დაზგური ფერ-წერის კარგი ნიმუშია. მხატვარი ოსტატობად ფლობს ფუნჯს. მან ფერი აზრის გადმოხველმ ლეკსიკად აქცია, ხაზი კი — იდეური წვდომის მეზსურად. ყოველივე ამის წყა-ლობით ავტორი კიდევ ერთხელ წარმოგვადგა მაღალარო-ფისული პუბლიცისტ-მხატვრად და უნდა გუსურვოთ, რომ შემდგომში ასეთივე მიოდომებით განაპირობის თავისი გაზა ისტორიულ-რეგოლუციური თემატიკის სფეროში ნაყოფი-ერად სამოქმედოდ.

მაგრამ დ. გაბიტაშვილი ამ პორტრეტულ ნაწარმიობე-ში, ჩვენი აზრით, ერთგვარ ტექნიკურ ძიებასაც ეწევა, რომელიც შემდეგ მოქმნას და გარჯას მოითხოვს ავტორისა-გან. მხედველობამ გვაქვს ნაწარმიობის კომპოზიციური ჩანაფიქრი. კერძოს ეზოს გადასურვე ფანჯარასთან მაკო-დას დაყრდნობა ლენინი. პორტრეტში მკაფიოდ იკითხება ბელადის ფსიქოლოგიური დაძაბულობა. იგი მიერლის არ-სებით მისცემია მიმენტის ანალიზს, კონკრეტული საკი-

თის დიდ განსოვადებაში გადართულა. ავტორი გვახედებს თავისეული წვდომის სიღრმეში, მაგრამ ამავე დროს გვაე-ნობს ისეთ სიერციბორე-ყოციურ კომპოზიციასაც, რომე-ლიც ერთგვარად გვითამავე აღსაქმელისაგან. ეს გამოწვეუ-ლია იმით, რომ პორტრეტის ფიგურის ხილვის ხაზები, თავისი მასშტაბურობის გაორჯობის გამო, აღარ ესატყვისე-ბა მისივე ღრმას აზრის დინების უჩინარ პლასტიკურობას. თავისა და ტანის ნაკეთების წემემტად გადიდებულად წარ-მისასხვა არღვევს ბელადის აზრისა და ტანის პარმიონუ-ლობაში მიჩვეულ ჩვეის წარმოდგენას და ნაწარმიობის ოდ-ნავ ხელთნურობის იერს აძლევს. ჩვეის ასეთ უკმარის გრძობას ტექნიკიზმის სფეროს სხვა დეტალიც უჩდის. ფანჯარაში მოსრასს კრემლის ეზოს დაზამითრლი პეიზაჟი, მასპიკის კოშკი ალყაფივის კართი. ეს პეიზაჟური ფრაგმენ-ტი დაწერილობა ნორმალური, ბუნებრივი პროპორციის, პერსპექტივის კანონის სწორი დაცვით. მაგრამ, სწორედ ყოველივე ეს, თავის მხრივ, უფრო გამოძვეული ელემენტად იქცევა, რადგან ადამიანის ფიგურა გაზვიადებული, განიე-რი ოპტიკით არის დაწერილი. ფიგურასა და პეიზაჟს შო-რის დარღვევული პერსპექტივის ხაზი. საკმარისი კი იყო პერსპექტივის კანონის დაცვა პირიბითობის ცდუნებისა-გან და მაშინ წინა პლანზე გამოხატული ადამიანის ფიგურ-ის ასე ვერებრივლად აღარ მოგვეჩვენებოდა.

ივანე შიფხვაძის „ლენინის დაბავალბიტი“

ლენინიანას ციკლიდან ყურადღებას იპყრობს აწ გან-სენებულ ივანე ვეფხვაძის ფერტილი — „ლენინის და-ვალებიტი“. ეს ცხობილი მხატვრის უკანასკნელი ნაწარმიო-ბია, მის მიერ გამოიფილიობა შორის, და იმასვე მიკვითი-თებს, რომ ამ დიდად ნაყოფიერმა ოსტატმა თავისი შე-მოქმედივის საკმარისი ნაწილი ლენინიანას დამკვირვო-ბის მიუძღვნა და, უნდა ითქვას, რომ მისი დავალი ამ მნი-შვნელოვან სფეროში საქართველოს მხატვრების ცხოველ მონაწილეობაზეც შეტყვევებს. აქვე, შესენების სახით, ნივანიშებით იმათ უშარბიულობასვე, ვისაც მიჩანია, რომ თითქმის მხატვრები იყოფილდნენ პოლიტიკური პუბლიცის-ტიკისა და კამერულ-ფსიქოლოგიზმის კატეგორიებად. აღ-ბათ სხვებიც გამოთქამენ საკუთარ აზრს, მაგრამ, ვფიქ-რობთ, რომ ყოველი თანამედროვე შექმნილი პოლიტი-კურ-პუბლიცისტურ ნაწარმიობეში იმევე უნდა ავლენდეს ფსიქოლოგიური წვდომის ხერხებს, როგორც კამერულ-ფსიქოლოგიზმი გატაცებულიც. არც ერთნი არ უნდა გა-ურბოდნენ საზოგადოებრივი, პუბლიცისტური წერიადო-ბის მოტივებსა და ემოციებს. ისინი ორობათ და უნდა უხე-მებდნენ, რადგან ორგანული შესამების გაჩეჩე არ მიღწე-ვა სრულფასოვნებას. ასეთი მოსაწონი შესამების მხვეიერი მავლობის იძლევიან იაკობ ნიკოლაძე და თამარ მამაკლია, ლადო გუდიაშვილი, აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე, რობერტ სტურუა, კორნელი სანაძე, გოკი მუსხარბე, გივი თოთბაძე, გივი შემმარიაშვილი, თოარ უზაგაძე, გივი თოთიძე, კოკი იგნატოვი, ალიომა ვეფხვაძე, რადიმ თორ-ლია, მიქაელაკეები: ელგუჯა ამაშუკელი, მერამ ბერძენი-შვილი, მერამ მარამიშვილი, სილოვან კაკაბაძე, თენჯირა ღვინიაშვილი, ლევან მხეიძე, გახატბე იონიანი, ბორის ცი-ბაძე, მიხეიას ავალიშვილი, ირაკლი ოჩიაიური, კობა გურუ-ლი, გურამ გაბაშვილი, გრაფიკოსები: თოარ ჯიმეარინი, თენჯირაზ ყუბანეიშვილი, დინარა ნოდია, ნანი შალიკა-შვილი, ჯემალ ლოლუა და კიდევ ბევრი სხვაც.

პოლიტიკური პუბლიცისტიკის ძლიერ ძალს წარმო-ადგენს ივანე ვეფხვაძეც. მისი უკანასკნელი ფერტილი — „ლენინის დავალებიტი“ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენა-ზე მოკვითხრობს და, როგორც ყოველთვის, ავტორი აქაც ერთგული რჩება თავისი თემისა. დიდ ფერტილიში ლენი-

მხატვარი გააზრდულად არჩევს თემას და ლოგიკურად ამიხსნის ნაწარმოების იდეას. ამ შემთხვევაში ავტორის სურდა საქართველოს მთიანეთის თვითი დაენახა საქართველოს ნაინჯეთი, კახეთიდან კოლხეთში ჩამოსულ საეპის სანაპირო წყაროთა სურათბოკებში გაწეული შრომა, ზემოურების ლტოპთ ენეგენებისა ქვემოურების გარჯა და საქართველოს მთა-ბარის ფსიქოლოგია ათი ციდა სივანის ტილოზე ააფერხებტყველა.

კომპოზიციის შეუკლებელი ჭაბუკა და გოგონას ფიგურებია გამახატული. მათი დგომა ხელოვნური პოზირება როდია. მათი ცქერა გაოცებაც არაა. ერთობ და მორიგე, ვაჟიც და გოგონაც, მიწასთან ადამიანების და მოყვრება-დამძობილები პიროვნის აკვირდებიან და კამოფილები გრძნობით იგებენ, ბარში გაშენებული ჩაის პლანტაციების სანახავად მიიდან ჩამოსულია და იქაურთ მიწისა და იქაურთა შრომით ნამრავლები სიტკბო-ძღვენიც თან ჩამოტყანიან. გოგონა ხილთ სასეც კალათს დაყვარდობა და ლაღად დონეზოქოყრილი თოღი არსებით ჩაის, „ღაჯარცხნილ“ შწკრივებს დასცქერის. მისი ტანი ზემოდან დანათებულია და ლოყა-კისერზე ჩრდილოდებულა. მზემოკიდებული მისი სახე კიდვე უფრო მკვირივი და შკაფით ხდებდა და მზერაც სანახავისეც მისწრაფებულა. მხატვარი გოგონას სახეს შექრდილობის კონტრასტებრით ენერგიულობას ამოკვს და ქალურ სიბრბილესაც არ აკლებს. იმისათვის, რომ სურათის მხანველის ყურადღება აზრის გამხსნეული სახისაზე იყოს მიპყრობილი, მხატვარი თანამედროვე შარვაღში ჩამოქნილ ფიგურას ზოგან ჩრდილშიც აქცევს. მუქი ფერის შარვალი თითქმის არც კი მოუჩანს, მაგრამ მინიმალგანად გამოხატული მუხლების გრაფიკულობას მაინც არა მალავს. მომხიბვლელი ქალის გარჯნობას კიდვე უფრო აძლიერებს ათლოტური და ძლიერი იერსახის ჭაბუკის გვერდში ამოფრება. ქოჩოხა და ნანდისოვია ვაჟს მარცხენა ხელი დიკა-კისერთან მიუტანს და მარჯვენით თემის დონეჯით ნაყვარდობა. იგივე გატყვებით დასცქერის ჩაის პლანტაციამი მომუშავე საქარე მანქანას და შესაძლოა კეთილი სიტყვითაც ასწენებს ამ ჭკვიანი, ჩვენი მაშვალთ ქალბის წეღში გამამართლო რკინის გოლიათის გამოძგონებლესა და დამამკიდებლეს.

მაგრამ, არ იფიქროთ, რომ ჭაბუკი გაკვირებულია ჩაის მიწდერებში ტეჩნიკის ნახეთი, სახეზე სხვას ავლენს: თვითონაც მომუშაველია მეჭახიჭორი ძალა და მასაც მიუტრიალ-მოუტრიალებია ტრაპიჭორი თუ ბუღდოხორი. არა, იგი ახლა სხვაც ფიქრობს, შესაძლოა იმაზეც, თუ რა გმირულია ქართული მჭიარე ქალბის შრომა, რა კეთილშობილურია მათი გარჯა ჩვენი დიდი ქვეყნის ახლო თუ შორეულ კუთხებში თიდასა თუ პატარის გასახარებლად, ისეთი ქართული მწვენიე მაჯალის მისაწეიად, რომელსაც ხალხი ართმატი დაპატრავს, მაგრამ მძიმე ადამიანური შრომის ფოღიც ახლავს.

უჩა გაჯარიძე პოეტურად გრძნობს ფერისა და ჩრდილის მეტყველებას. მხანველთა შთაბეჭდილება დეტალებში მრძე არ დაანაწევრონ, მხატვარი ჭაბუკს თუქ ტანისამოსს აქმნებს, რაჟი იყოს, რომ თითრსაყულ და თეთრგულა პერანგი, თეთრ ზედატანში მორთულ გოგონას გვერდით, საენებით გადმოსცემს სიხარულსა და სიხალისის, კმაყოფილებიასა და სტუმრად ყოფნის ბედნიერების გრძნობასა და ატკბილფერის. მხატვარი არც ავდებს იმას, რომ ჭაბუკის შარვლის ტოტები ერთ შრე ღაქად იხედებოდნენ, რათა ასეთი ინტენსიური სიმუქით დამიზნდავად გამოკრთეს გოგონას შავი შარვალი. შავის შავთან ტოლფარდო-

ბის ასეთი შეპირისპირება მეორე პლანზე გამოხატული ქალის ფიგურის სიბრბილთაც ძლიერდება და ყველაფერი ეს მგანებ პლანზე მშობი განახლებული ჩაის პლანტაციის ელგავრებით ორგავდება.

ამგვარად, მხატვარი მუქი ფერის მომველებით საენებას და ადამიანის ტანის ნაკვეთის შეუმქმნელად მალავს, მაგრამ მეორედ გამონათებული შტრიხით მათი დანახვის ილუზიასაც არ აჭრობს.

უჩა გაჯარიძის ეს ფერტოლი საერთა და ფერთი დანაყრებული ნაწარმოებია, რაჟი ავტორმა ერთდროულად იდეური ჩანაფიქრეც გახსნა და ტექნიკურად ხორცშემხმეული ფერწერით ამოცანაც გადასჭრა. ამის მიმღწევი კი ორჯის არის ბედნიერი. ერთხელ იმიტომ, რომ ნაწარმოების შექმნის შემოქმედებით პიროვნული თვითონ დატკბა ესთეტური კმაყოფილებით და მეორედ იმიტომ, რომ სხეუბიც დაატკბო თავისი შემოქმედების კარმინიულობით. ვინც ასე ირჯება და ამისი მიღწევის ძალას ფლობს, მას აღარ სჭირდება ზოგიერთივით ერთხელ უაზროდ თქმული ათჯგარად განმეორება: „ერთტყვისებო, თუ კარგი ბიჭები ხართ, კონკრეტულად მივითვით, სად რა ფერი დავალოთ და სად რა ხაზი გავალოთ“.

უფრო დიდის მოლოდინში

მსამსლი კარგი, იდეურად და პროფესიულად დახვეწილი ფერტოლი ვიხილთ რესპუბლიკური საბიუბილე გამოენებაზე და ჩვენ მხოლოდ ნაწილი განვიხილეთ, უმთავრესად იმ მხანველების, რომლებმაც თავიანთი ნიჭი და დრო საზოგადოებრივი მნიშვნელობის ქედრადი და მღერაში ფერტოლების შესახმნელად წარმართეს.

მაგრამ თემატკური ნაწარმოების შექმნა მარტო საბიუბილე გამოთვლები უნარბის რბიდა. რესპუბლიკური იქნება იგი თუ საგასახფილო, საშემდგომო თუ ჯგუფური ტერმინალური, მხატვართა ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იდგას ცხოვრების სიმართლითა და ღრმა ცოდნით ახალული მოვლენები, — ადამიანების სულიერი აღწევა-ბალორძინების მაჩვენებელი და დამამკიდებელი იდეური თემატკა, საზოგადოებრივი სოლიდარობისა და სოციალისტური ატმოსფეროს გამაღვივებელ-გამაგრეკლებელი სახეითი ნაწარმოებები, ისეთი ნამუშევრები, რომლებშიც ახისხება ჩვენი აწმყოს აღმავალი, შემარებითი დინება, ჩვენი მომავლის ამოკანების სისხლსავსელ განხორციელების პერსპექტივები, ჩვენი გმირული რველუეკური წარსლის სამაგალითობის დაცვა-გაგრეკობის ტრადიციები, ჩვენი შრომითი თავდადებას ნაყოფიერება, საქართველოს ბუნეში შექმნიერების ხალხის სამასხარული ჩაყენება, ქვეყნისა და ხალხისადმი თავდადება, სამჭოთა სახელმწიფოსადმი ერთგულება და სიყვარული, წმინდა პიროვნულის დიდ საზოგადოებრივი გადარზრდა და საერთო-საკაცობროს საკუთარ მორალე-ეთიკური მოქმედების საზომად გადაქმნევა.

ყოველივე ამის განხორციელება მხოლოდ ქმშიარიტ შემოქმდის შევლება, ვისაც ხალხის მიზანდასახულება საკუთარი ცხოვრების არსად გაუხსნია და ერთის ბედნიერება მრავალისათვის კეთილდღეობის გაძლიერებამი განმუქრებია.

ამ სწორ გასა ადგას ქართული მხატვართა დიდი კოლექტივი, რომლებიც ჩვენ მხოლოდ ნაწილის მხატვრული მნიშვნელები განვიხილეთ და ვისკანაც, სხეებთან ერთად, ახალი დიდი იდეებით სახეე მაღალპროფესიულ ფერტოლებს ველოთ.

რეპლენივე შენიძვნა ქართული თეატრის

ისტორიის საკითხებზე

გიორგი ხარატიშვილი

ქართული თეატრის ისტორიის შესწავლა და თანამედროვე თეატრალური კრიტიკა მეცნიერულ ნიადაგზე დგას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი და ახალი თაობის თეატრმცოდნეთა გრძელვადიანი ჯგუფმა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის პროფესორ დიმიტრი ჯანელიძეს. მის კალმს ვაკუთვინს რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი და შრავალი წერილი, რომლებიც დახმარებას უწევდნენ როგორც თეატრალური ისტორიის სტრუქტურის, ისე მათაც, ვისაც აინტერესებდა ქართული თეატრის ისტორია.

ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის შესწავლიათვის დამხმარე მასალას წარმოადგენს აგრეთვე სსრკ კულტურის სამინისტროს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1966-1971 წ. წ. გამოცემული «История советского Драматического театра» ტომად. სამწუხაროდ, ამ მასალაში (1-5 ტომი) როგორც პრინციპული, ასევე სხვადასხვა ხასიათის მრავალ უზუსტობასა და შეცდომებს ვხვდებით, რასევე გვინდა შევახსენოთ როგორც გამოცემილობას, ისე ამ მასალის ავტორს და ტომეულების სარედაქციო კოლეგიის წევრს პროფ. დ. ჯანელიძეს. ეს დასაწანი შეცდომები ზოგ შემთხვევაში სუბიექტურობის შედეგია, ზოგჯერ კი პრობლემათა სირთულეში გაურკვევლობითაა გამოწვეული, რაც საბოლოო ჯამში, მკითხველს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას, ხელს ვერ შეუწყობს სრულყოფილი წარმოდგენა იქონიოს ქართული საბჭოური დრამატული თეატრის წარსულსა და აწმყოზე. ჩამოთვლილთ შორის რამდენიმე:

1. კ. მარჯანიშვილი 1922 წელს სათავეში ჩაუდგა რუსთაველას სახელობის თეატრს და ორი თაობის (ძველი და ახალი) მსახიობებთან დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდობამ 1924 წელს კორპორაცია „დურუჯი“ ჩამოაყალიბა, „ქართული თეატრის მანიფესტი № 1 გამოაქვეყნა, რომელშიც დეკლარაციით მსახიობები „ბებერ კამეზებად“ იყო დებოდნენ. „დურუჯის“ მანიფესტი მსჯელობის საგანდ იქცა

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ქართულ მსახიობთა კულტსექციის წლიურ ყრილობაზე, რომელიც 1924 წლის ივნისში ჩატარდა. საქმე განხეთქილებამდე მივიდა. „დურუჯელებმა“ ყრილობა დასტოვეს და „ახალ მსახიობთა სექცია“ ჩამოაყალიბეს. ძველმა თაობამ პროტესტის ნიშნად თეატრი დასტოვა, „ქართველ მსახიობთა აზნანავობა“ დააარსა და რუსთაველის თეატრის პარალელურად დაიწყო საქმიანობა. ვინ იკვლისხმება ქართული თეატრის მოღვაწეთა ძველ თაობაში, რომელიც განუდგა „დურუჯს“? ესენი იყვნენ — ალექსანდრე იმედაშვილი, მიხეილ ქორელი, ნუკა ჩხეიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოწო ანდრონიკაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ნიკო გვარამე და სხვანი. და აი, ქართული თეატრის ამ ღვაწლმოსილ ადამიანებს ასე ახსიათებენ პროფ. დ. ჯანელიძე: «Консервативная часть «Союза актеров», хаскиряясь выступлениями против корпорации «Дуруджи», пыталась защитить отжившие традиции дореволюционного театра, саботировала мероприятия по обновлению репертуара, प्रति-ноставляя актеров-гастролеров творческому коллективу театра, препятствовала выдвижению актерской молодежи. Представители этой группы, во главе с А. Имедашвили, после раскола Союза вышли из состава труппы Театра им. Руставели»¹ და იქვე პერსონალურად ასახელებს რუსთაველის თეატრიდან წასულთ: «Ушедшие из театра и.п. Руставели актеры и режиссеры — А. Цуцунава, К. Андроникашвили, Ал. Имедашвили и др.».

ჯერ ერთი, საიდან აიღო პროფ. დ. ჯანელიძემ, რომ 1924 წელს რუსთაველას თეატრიდან წავიდა ა. წუწუნავა, როდესაც ნისი უკანასკნელი დადგმა ამ თეატრში შედგა 1922 წლის იანვარში (ნ. ხაკაშიძის პიესა „ვენი არის დამანაშავე“). ა. წუწუნავას რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილთან ერთად საერთოდ არ უმუშავებია, 1922-1924 წლებში იგი მთავარი რეჟისორი იყო თბილისის ოპერისა

4. „საბჭოთა ხელოვნება“ № 11, 1971.

და ბალეტის თეატრის და რუსთაველის თეატრიდან წაღებული შეუერთდა მხოლოდ „ქართვლ მსახიობთა ამხანაგობაში“. მერვე, ვინ დაიკარგებს, რომ ალ. იმდავჭელი, ნ. ჩხეიძე, მ. ქორიელი და სხვანი, რომელთაც მთელი სლონი-ენი და ფიზიკური ენერჯია ქართულ თეატრს შესწირეს, თითქოს ხელს უშლიდნენ მსახიობთა ახალი თაობის დაწინაურებას, საპირაქს უწყობდნენ რეპერტუარის განასვლებას ახალი, იდეური და მხატვრულად გამართული პიესებით, რომ აღ. წუწუნავა თეატრის შემოქმედებით კოლექტივს უპირისპირებდა. მსახიობ-გასტროლიორების¹, მაშინ, როდესაც სწორედ აღ. წუწუნავა ვაზლად მის პირველი რეჟისორი, რომელმაც ჯერ კიდევ 1910 წლიდან (მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან დაბრუნებისთანავე) ბრძოლა გაიშუქებდა გასტროლიორების თეატრს და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სასცენო ანსამბლურობას. მთავალი თეატრის ისტორიაში ბევრი არ მოიძებნება ეროვნული და სახალხო საქმისათვის ისეთი თვადადებული, უანგარო მოღვაწე, როგორც ქართულ თეატრს ჰყავდა და მათი ისეთად წარმოადგენა, როგორც ეს პროფ. დ. ჯანელიძემ იხება, მარ-თებული არაა.

2. პროფ. დ. ჯანელიძეს განუზრახავს შეითხვეოს გააცნოს კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის შემოქმედებითი მეთოდების განსხვავების მთავარი მომენტები და მხოლოდ ის მოუფიქრებია, რომ თითქოს «в своей работе Ахметели хотел опираться непосредственно на теорию Павлова и обойти стороной «Субъективную теорию» Станиславского. И в этом было его основное расхождение с К. Марджанишвили»².

პირველ ყოვლისა საინტერესოა, პროფ. დ. ჯანელიძემ ავცილხან რას ნიშნავს კ. სტანისლავსკის „სუბიექტური თეორია“? პროფ. დ. ჯანელიძეს, რომელიც თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს კ. სტანისლავსკის სისტემას ასწავლიდა, მოგონებებით უნდა შევსახდეთ, რომ ავადმიპირის პავლოვის თეორია ადამიანის უმაღლეს ნერვული სისტემაზე არასოდეს არ დაბრახიპირებულა კ. სტანისლავსკის სისტემადან და პირით, კ. სტანისლავსკის მოძიერება მსახიობის აღზრდისა და მსახიობის მიერ როლის განსახიერებაზე ძირითადად ეყრდნობა დიდი ფიზიოლოგის — სეჩენოვისა და პავლოვის თეორიებს.

3. პროფ. დ. ჯანელიძე განსაკუთრებით უმართებულა დიდი ქართველი საბჭოური რეჟისორის ს. ახმეტელის მიმართ და ყოველმხრივ ცდილობს დაამკვიროს მისი რეჟისორული მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების საქმეში. აი, რასა წერს: «С. Ахметели выступал против психологического реализма в искусстве, отрицал значение творческого наследия дореволюционного грузинского театра. Изучение опыта русского реалистического театра он считал пагубным для деятелей грузинской сцены и требовал полной самостоятельности в творческих поисках национальных форм»³.

ვინც დაახლოებით მაინც იცნობს ს. ახმეტელის რეჟისორულ მოღვაწეობას, უმაღვე დაინახავს პატივცემული პროფესორის ამ ნათქვამის სიმცდარეს. ამიტომ საჭირო იყო კონკრეტულად მივითხოვთ პროფ. დ. ჯანელიძეს, თუ როდის და სად გამოთქვა ს. ახმეტელმა აზრი იმის შესახებ, რომ „ამღუპველია ქართული სცენის მოღვაწეთათვის რუსული რეალისტური თეატრის გამოცდილების შესწავლა“? ასეთ საბუთს ვერ მოიტანს. ჩვენი აზრით, პროფ. დ. ჯანელიძე უბრალოდ ვერ გარკვეულა ს. ახმეტელის პოზიციები ს. ახმეტელის უარყოფით რუსული დრამის ნაცონალური ფორმის შესაზარეულად გადმოტანას ქართულ სცენაზე და არა საერთოდ რუსული რეა-

ლისტური თეატრის გამოცდილებისათვის ათვისებას. ს. ახმეტელი თურმე უარყოფდა რეველუციამდელი თეატრის — ვ. აბაშიძის, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა-აბაშიძის, დ. მესხიშვილის და სხვათა შემკვიდრების რაიმე ღირებულებასაც კი. ასეთი ბრალდება უმაღვე გაფანტება ყველას, ვინც ერთ-ნელ კიდევ გადაიკითხავს ს. ახმეტელის წერილებს ვ. აბაშიძეზე, ვ. შალივაშვლზე და ნ. ჩხეიძეზე. პროფ. დ. ჯანელიძეს არც ეს მოსწონს, რომ ს. ახმეტელი ცდილობდა მიეღწია «Самостоятельности в творческих поисках национальных форм».

მაშ როგორ? ბრმა დაკავშირება ვეროპულ თეატრს, მის ქართულ გამოცემებს? განა კ. მარჯანიშვილმა უკრიტიკოდ მიიღო სამხატვრო თეატრის ტრადიციებიც კი? ამა უკრიგონით, რას წერდა კ. მარჯანიშვილი კ. კამუნის „ცხოვრების ბრწყინვალის“ დადგენის (1911 წ.) გამო, რომელსაც მან იქვე პირველი ქართული წარმოდგენა უწოდებდა: „დედ, მას თამაშობდნენ რუსულ ენაზე, რუსი არატისტები, რუსულ თეატრში, მაინც იგი მთლიანად ქართული ქმნილება იყო“⁴. ს. ახმეტელის დამსხვრება ქართული თეატრის წინაშე სწორედ ისაა, რამაც მარჯანიშვილის მიერ დაწყებული ქართული დრამის ეროვნული ფორმის ძიება კიდევ უფრო გააღრმავა და სწორედ ამ ნიშნით ხვდა რუსთაველის თეატრს უდიდესი წარმატება მოსკოვში 1930, 1933 წლებში. რამ მოხიბდა რუსი, ევროპული და ამერიკული მაყურებელი? ქართული დრამის ეროვნული მსახიობა. პატივცემული ავტორის სიტყვებით კი, რომ «С. Ахметели выступил против психологического реализма в искусстве» სამუშაოდ, აღმათ ტექნიკური შეცდომა: თვითონვე უნახავს და შეუძლია მოიგონოს ბერსენცვის, აზროს, ფრანცისა და სხვა იერსახეები. თუ რას ნიშნავდა ს. ახმეტელის გაგებით სცენური იერსახეების ფსიქოლოგიური სიღრმე და როგორ შეუწყვიტ სცენის დიდმა ისტორიკმა ფსიქოლოგიური პერიოდულს, ეს დღეს გასანალიზა ქართულ თეატრმცოდნეთა შალვა აფხაძის, ნინო შვანიძის, ნ. ურუშაძის, ნოდარ გურაბანიძისა და განსაკუთრებით ვასილ კიკნაძის მეცნიერული გამოკვლევები.

პროფ. დ. ჯანელიძე კვლავ აგრძელებს ს. ახმეტელის საუკეთესო სემეტიკალის „ლაშარას“ ტენდენციურ კრიტიკას და დამამტკიცებლად აქვეყნებს სრვ ხალხთა ნაციონალური თეატრების ოლიმპიადის ქუჩის 1930 წლის 11 ივლისის რაპსიულ ვადაწყვეტილებას: «внушает известное опасение возможности превалирования национальных моментов над классовыми в трактовке классических произведений грузинской литературы. Это например, сказилось в «Ламаре», где недостаточна вскрыта социальная подпочва образов... Необходимо отметить также известную опасность соскальзывания театра к формализму»⁵ და მოითხველს შემდეგ სიაყვაროს აღრინდელ რეცენზიებს „ლაშარას“ თითქოს და ეგზოტიკურობის და ენოკრაფიულობის შესახებ.

როგორც გვახსოვს, რუსთაველის თეატრის მოსკოვში გასტროლების დროს ყველაზე მეტი წარმატება სწორედ „ლაშარას“ ხვდა. შევდგა მსახიობმა პაულის ბრიონისმა იგი ჩათვალა როგორც „აღმოჩენა ნამდვილი სილამაზისა და სიმშვენიერის“. „ლაშარას“ იმ წლების ხელოვნებულმა საკავშირო კომუნისტური პარტიის მიმდინარე XVI ყრილობის დელეგატებს აწვებდა.

4. პატივცემული პროფ. დ. ჯანელიძის აზრით კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის მოღვაწეობის წყევლი, ქართული თეატრის მსახიობები ორ ჯგუფად დაყოფილია — რეალისტებად და რომანტიკოსებად: «Актеры романтического направления находи-

მიაწოდა რედაქციას ს. ახმეტელზე და რუსთაველის თეატრზე, რომ ასეთი შესავალი გასაკვირებ არ არის. პროფ. დ. ჯანელიძე, როგორც ტომეძისთან ჩანს, სარედაქციო კორექტივების წერია და ვალდებული იყო წიხში მიეღო ასეთი მცდარი აზრის გაერყელების წინააღმდეგ, თუკი იგი ასეთის თანახმა იყო.

8. პროფ. დ. ჯანელიძე, როგორც ჩანს, რუსთაველის სახელობის თეატრზე დღესაცაა გამწვევითი. სხვა აზრის არ შეიძლება იყოს ის, ვინც ყურადღებით გადაიკითხავს წერილს „ჩვენი დღეების მტანხმარებით“, რომელიც მან მიუძღვნა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს. შილერის „დონ კარლოსი“ დადგამს. მართალია, ავტორს არ ყოფნის გამბედაობა საგანი თავისივე სახელებით დააახლოოს, მაგრამ თეატრალურ საქმეში გათვითონობიერებული მეთვთველი მიხვდება, რომ მას რუსთაველის თეატრი აქვს მხედველობაში, როდესაც წერს: „ბოლო წლების ზოგიერთი სპექტაკლი მოღას აყოლილი რეჟისორი, მხატვარი და მუსიკალური გაფორმების ავტორი სცენის გადარბობისათვის იბრძვიან, — მაგრამ რუსთაველის სახეობა გაფორმების სტრატეგია და დანადგარია არონხივით, მუსიკალური ავადუსანდლობით, გრამაზაწერების გახმოვანებით უმსაპირ-ძღვლებთან, მსახიობივე სცენაზე უკრიბოდ, თავის ჩვეულებრივ ტანისამოსში გამოჰყავთ.“ განა ახეთ შეფასება იმხანურებს ყველა, თუნდაც უკრიბოდ და ჩვეულებრივ ტანისამოსით? შესრულებული „სამანიშვილის თადიანკალიც“, რომელშიც ბეკინის სცენური ირსახის შექმნასათვის შოთა რუსთაველის სახელობის საუბრავტის მალაღი წოდება მიენიჭა სეროე ზაკარიაძეს?

ობიექტურ კრიტიკას თეატრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მიკერძოება ეუფ დასახდონ უწყესს. სწორად, რომ მიკერძოებული კრიტიკის ნიმუშია პროფ. დ. ჯანელიძის სხედველი წერილი, სადაც მან კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში „დონ კარლოსი“ დადგამს „ქართული საბჭოთა თეატრის ნახვარასუკუნოვანი შემოქმედებით გამოცდილების შიდაჯამბილი, განმარტადებელი“ სპექტაკლი უწოდა. ჩვენც ვნახეთ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში „დონ კარლოსი“ და გამაყოფილი დაჯერით. მიუგეგნოს რეფ. დ. ალექსიძის მიერ სპექტაკლის ვადაწყვეტის შილი კომპოზიციის, თ. ლამანიშვილის მხატვრობა, თ. თაბთაიშვილის მუსიკა, მაგრამ იმის თქმა, რომ „დონ კარლოსი“ ქართული საბჭოთა მხატვრული კულტურის მწვერვალია და ავამებს ნახევარი საუკუნის გამოცდილებას, უპატობელი შეცდომაა, რადგან ქართული საბჭოთა თეატრის ნახევარსუკუნოვან ისტორიას მიკუთვნება „ცხვრის წყარო“, „კამლიტი“ (1925 წ.), „ურთილ ავსტა“, „ლამარა“, „ანზორი“ და კიდევ მრავალი სხვა.

სხედველი წერილი პროფ. დ. ჯანელიძე შილერის იდეურ კონცეფციასაც კი რეჟისორს მიაწერს. იგი წერს: „რეჟისორმა სპექტაკლის დედაქარაღა აქცია ბრძოლა თავისუფლებისა და კაცობრივკრიობისათვის, ხოლო გამჭოლ მოქმედება — გმირული შემართება აღიარახსნილი დესპოტიზმის, ვერაგობისა და მტარვალობის წინააღმდეგ. ამიტიმაც არის, რომ ალექსიძისეულ დადგამში თავისუფლებისა და კაცობრივკრიობისათვის მებრძოლი მარკის პოზა არის მივლი სცენური მოქმედების სპექტომპრობული გმირი“.

ცნობილია, რომ თვით შილერია კაცობრივკრიობისა და ადამიანის თავისუფლების მომღერალი. ცდებოდა, რომ „დონ კარლოსი“ არ გადაქცეულიყო ესპანეთის დღოფლიონა და პრინციპა გეოლის გრძნობათა ანახველ მღოღრაზად, შილერმა იმთავითვე აღკვეთა, როდესაც დრამის მესამე ვარიანტი (1787 წ.) ცენტრალურ ფიგურად სწორედ

ადამიანის კეთილდღეობისა და პატარა ერის თავისუფლებისათვის მებრძოლი მარკის პოზა აქცია.

პროფ. დ. ჯანელიძის აბსოლუტურად ვეთანხმებით, რომ „ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი უდიდესი მონათვარია რეჟისორული ხელოვნების არასწორი ამბოღება“, მაგრამ ვერ გაევიზიარებთ იმ აზრს, რომ პატრევე-მული და ალექსიძის ქართული საბჭოთა თეატრის რეჟისურის „ურთიკველსი წარმომადგენელი“. პროფ. დ. ჯანელიძემაც კარგად იცის, რომ ქართული საბჭოთა თეატრს ჰყავდა კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, ა. ლ. წუწუნავა. უკუთარ პროფ. დ. ჯანელიძის მხედველობაში აქვს მხოლოდ თანამედროვე ბოლო წლების რეჟისურა, მას შეუძლია ამ აზრის იყოს, მაგრამ არც ასეთი შედარებები მიგვანჩნა საქმისთვის სასარგებლოდ.

9. პროფ. დ. ჯანელიძე თეატრის ისტორიის საკითხებს პირადი სიმბავებით რომ წყვეტს, ეს იმ გრცელი ნარკვევითაც დასტურდება, რომელიც მან გამოქვეყნა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (იხ. „ქართული თეატრის ისტორიის შესავალი ვითარება“, 1970 წ. № 2, გვ. 18-21).

ნარკვევი ავტორი ვრცლად ანალიზებს ქართული თეატრის ისტორიას შესავლის ცდებს. სახედვით ყველა თათბის თეატრმცოდნეებს, ისეთებსაც კი, რომელთაც ეს-ეს არის ფეხი აიდებს და ერთი სიტყვით არ იხსენიებს ისეთ ნიჭირ და დიდად პროფესიულ თეატრმცოდნეს, როგორც არის ნათელა ურუშაძე. პროფ. დ. ჯანელიძე აქვე აღნიშნავს და წუხს კიდევაც თეატრმცოდნეთა კადრების განრავლებას, რომელიც თურმე „თეატრის ბზიიციით ეხვევიან და ფუტკარს მუშაობას არ აცლიან“. არც ეს მიგვანჩნა მართებულად, რომ პატ. პროფესორი არც კი იხსენიებს ქართული თეატრმცოდნეების მომავალს, ავკი ფადავას შრომებს.

იმავე «История советского Драматического театра»-ში ხსენახსულია, რომ კ. მარჯანიშვილი ენაართული ფუქმედებლთა რუსული საბჭოთა რეჟოლუციური თეატრისა. პროფ. დ. ჯანელიძე, როგორც ჩანს, არ ეთანხმება ამ აღიარებულ ჭეშმარიტებას და წერს — „მხოლოდ საბჭოთა სპარტოვლებში გამოვლინდა სრულიყოფილად კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული ოსტატობა და მისი მალაღი არტისტული ტალანტი“¹⁰.

კ. მარჯანიშვილი, როგორც რეჟისორი, რა თქმა უნდა, რომ ქართული თეატრში უფორ ანაღდა, მაგრამ იმისი თქმა, რომ იგი დიდი რეჟისორი „მხოლოდ საბჭოთა სპარტოვლოში გამოვლინდა“, შეცდომაა. განა „სრულიყოფილად გამოვლინებული ტალანტის“ ნიმუშები არ იყო მოსკოლის სამხატვრო თეატრში „ცხოვრების ბრჭყალების“ დადგმა, კიევი 1919 წელს განხორციელებული ისტორიული „ცხვრის წყარო“, მისი მოღვაწეობა „თავისუფალ თეატრში“?

10. ფრიად მტკივნეულია, რომ თეატრმცოდნეობის მიერ არაფერი საყურადღებო არ დაწერილა უმ. ჩხვიძემ. მხოლოდ პოეტმა ა. თეხაძემ მოიხდა მოქალაქობრივი ვალი და გულწრფელი სიყვარულით ორი მინორაფია მიუძღვნა. ხდება პირიქით. ა. ბურთიკაშვილმა 1952 წელს საქართველოს თეატრალური სასოფლოების მემკვიდრეთა გამოცემა „თეატრალური პორტრეტები“, სადაც უ. ჩხვიძის სამხახიობო ოსტატობის შეფასებამ უპატობელი შეცდომება და დავუბული და ერის საყვრელი კაცი უდიდრდაცაა მოსხედველი. ა. ბურთიკაშვილი ასეთ გამოთქმებას ხმარობს — „უშანგებე მოძიქენებე ან-მ-მეთქი“, „ბეჯერი მებოტბე მას ლითთქმის ბუმბე-რ ავად აც სახ ავ და...“ და ბოლოს დასკვნის: „მხახიობმა უმაღლეს მწვერვალს ორიგინალურ რეჟისურაში მიაღწია. მისი კევემავრე („თავად გულში“) და ყვარუკრე თუბთავრი („ყვარუკრე თუბთავრი“) ისეთი მწვერვალი

იყო, რომ, აი, ამ შექმლო მონორაფიის ავტორს უშანიკი ბუმებარას მსახიობისათვის შეედარებია.¹¹ ერთგულში კი, მაგრამ კლასიკურ რეპერტუარში ამას ვერ აღწევდაო. გამოდის, რომ უ. ჩხეიძე ბუმებარაში მსახიობი არ ყოფილა და მისთანა („უშანიკები“) სხვანაც ბევრი ყოფილან იმ წლებში. ვისაც კი ჰქონია ბედნიერი შემთხვევა ენას სცენაზე უ. ჩხეიძის პამლეტი, კოდუნი, ურიელ აკოსტა, ჩენჩი, კარლ ტომასი, იაგო, ვერ დაეთანხმება ასეთ მცდარ შეფასებას.

პროფ. დ. ჯანელიძეც თავისებურად აგრძელებს ამ ტენდენციას და მკითხველს არწმუნებს, რომ კ. მარჯანიშვილი კ. გუცუკოვის დრამის „ურიელ აკოსტას“ დადგმის დროს თითქოს განსაკუთრებული ყურადღებით მუშაობდა არა პირის დედაპირის გამომსახველ მთავარ როლზე — ურიელზე, არამედ დე სილვასა და ბენ იოხას იგრასხეზე. აი, მისი სიტყვები: «Работая с актерами, Марджанишвили особое внимание уделял образам де Сильвы (Ш. Гамбашидзе) и Бен Иохая (А. Мурсидзе)»¹².

ასეთი განცხადების შემდეგ ავტორი „ურიელ აკოსტას“ განხილვას უკუღმა იწყებს და ურიელ-უ. ჩხეიძეს მხოლოდ მას შემდეგ მოიხსენიებს, როდესაც ე. ახაფარიძეს — ივლითზე ამთავრებს ნსჯელობას და დასძენს — «Достойным партнером актрисы оказалась Ушанги Чхеидзе»...¹³

11. სხენულ შრომაში პროფ. დ. ჯანელიძის პრინციპული ხასიათის სხვა შეცდომებზეც შეიძლება მიგვეთითებინა (რომ არაფერი ვთქვათ ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებზე. მაგალითად, პროფ. დ. ჯანელიძის აზრით, ლ. მესხიშვილი 1921 წელს გარდაცვლილა.¹⁴ სინამდვილეში, 1920 წ. გარდაიცვალა). თეატრალური ინსტიტუტი 1923 წელს ჩამოყალიბებულა¹⁵ და სხვა. მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ გაერკვეს საზოგადოებრივი აზრი, თუ როგორ დამახინჯებულად და არაობიექტურად ამუშქებენ ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების გზებს.

ჩვენ, პროფ. დ. ჯანელიძის მხოლოდ კიდევ ერთ შრომას მოვიხსენიებთ. ეს შრომა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თაროზე ძვეს და სტუდენტებისათვის ქართული თეატრის ისტორიის სახელმძღვანელოდაა რეკომენდებული. მხედველობაში გვაქვს „ლიქციები ქართული თეატრის ისტორიიდან, მოკლე კურსის პროგრამაკონსპექტი“. ამ შრომაში¹⁶ პატივცემული პროფესორი დ. ჯანელიძე ესება დავით კლდიაშვილის მსოფლმხედველობის საკითხს და ჩვენს სავერდო კლასიკოსს ახასიათებს

როგორც „შემიარი გეგებელსა და კლასთა შორის მშვიდობის მქადაგებელს“. ასეთი აზრის დამამტკიცებლად დ. კლდიაშვილის „მემუარების“ იმ ნაწილს იშველიებს, სადაც მწერლის მიერ აღწერილია 1894 წელს ბათუმის ქალაქის თავის არჩევასთან დაკავშირებით გამართული ბრძოლა ერთის მხრივ პროგრესულ და მეორეს მხრივ მონარქისტულ-რეაქციულ პარტიებს შორის. მსცოვანი მწერალი გადმოგვცემს, რომ დემოკრატ კანდიდატის არჩევას უსრუნველსაყოფად ყველა ერთგულ პარტიას ერთობლივი თანამშრომლობისათვის მოუწოდა. პროფ. დ. ჯანელიძეს კი ჰქონია, რომ დ. კლდიაშვილი მშრომელი ხალხის, ბურჟუაზიისა და გადაგვირებული თავდაზნაურობის პოლიტიკური პარმონისათვის იბრძოდა.

ასეთია მოკლედ ჩვენი რამდენიმე შენიშვნა ქართული თეატრის ისტორიისა და თეატრალური კრიტიკის საკითხებზე, რომლის დაზუსტება-გამოსწორებით თეატრმცოდნეების საკმე მოიგებს და პროფ. დ. ჯანელიძის ღვაწლიც უფრო მეტად დაფასდება.

შენიშვნები:

- ¹ История советского драматического театра, т. 2, стр. 246—247.
- ² Том 3, стр. 262.
- ³ Том 2, стр. 248.
- ⁴ კ. მარჯანიშვილი, მემუარები, გვ. 68.
- ⁵ История советского драматического театра, том 3, стр. 283.
- ⁶ Том 3, стр. 267.
- ⁷ Том 4, стр. 280.
- ⁸ «Театр», 1967 г., № 8, стр. 92.
- ⁹ История советского драматического театра, том 1, стр. 79-80.
- ¹⁰ კ. მარჯანიშვილი, „მემუარები“, გვ. 5, 1947.
- ¹¹ ა. ბურთიაშვილი. „თეატრალური პორტრეტები“, გვ. 114, 119.
- ¹² «История советского Драматического театра», т. 3, стр. 278.
- ¹³ იქვე, გვ. 280.
- ¹⁴ Том 1, стр. 268.
- ¹⁵ Том 2, стр. 225.
- ¹⁶ გვ. 190-191.



„საქართველოს ბუნება“, რომელიც თავდაპირველად ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, ხოლო 1963 წლიდან ყოველთვიურ გახდა.

„საქართველოს ბუნება“ (მთავარი რედაქტორი ვ. ვ. გ. ნ. ბ. რ. თ. ა. ა.), რომლის რედაქციამაც თავიდანვე შემოიკრიბა საქართველოს ბუნების მოტრფიალნი — გამოჩენილი მეცნიერები, საყვავილისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ენათუნიასტები, კეთილშინიძისებრად ასრულებს თავის დანიშნულებას. იგი არა მარტო აცნობს და აყვარებს ხალხს საქართველოს წარმატებულ ბუნებას — მის უძველეს ფლორასა და ფაუნას, არამედ ერთგულად დარაჯობს მისი უკეთ მოვლისა და დაცვის კეთილშინიძურ საქმეს.

ვინ იცის, თუნდაც რედაქციის გამგეობა კომპეტიტებს რამდენი კარგი საქმე გაუკეთებია მშობლიური ბუნებისა და ხალხის საკეთილდღეობისთვის რამდენი უნაგარო ქომაგობა საქმიანობა გაუცენია საზოგადოებისთვის, მისი მტერი კი საჯაროდ შეურაცხველია, რამდენი კეთილი უამოწყებია თათსანი და ბოლომდე მიმყვანი ყოფილა. გავისხნით თუნდაც ერთ-ერთი მათგანი.

საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად დაისახა ღონისძიება რესპუბლიკაში დარგულიყო 50 მილიონი ტონი ხე. თუნდაც ამ მოწოდების სინამდვილედ ქვეყანა თავის ღვიძლ საქმეზე მიიჩნია. მიმდინარე წლის მეორე ნომერში „საქართველოს ბუნების“ გარკვეულ ნაწილში დღევანდელი „50 მილიონი ტონი ხე ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში“. ამავე ნომერში თუნდაც გამოაცხადა თანკურსი „საბუნებო დარგვა“ და თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმო აკადემიკოსების ნიკო კვეციოვლისა და გიორგი ჯობაძის, მწერალ-აკადემიკოს დემნა შენგელაიას, პროფესორ სერგო ჯორბენაძის, სსრ კავშირის სახელმწიფო მხატვარ უჩა ჯაფარიძის, მწერლების იოსებ ნონეშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ელვარა მაღრაძის, გურამ „სოფლის ცხოველებს“ რედაქტორ მიხეილ დავითაშვილისა და სხვათა წერილებს.

თუნდაც საბავშვო განყოფილება „ჯეკობის“ საშუალებით ნორჩიანმა ასეთი კითხვარით მიმართეს რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებს: „რომელი ხე გიყვართ? რატომ?“

რა მოვინებები გაკავშირებთ საყვარელ ხესთან?

რამდენი ხე დაგირგავთ?“ აღნიშნულ კითხვებზე სამომავლო უპასუხეს აკადემიკოსებმა ი. ვეკუამ და ე. ხარაძემ, მსახიობებმა ვ. ახვარაძემ და ს. ზაქარაიამ, მწერალ-აკადემიკოსმა კ. გამახურდიამ, პოეტმა ა. პალანდამ, კომპოზიტორმა ა. ხალაივამ, მხატვრებმა ი. თოიძემ და ე. ახვლედიანმა, რეჟისორმა ვ. ტაბლიაშვილმა.

რედაქციის თანამშრომლებმა მრავალი თურხანისტური ხერხითა და გამომგონებლობით თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ საჭირო ოღონისძიებაში წარმატებით შესრულებისათვის.

„საქართველოს ბუნების“ მფლობელი კავშირი აქვს დამყარებული ჩვენს რესპუბლიკის, მოქმე ხალხების, საზოგადოებრივი ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან. თუნდაც მათს ნაწარმოებებს საკუთარი ინტერპრეტაციით — ბუნებასთან უშუალო კავშირში წარმოდგენის თავის მეთოდებში. ეს კი, ცხადია, თურხანისტურ ასრავალფეროვნებს და ზრდის მეთოდურად გემოვნებასაც. ამ საჭიროების თურხანისტურ წარმართავს ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება (გამგე ქეთევან ანანიაშვილი).

თურხანისტურ არსებობის პირველი დღიდანვე (1959 წ.) თავისი ფურცლები დაუთმო ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო კონრადკოპენტალისტი გ. დოლინი, რომელმაც მკითხველებს მოუხორთო თუ როგორ იღებენ ფილში გარეულ ცხოველებს. ისავე ნომერში დაიბეჭდა ი. ვალენტინოვის მოთხრობა „ბრძოლა ტაშუა“, სადაც ვალენტინოვია ბუნების ილუმინაციისა და ხალხობის ახალფორმები სურათები.

1960 წლის თურხანისტის მეთოდებში მადლიერების გრძნობით მიიღეს ა. ჩხვიციანი, ვ. ჰინიჭიანი, ლ. გომუხას მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილი იყო რუსეთის ტრანალბე, აფრიკული ნადირობა და რუხის გამოქვაბული. ხოლო ნიკოლოზ ტინიშოვმა სპეციალურად „საქართველოს ბუნებისთვის“ დაწერა მოთხრობა „ღამე და დღე“, სადა ჩვეული სიყვარულითა და ისტატიზმით აღწერა ქართული ბუნება. გასულ წელს „საქართველოს ბუნებაში“ მშენებელი წერილები უძველეს სამართლო ომის ფრონტებზე დაღუპულ ქართველ პოეტებს ს. ისიანს, გ. ნაფეტვარიძეს, ს. ქლენტს, მ. გე-

ლოვანს, ვლ. უბლაძეს, დ. პატატოშვილს, რომლებიც მთელი გულით შეატრფოდნენ საქართველოს თვალწინა ბუნებას.

ამავე წლის მე-9 ნომერში თურხანისტის რედაქციამ ადგილი დაუთმო პოეტ-მხატვარ მირის ფიცხიშვილის შემოქმედებას და ლექსიან ვითად დაამატა მისი ნახატების („კედელი“, „ნიღბი“, „არ მოსჭრა ხე“) ფოტორეპროდუქციები.

თურხანისტის ცდებს და გვერდებს ამჟამინებზე ქართველ მხატვართა ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები. ამ მხრივ ყველაზე საყოფიერი აღმოჩნდა 1961-66 წლები. 1961 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატ ვლ. ახვლედიანის ტილო „ზამთარი“; მე-4 ნომერში, ვაჟა-ფშაველას სახელობის მიძღვნილ მასალებში, ვიხილეთ დ. ზნაფიშვილისა და შ. ბერტაშვილის მიერ შესრულებული ფერადი ილუსტრაციები მოთხრობებისათვის: „ჩხვიკთა ქორული“ და „მთანი მადლიანი“. 1962 წლის პირველ ნომერში თურხანისტის პირველად წარუდგინა თავის მეთოდებს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, შ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატ ლ. გუდაშვილის ნახატი „მონადირე“, რომელიც ავტორს 1930 წელს შეუსრულებია კ. გამახურდიანის ნივთების წიგნისათვის. ლ. გუდაშვილის ნახატებს შემდგომშიც ეფუძნებოდა თურხანისტის ფურცლები (1965 წ., № 3 და სხვ.); მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი (1966 წლის სექტემბერი), სადაც მოთავსებულია „ნადირობა“ ეფუძნისტყაოსისა“ მიხედვით“. ამავე ნომერში გამოქვეყნდა მ. თავაქარაშვილის, ს. ქობულაძის, რ. სტურას, ს. მაისაშვილის, დ. ყიფიშვილის, ა. აფხაზავასა და სხვათა ნამუშევრები „ეფუძნისტყაოსისა“ და მისი გენიალურ ავტორს.

„საქართველოს ბუნება“ რთი კმაყოფილებად მხოლოდ ფოტორეპროდუქციათა გამოქვეყნებით, იგი თავის მეთოდებს მითხრობის ქართველი მხატვრების შემოქმედებასა და მათ კავშირზე ბუნებასთან.

ამ მხრივ სანტიტრესოა თ. ფირაძის ნივთების სატატა მხატვარ-პეიზაჟისტ ალ. ცინაურდიეზე (1963 წ., № 9), პოეტ მ. მრეველიშვილის „მხატვრის არქივიდან“ (1965 წ., № 5) — მხატვარ ალ. მრეველიშვილზე, მწერალ შ. ამისულაშვილის „შავი მუშაობა“ (1966 წ., № 10) — ნა-

წვევები მოთხოვნიდან მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილზე, პოეტ ჯ. ნიჭაძის ნარკვევი „ნადირბაძის ქართულ მხატვრობაში“ (1965 წ., № 2), სადაც მიმოხილულია ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრები და სხვ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტრეტიაკოვის გალერეის შეხვედრითანამშრომლის კ. ფროლოვას სტატია „საქართველოს ბუნება ტრეტიაკოვის გალერეაში“ (1961 წ., № 2), რომელშიც ავტორმა მიმოხილვებულ ნოთხსოვ ქართველ მკითხველებს მ. ივანოვის, ნ. ჩერხევიცის, ლ. ლაგორინის, ნ. იაროშჩევის, ა. კუიხინის, ა. ვანსიციკოვის საქართველოსადმი მიძღვნილ ფერტილოებზე.

„საქართველოს ბუნების“ ფურცლებზე სხვადასხვა დროს დაიბეჭდა წერილები ჯალდარ მყვავილე მის. მამულაშვილზე, აკაკის ძეგლზე ქუთაისში, დიდ რუს პეიზაჟისტ ო. ლევიტანზე, სარ კავშირის სახალხო მხატვარ უნა ჯაფარიძეზე და სხვ.

სათანადო ადგილი ეთმობა რესპუბლიკის არქიტექტურული ძეგლების გაცნობას, მათს დაცვა-მოვლას. ამ თემაზე ჟურნალს შემოღებული აქვს სპეციალური რუბრიკა, რომლის ქვეშაც იბეჭდება აქტუალური მასალები და ყურადსაღები შენიშვნები. 1969 წლის ერთ-ერთ ნომერში ჟურნალმა ფართოდ გაამუშა ქ. ვანის გათხრები და დაბეჭდა აქ მოპოვებული ანტიკური ხანის ხელოვნების ნიმუშთა ფოტორეპროდუქციები. ქ. ანანიაშვილის ნარკვევი მიძღვნა არქიტექტორ ჯალ ნ. ციციშვილს (1966 წ., № 3).

ჟურნალი არც თვითნასწავლი მხატვრებისა და ნორჩ ხელოვანთა შემოქმედებას ტოვებს უყურადღებოდ. მიმოხილველი იყო თვითნასწავლ მხატვარ ელენე ჯაფარიძისადმი მიძღვნილი მასალა (1970 წ., № 1). სანიტერებსა, რომ ე. ჯაფარიძე თავის ნამუშევრებს ქმნის უჩვეულო მასალის — ვარდის, ყვავილებისა და მცენარეთა ფოთლებისაგან.

ბავშვთა შემოქმედებისადმი მიძღვნილია ჟურნალის განყოფილება „ჯეჯილი“ და სხვა მასალები. ერთობ საინტერესოა „ჯეჯილის“ საქმიანობა, რომელზედაც ზემოთაც გვეხსნა საუბარი.

„საქართველოს ბუნება“ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას დედა და კვლავიფიკურად ეხმარება. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის, დიდი სამამულო ომის დამთავრების 25 წლისთავისა და შ. შურსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებები. ყოველივე ეს რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივის ნაყოფიერი შრომის შედეგია. ყურადღებას იქცევს ჟურნალის დახვეწილი ენა და მიმოხილველი გაფორმება (პასუხისმგებელი მდივანი ბორის მირცხუღავა).

ყოველივე ზემოთაქვამი უკვე „საქართველოს ბუნების“ გუშინდელი დღეა. რედაქციის ხელმძღვანელობამ და კოლექტივმა იცის, რომ არ შეიძლება მიღწეულით დაკმაყოფილება, საჭიროა ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიება, თემატურ-მასტერული მრავალფეროვნება. ამიტომ დადინტერესდით ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ხვალისდელი ბეჭდით. აღმოჩნდა, რომ სარედაქციო პორტფელში უკვე არის მრავალი საინტერესო მასალა, დასახულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები. კერძოდ, რედაქცია ახალ სასარგებლო კონტაქტებს ამყარებს ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან. შემუშავებული გეგმის მიხედვით ჟურნალის მომავალ ნომერებში ვიხილავთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გ. ბერიძის, კომპოზიტორ შ. მჭედლიძის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლ. დლოძის, პროფესორ ქ. სიხარულიძის, აკადემიკოს აკ. შანიძის წერილებს

ქართული ხელომოდერების, მუსიკის, მხატვრობის, კიბოხელოვნების, ფოლკლორის სხვადასხვა საკითხზე.

ჟურნალი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს საქართველოს, მრავალმხრივ რესპუბლიკების, უცხოელი მწერლებისა და ხელოვნების ოსტატების უერთიანობის ასახვას ქართულ ბუნებასთან. მოეწყობა ღია თათბირი თემაზე — „ერთ ვემსახურით მშობლიურ ბუნებას“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მხატვრული სიტყვის, ფუნჯისა და საჭრეთლის გამოყენილი ოსტატები. უკვე დამკვიდრებულ ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს „ჯეჯილი“, კერძოდ, მოეწყობა ელ. ახვლედიანისადმი მიძღვნილი მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც თვით ე. ახვლედიანი შეაფასებს და საყურადღებო ნახატის ავტორს დაჯილდოვებს საკუთარი ანხატით. ნორჩები ინტერესის წამოართმევენ არქიტექტურებსა და მხატვრებს, აგრეთვე გამოჩენილ მუსიკოსებს ელ. ვირსალაძესა და ლ. ისაკაძეს, ცნობილ მოჭადრაკეებს ნ. გაფრინდაშვილსა და ნ. ალექსანდრიას. ამ შემთხვევაში საუბრის თემა იქნება, თუ რა წვლილი მიუძღვის მათს დაოსტატებში მშობლიურ ბუნებას. „საქართველოს ბუნებას“ ესტუმრებიან „ნაკადული“, „ჯეჯილი“, „ციხეკარი“, „ნიხაჯი“. კვლავ ფართოდ ადგილი დაეთმობა თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრებს... ერთი სიტყვით, მკითხველი ბევრ საინტერესო წერილსა და ილუსტრაციას იხილავს და უფრო შეიყვარებს ქართული ბუნების ამ ქომოგს.

თავის დროზე შესანიშნავი სიტყვები უძღვნა „საქართველოს ბუნებას“ ქართული კულტურისა და ბუნების უანგარო მოტრფიალელ ნიკოლოზ ტახინოვმა. ჩვენც მისი სიტყვებით გვინდა დავამთავროთ ეს მიმოხილვა: „არამწველებრივია, სასარგებლო და აუცილებელი საქმეა ამ ჟურნალის არსებობა“.



შემწველურად იზრდება და ლამაზდება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები. შენდება ახალი საცხოვრებელი მასივები, მაღლივი შენობები, სასტუმროები, კინოთეატრები, კულტურის სასახლეები, კლუბები; მიმდინარეობს ძველი რაიონების რეკონსტრუქცია.

არქიტექტურის ამ სამაგალითო წინსვლამ, ცხადია, გავლენა მოახდინა მონუმენტური ხელოვნების განვითარებაზე. უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებით ჩვენში შესრულებულია მთელი რიგი საყურადღებო სამუშაო: მხატვრულ-დეკორატიულად გაფორმდა ქორწინების სახლის, მუსიკალური კომედიის თეატრის, სასტუმრო „ივერიის“ შენობები, კურორტ ბიჭვინთის პანსიონატთა კომპლექსი, მეტროს სადგურებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების ინტერიერები, რამაც ახალი ელფერი და სილამაზე მისცა ჩვენს რესპუბლიკას.

განსაკუთრებით მრავალხრივი გამოყენება ჰქონდა კერამიკამ — ქართული ხალხის მაღალი მხატვრული კულტურის დამადასტურებელმა ამ უძველესმა მასალამ. კერამიკა გამძლეა და ხელმისაწვდომი, გააჩნია განუსაზღვრელი ტექნიკური შესაძლებლობანი. მას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეთმობა სხვა მხატვრულ მასალებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობა ძველთაგანვე იცნობდა და იყენებდა კერამიკას, დღესაც შეიძლება მასში ახალი მხატვრული და გამოსახველობითი ღირსებების აღმოჩენა.

საბჭოთა საქართველოს მონუმენტური კერამიკა შედარებით ახალგაზრდაა. ფაქტურად მან არსებობა დაიწყო 1963 წლიდან, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიის რამდენიმე კურსდამთავრებულის ნამუშევრები გამოყენებულ იქნა თბილისის გაფორმებაში. ამის შემდეგ მონუმენტური კერამიკა სწრაფი ტემპით ვითარდება და ვრცელდება მთელს რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ხელი შეუწყო საქართველოში ხელოვნების ამ დარგის შეუჩერებელ წინსვლას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ დრომდე მონუმენტური კერამიკის დაწერვისათვის ჩვენს რესპუბლიკაში სრულიად არაფერი გაკეთებულა. მხატვრების გ. ქართველიშვილის, მ. ბაიდაშვილის, ზ. მათსრაძის, ი. გაჩეჩილაძის, ნ. ცერაძის, ა. კაკაბაძისა და სხვთა ნამუშევრები ამტკიცებენ, რომ საყოფაცხოვრებო კერამიკასთან ერთად საქართველოში ფუხს იკიდებდა მონუმენტურ-დეკორატიული კერამიკაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელოვნების ამ დარგის განვითარებას უდიდესი ზიანი მიყენა იმან, რომ არქიტექტურაში ყოველგვარი შედეგების წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლა პირდაპირ იქნა გაგებული. ზოგიერთი არქიტექტორი „ზედმეტობად“ მიიჩნევდა შენობათა დეკორატიულ-მონუმენტურ გაფორმებასაც. ამავე დროს, ამ დარგში ბევრი სამუშაო სრულდებოდა კერამიკისთვის და არქიტექტორთა ერთობლივი შეთანხმების, არქიტექტურულ-სივრცობრივი გარემოს გათვალისწინების გარეშე. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ მონუმენტური კერამიკის მრავალმა ნიმუშმა გამოყენება ვერ ჰქონდა საქართველოს ქალაქების არქიტექტურაში. როცა კერამიკამ მხატვრათა სახელოსნოებიდან შენობათა ფასადებზე გადაინაცვლა, დაამუშვნა დეკორატიული ბალები და ინტერიერები, მხოლოდ მაშინ შეინიშნეს და შეაფასეს აღნიშნუბმა ამ შესანიშნავი მასალის სილამაზე, მისი უბადლო მხატვრული თვისებები.


მონუმენტური კერამიკა

რომან ცუხიშვილი

საქურნალო სტატიაში ძნელი ჩამოსათვლელია უკანასკნელ ხანს საქართველოში კერამიკის მიერ შესრულებული ყველა ნამუშევრი. ჩვენ შევეცდებით გავაშუქოთ მხოლოდ ის ნაწარმები, რომლებიც ქართულ თანამედროვე მონუმენტურ კერამიკაში პირველ მარცხელად მიგვევლინებინ.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიპლომანტმა რ. მელიქიძემ 1963 წელს თბილისის კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის პატარა ხელოვნური ბაღისათვის, რომელიც ამ ინსტიტუტის სახურავზეა გაშენებული, შესარულა კერამიკაში მონუმენტურ-დეკორატიული სამუშაოები.

არქიტექტორ ა. საალიშვილის პროექტით ინსტიტუტის ერთ-ერთი კორპუსის სახურავზე შეიქმნა სოლარიუმი და აერარირუმი. იმისათვის, რომ ავადმყოფებს მშვიდი, წყარო გარემო ჰქონოდათ, რაც ესოდენ კეთილმოყოფელ გავლენას ახდენს მათს ჯანმრთელობაზე, მხატვარმა რ. მელიქიძემ დახურავზე მოაწყო ხელოვნური ბაღი, რომელსაც წყარო და ორი კერამიკული კედელი ამუშვენებს. ამასთან, ეს წყარო



ზედანის წყარო (დეტალი). მხატვარი რ. იაშვილი, მასალა — შეზოლილი ცეცხლამწლე თიხა, აღდგენითი ჰიქური, 1966 წ.


ფარავს ლიფტის შახტს, რაც უშუალოდ სახურავზე გამოდის. წყარო გაკეთებულია ქართული ხალხური წყობის შესაბამისად. კედლის წყობაში ჩართულია რელიეფური სადგმელები. სადგმელების მოტივი და თვით ჰიქურის ფერი (მუქი წითელი, ფირუზისფერი, შავი) ორგანულად ეხამება სოლარიუმიდან გადაშლილ თბილისის ხედებს.

ღრმად გააზრებულია თვით წყარო. იგი შედგება სამი სხვადასხვა ფერის კერამიკული თასისაგან, ხოლო მადრევენები ცხვრის თავების ფორმითაა გაკეთებული. თასები ზედოზედ იესება წყლით, რაც შემდეგ წყალსადინარში გადადის.

ნაკლებ ეფექტურია კერამიკული კედლები. ერთ-ერთი მათგანი წყაროსთან მართი კუთხით მდებარეობს, მეორე კი — სოლარიუმსა და აერარიუმს შორის. და თუმცა ისინი მოკლებული არ არიან ფერების სიუხვეს, პლასტიკურობას, აქ არ შეიმჩნევა ის მთლიანობა და ორგანიზებულობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია თვით წყაროსთვის.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კიდევ ერთმა დიპლომანტმა თ. გობეჯიშვილმა კრწანისის წინდების ფაბრიკის წინ გაშენებული ბაღისთვის გააფორმა წყარო, რომელიც წარმოადგენს ბეტონის ბლოკს წყალსადინარით. ბლოკი მოპირკეთებულია კერამიკით და მასზე სამი შევლია გამოსახული. კლაკნილი მადრევენებიდან წყალი მიედინება აუზში, რომლის ფსკერი ფერადი კერამიკული სადგმელებითაა ამოვსებული, წყალსადინარი შედგება უხეში, შეზოლილი ფილებიდან, რომლებზეც ქართული ორნამენტებია ამოკვეთილი. შევლის გამოსახულება ფირუზისფერ-მოწითალო ჰიქურით არის მოფარული, რომელიც პატარ-პატარა ოთხკუთხა ფილებისაგან შედგება. ეს მოტივი დეკორატიულობის დიდი შერჩენებით არის დამუშავებული. აუზთან დარგული ტირიფი, დეკორატიული მცენარეები და თვით წყარო მყუდრო გარემოს ქმნის და ფაბრიკის მუშებისთვის დასვენების საყვარელ ადგილს წარმოადგენს.

დიპლომანტების ეს ნამუშევრები, დეკორატიულ-მონუ-



ბორჯომის წყარო (საერთო ხედი). მხატვრები რ. მელიქიძე, ე. გელაშვილი, ი. გაბაშვილი, თ. რჩელაშვილი, რ. ცუხიშვილი. არქიტექტორები გ. ჯაბუა, გ. ცხაკაია.

მენტური კერამიკის ექსტერიორში გამოყენების ერთ-ერთი პირველი ცდაა, რაც დადებითად შეაფასა საკავშირო პრესამ. მაკალითად, მოსკოველმა ხელოვნებათმცოდნე ნ. ვ. ვორონოვმა ეს წამოწყება გააანალიზა ძურხლ „ისკუსტ-ვოს“ 1966 წლის მე-4 ნომერში, სადაც იგი წერდა: „ამიერივეკავისასა და ბალტიისპირეთში ახლა შეინიშნება ისეთ ტრადიციულ ხელოვნებათა განვითარება, როგორიც არის კერამიკა, ქედურობა, ტყავზე ტვიფრვა. ამ მასალებმა და ხელოვნების სახეობებმა თავიანთი განვითარებისათვის მძლავრი ბიჭვი სწორედ მაშინ მიიღეს, როცა არქიტექტურამ, მონუმენტურმა და დეკორატიულმა ხელოვნებამ უარი თქვეს ბევრ დაკანონებულ ხერხზე, მოტივსა და კომპოზიციურ საშუალებაზე“.

ლენინგრადელმა ხელოვნებათმცოდნე კ. მ. მიტროფანოვმა თავის წიგნში „თანამედროვე მონუმენტურ-დეკორატიული კერამიკა“ მხატვარ რ. მელიქიძის ნაშუშევარი დადებითად შეაფასა.

ალსანიშნავია, რომ მონუმენტურ-დეკორატიული კერამიკას ჩვენში უმეტესად წყაროების გასაფორმებლად იყენებენ. ეს გამოწვეულია საქართველოს ბუნებრივი პირობებით. აქ ხომ თითქმის ყოველ ნაბიჯზე მონუმენტებს ანკარა წყარო, ჩქვეს სამკურნალო მინერალური წყლების შადრევნები.

მხატვარმა რ. იაშვილმა შესანიშნავად გააფორმა წყარო წყალტუბოში, ჯრის უღელტეხილზე და ზედაზუნზე.

ზედაზუნის მონასტერი, რომელიც მე-8 საუკუნეში აშენდა, მცხეთის ახლოს, თვალწარმტაც მალაშმიან ადგილზე მდებარეობს. მის დასათავსიერებლად ყოველწლიურად ათასობით ტურისტები მოდის.

მონასტრისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ ორი წყარო მონუმენტებს. ერთი მათგანი გზის დასაწყისშივე გვხვდება, მეორე — მონასტრის ახლოს. ამ წყაროების პროექტის ავტორები არიან მხატვარი რ. იაშვილი და არქიტექტორი ბ. ჯაფარიძე.

ქვემო წყარო ტყისპირზე, ხშირი მწვანის ფონზე მდებარეობს. ავტორებმა რუხი ფერისა და მარტივი კომპოზიციის გამოყენებით იგი გარემოს შეუსამის. ხეცსურული წყობის სწორკუთხოვან სტელაში ჩამონტაჟებულია პატარა კერამიკული სადგმელი სამი ჯიხვის თავის გამოსახულებით. უფრო დაბლა, პატარა წყალჩასადენიც კერამიკითაა შესრულებული. ჯიხვის თავები რიტმულად მფორდებიან, რქები კი ერთმანეთს კვეთენ ყოველივე ეს რელიეფურადაა გამოძერწილი სიბრტყეზე. ფონი მქისე, შებოლილი, ზოგან გეომეტრიული ორნამენტებითაა მოსაზული. ჯიხვები მოვერცხნისფრო-მარგალიტის ფერი ჭიქურით არის მოფარული, კონტურები კი — მუქი ჭიქურით.

მეორე წყარო უფრო გამოილი ადგილზე, გზის მოსახვევთან მდებარეობს. კერამიკული ფრიზი, რომელიც ჩამონტაჟებულია უხეში ქვით ნაგებ წაგრძელებულ კედელში, გადატვირთულია გამოსახულებებით — ქალიშვილი დოქით, ჭაბუკი ფიალით, აგრეთვე არის დეტალები, როგორცაა ხარის თავი, ცხვარი, წყალსადინარი.

კარგად არის გადაწყვეტილი ფრიზის ცალკეული დეტალები — ქალიშვილის თავი, ჭაბუკი; რამდენადმე მძიმედ გვეჩვენება წყალჩასადენი, რომელიც არღვევს კომპოზიციის მთლიანობას.

პირველი წყაროს თავისებურება ის არის, რომ იგი საუბრებით ერწყმის გარემოს. თითქოს მისი განუყოფელი ნა-


წილია და გადაწყვეტილია ბუნებისა და უძველესი ძეგლის თანაფარდობის პრინციპზე. აქედანვე გამომდინარეობს ამ წყაროს განსაკუთრებული არქაულობაც.


ის ფაქტი, რომ სულ სხვაგვარად, კონტრასტულად არის გადაწყვეტილი გზის მოსახვევში მდებარე წყაროს გაფორმება, ავტორის სწორი ჩანაფიქრია, იგი უფრო გამოილი ადგილას მდებარეობს და ყოველი მხრიდან თვალმისაწვდომია.

1966 წელს კურორტ ბორჯომში არქიტექტორების გ. ჯამუასა და გ. ცხაკაიას პროექტით აიგო მინერალური წყლის ახალი წყარო. იგი წარმოადგენს სამ საყრდენზე მონათესებულ ნახევრად სფერულ გუმბათს. მისკენ გაზის გრძელი ტერასა მიემართება. გუმბათის ქვემოთ, შიგ ცენტრში, გაკეთებულია წყარო.

წყაროს გაფორმება დაცულია მხატვართა ჯგუფის (რ. მელიქიძე, ვ. გელაშვილი, ი. გაბაშვილი, თ. რეველიშვილი, რ. ცუბიშვილი) გადაწყვეთ, ძველი წყაროს ძირითადი კონ-

საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივის შენობის ფასადი. მხატვრები ლ. ნაკაშიძე, ა. ბასიშვილი. მასალა — ცეცხლამაშეთი თიხა, შირალები, 1967 წ.





ზედახნის წყარო (საერთო ხედი). მხატვარი რ. იაშვილი, არქიტექტორი გ. ჯაფარიძე. მასალა — ცეცხლგამძლე თიხა, ფერადი ქიქური. 1966 წ.

სტრუქციის უცვლელად დატოვება. იგი უნდა გაკეთებულიყო ძელი, ზუსტად განსაზღვრული ზომითა და პროპორციებით, რაც კიდევ უფრო ართულდება მხატვართა ამოცანას. ამასთან, წყარო მაქსიმალურად მოხერხებული უნდა ყოფილიყო მომსახურე პერსონალისთვის.

ამგვარ წყარო კუბისებური ფორმისაა. ზემო ნაწილში მოთავსებულია 180 სანტიმეტრი დიამეტრის მრგვალი თუჯის თასი. სწორედ ეს თასია ძირითადი კონსტრუქციული ელემენტი. წყარო წყაროდან პირდაპირ თასში ჩადის, ხოლო შემდეგ მილბით ფასადის წყალსადინარებში მიედინება. აქ მოდიან დამყენებლები მიწერალური წყლის მისაღებად.

კედლები გასაფორმებლად გამოყენებულია უხეში შამოტი, რელიეფად არის გამოსახული ცხოველები, ფრინველები, მზე და ორნამენტული მოტივები. ცენტრალურ რელიეფში წყალსადინარია. მიწერალური წყალი წვრილ ნაკადად ეშვება კერამიკულ თასებში, რომლებიც წყაროს ქვედა ნაწილის საფეხუროვან შვერილშია ჩამონტაჟებული.

ზემოდან წყარო დახურულია ორგანული მინის ხუფით, რაც წყაროს გაჭუჭყიანებისაგან იცავს.

წყაროს ორი სხვა კედელი შესრულებულია ქართული ხალხური ქვის წყობის შესაბამისად. თითოეული კედლის ზემო კუთხეში განლაგებულია რელიეფები წარწერით: „ბორჯომი, 1966 წ.“. კერამიკა მთლიანად მოფარულია სხვადასხვა ფაქტურის მუქი ნაცრისფერი და ჩალისფერი ქიქურით. ეს ფერები კარგად ეხამება წყაროს ირგვლივ გრახიტის იატაკს და გუმბათის შიდა ზედაპირის მუქ-წითელ ფერებს. მხოლოდ აქა-იქ ძვირფასი ქვების მსგავსად ჩარჩულია ფირუზისფერი, წითელი, ცისფერი და მწვანე ქიქური, მაგრამ საერთო ანსამბლს ფერის მიხედვით თითქოს არ ვგუება რელიეფი მზის გამოსახულებით.

მიუხედავად ამ უმნიშვნელო ნაკლისა, წყარო საინტერესო არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს, სადაც ფერი და პლასტიკა კომპოზიციურად ავსებენ ერთმანეთს.

თბილისის სასტუმრო „ივერიას“ ძირითად კორპუსსა და დამხმარე სათავსოებს შორის მოთავსებულია ღია ტერასა აუხთია და ქალღმერთის სკულპტურით (მოქანდაკე გ. კორძაია).

ამ ტერასაზე გამოდის უზარმაზარი კერამიკული პანო, რომელიც სასტუმროს ძირითადი კორპუსის კედელზეა გაკეთებული. მისი ავტორია ახალაზრდა კერამიკოსი ვასილ წერეთელი. პანოზე გამოსახულია ქართული ჭურჭლეული: ჭინჭილა, ფილა, დოჭი, ჩაფი და მარანიც კი. ყოველივე ეს ერთ კომპოზიციისაა ჩართული, რაც ალგა-ალგა არაორგანიზებული და გადატვირთულად გვეჩვენება.

პანოს კოლორიტი — მსუბუქი მომწვანო ფერი — კარგად ეხამება იქვე დარეულ ვასს, აუხს, თბილისის ხედებს. ხაზი რომ გაუსვას ჭურჭლის გამოსახულებათა მონუმენტურობას, ავტორს ფონი წვრილი კერამიკული ფილებისაგან აუწყვია, ხოლო ჭურჭელი გამოკვეთილი რელიეფითა და ორნამენტებით. პანო ცულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, განსაკუთრებით თუ მას რესტორნიდან ვეუკრებთ, რომელიც ამავე ტერასაზე გამოდის.

მხატვრებსა ლ. ნაკაშიძემ და ა. ბაისვილიმა გააფორმეს საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივის შენობის ფასადი, რომელიც პეკინისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობს. ამ პროექტის ავტორია არქიტექტორი ლ. პაპიშვილი.

შენიშნა საენურ კოვს მოგვაკონებს, აქვს ყრუ კედლები, როგორც ამას მოითხოვს არქივის სათავსოების სპეციფიკა. იგი მოპირკეთებულია თეთრი ცვლიარის ქვით, რომელიც აიწყო სამშენებლო კომბინატში 2,5x3 მ პანელების სახით, ხოლო შემდეგ ამ პანელებით მოპირკეთდა მთელი შენობა. პანელებს შორის დატოვებულია ნაკერები, რის გამოც კედლები სიბრტყე უზარმაზარ სწორკუთხედად არის დაყოფილი.

შენობის ფასადი, რომელიც ვაჟა-ფშაველას პრესაპექტს გადმოჰყვანს, გაფორმებულია მონუმენტური კერამიკით.

ფასადის უზარმაზარ სწორკუთხედად დაყოფამ, როგორც ჩანს, მხატვრებს შთააფანო კომპოზიციური გადაწყვეტაცა. მთელ ფასადზე ხან ვერტკალურად, ხან პირიზონტალურად განლაგებულია 7 სწორკუთხედავი პანი-სადგამელი, რომელთა შორის ძირითადია ქვემო პანო. იგი თითქოს აღნიშნული შენობის შინაარსსა და დანიშნულებას გვაცნობს.

მუსიკალურ ინსტრუმენტთაგან ინტერესს იწვევს ტუნური, რომლის ტარი მოქვილია სვანური ფიგურებით, კარვა (ჩაღალი) კი აკუსტიკურიობის შესანარჩუნებლად სადად, მაგრამ მიწოდებულადაა გაფორმებული.

საბრძოლო-სანადირო იარაღები-

დან გამოირჩევა სვანური მშვილდი კაპარჭითა და ისრებით. მიზანში სროლის უკეთ ორიენტირებისათვის მშვილდს თოფის კონდახი აქვს დაყოლებული, რომლის ერთ მხარეზე ამოკვეთილია სვანური კოჭვი, სახლი და სხვა ნაგებობანი, მეორე მხარეზე — კავკასიონის ერთ-ერთი თხემი. ქედზე თავი მოუღებელი ცხენზე რქებდადაყრილ ხარჯიხვს, რომლის შორიახლო ყარყარა შურთხი ჩამომვდარა. ტარის შუა წელზე ამოჭრილია სვანური დროშის „ღღა“-ის გამოსახულება. მშვილდი ცხენზე ჯდომისას მხედარს მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, მიპქროდა ცხენი და პაერთი გავსებული დროშეც ლომის გამოსახულებას ღებულობდა.

მშვილდის ტარი და კონდახი ეკრუსტირებულია ძლითა და სხვადასხვა ჯიშის ხის მონატრებით, რაც განსაკუთრებულ ეფექტს ასდენს მნახველზე.

მხატვრულადაა დამუშავებული ერთეულ საისრე კაპარჭიც, რომელშიც ფერადი ხის ნატრებითა ჩასმული ფარი გადაჯვარედინებული მასივობითა და ქართული აღმით. კაპარჭში რამდენიმე შუბის წვერითა და ფრთვით გაწყობილი ისარი აწყვიდა. აღნიშნული ექსპონატი ჩანგ „მწუხარე მკლავთან“ ერთად თბილისის ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ მუზეუმში ინახება.

ვ. სალიანის ნამუშევრებიდან უდავოდ ცალკე აღნიშვნის ღირსია ბარელიეფი ზემი — „დადემქელიანების ტყვე“. ბარელიეფში ამოკვეთილია დილევის ერთი კედელი, რომელზედაც ნახვრადმოშვული, გაწამებული ტყვე მისვენებული. ტყვეს ფეხები ხის ხუნდებში აქვს, ხელებზე კი — ხელობრილი ადვეს (ჯაჭვი გამოკვეთილია იმავე ხისგან).

ინტერესსმოკლებული არ არის ინკრუსტიცია ზემი — ლენინის სურათი, ხის დეკორატიული ლანაჯი ლენინის გამოსახულებით, შოთა რუსთაველის ქედური პორტრეტი და სხვა.

თავმდაბალსა და ნიჭიერ ქართველ თვითნასწავლ შემოქმედს კარგად იც-



სამება.

ნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მხატვრის არა ერთი ნამუშევარი იყო გამოფენილი საფრანკეთში, პოლონეთში, რუმინეთში, კანადაში, თურქეთში, ირანში, ალჟირსა და სხვა ქვეყნებში. ვ. სალიანმა განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა მონრეალში, სადაც სამუთაო კავშირის პავილიონის დარბაზებს მიზი ექსპონატებიც ამვენებდა.

მაღე მესტიამი აშენებდა რესტორანი „მესტია“, რომლის კარ-ფანჯრების, ავეჯისა და ხის სასმის-ჭურჭლის დამზადებაც ვ. სალიანს აქვს დაკვეთილი.

ამჟამად ვასილი კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატის სუვენირების სამეჭროში მუშაობს და არათუ შეაქვს თავისი წვლილი სამსხვრეო ქართული ნივთების შექმნაში, არამედ სულს აქსოვს თითოეულ მათგანს, აფაქიზებს და მოთმინებით ხვეწავს, რათა ნამდვილად უნიკალური იყოს იგი — არ შეარცხვინოს საუკუნეობით განმტკიცებული ეროვნული ქედისა და ხის მხატვრული დამუშავების ტრადიცია.



ო. მელვინოვსკი.

ვი ძაფები, მსახიობებზეა დამოკიდებული გაიციინებენ, თუ ჩაფიქრდებიან დარბაზში მსხდომნი. რა არაუშუალო პროფესია... აქტიორული თამაში არ არის ხელოვნება — აცხადებს გორდონ კრევი და ოცნებობს ელექტრონული მანქანების საუკუნის განთიადზე, ახალი რობოტების თავისებურ თეატრზე, მსახიობ-„ზემარიონეტებზე“. მაცურებელთა დარბაზზე რომ იმოქმედო, გრძობიერება გონებით უნდა გართუნოთ დამოუკიდებლობა, რომ არ შევრაცხოთ ყველაფერი ის, რაც სულის სიწმინდეს ეხება, რომ არ გავითქვიფოთ თეატრში, მის რთულ და წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში. რა ვუყოთ სტუდენტურ ფიქრებს — ფიქრებს სტუდიაზე, ღამის გულთმზილველობას და საუბრებს ხელოვნებაზე, ფიქრებს თეატრზე, რომელშიც მუშაობ და იმ როლებს, რომლებსაც წლობით უცდი, მაგრამ... ეს მაინც ყველაზე კეთილმოზილური, ადამიანური პროფესიაა და კვლავ გიჩნდება ბავშვური სურვილი — იყო მსახიობი, სცენის ჯადოქარი.

უცქერი ძველ, სკოლის, პიონერთა სასახლის ლიტერატურული კაბინეტის ძაღლებით დადგმული სპექტაკლების გაყვითლებულ აფიშებს. სპექტაკლი „ყარალები“ მიეძღვნა სსრ კავშირის სახალხო არტისტ აკაკი ვასაძეთთან შეხვედრას. მამის როლს ასრულებდა ო. მელვინოვსკისეც. მაშინ მსახიობობისაკენ სწრაფვა მისთვის შეუცნობელი იყო. ყველაფერი ეს გვიან მოხდა, როცა სურვილები გაიბრკვა, როცა სცენიდან ხმამაღლა თქმულმა სიტყვამ გაოცება გამოიწვია, იყო ეფექტი და წარმოსახვა და მაშინ მოქმედების დინამიკა და გმირის სახის გაყოცხლება გახდა მნიშვნელოვანი და აუცილებელი. ამიტომ მისი შესვლა 1951 წელს თეატრალურ ინსტიტუტში უკვე კანონზომიერი იყო.

... უკვე ინსტიტუტში მაღალ და მოწილ ყმაწვილს ძალზე პირდაპირ ეჭირა თავი და მიიპყრო კიდევ ყურადღება თავისი შრომისმოყვარეობით, გარდასახვის, საკვირველი ახალი ფერების ძიების უნარით და იგი მოექცა ნაცნობი ლიტერატურული გმირების გარემოცვაში. უკვე ინსტიტუტში იგი თანაბარი ინტერესით თამაშობდა ა. ჩეხოვის, დ. კლდიაშვილის და შ. დადიანის გმირებს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ო. მელვინოვსკისი მარჯანიშვილის თეატრშია. ახალაზრდა მსახიობს აკისრებენ როლებს სახელგანთქმული მსახიობების თანავარსკვლავედში. იგი ყოველი როლით სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. რევაზი — „ადამიანია ის?!“ ვ. ყუშიტაშვილის დადგმით; ქარიყაპია — „მია წყნეთელში“, გრაფი ბელივერი — „მარია სტიუარტი“, ნაპოლეონ ჭინტილიევილი — კ. ბუაჩიძის „მეცხე ქალიშვილებში“. პროფინციულ სტუდენტ-ფილოლოგ პოეტს თავბრუ დაასხა ქალაქურმა ცხოვრებამ — ეს იყო პირველი როლი მსახიობისათვის ამ ახალგაზრდულ სპექტაკლში (სპექტაკლი მხოლიანად ახალგაზრდული, კომკავშირული ძაღებით იყო დადგმული). ყველაზე კარგად თავი მან ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“ გამოამჟღავნა. მსახიობის გარეგნული მონაცემები, ვაჟას პოეტური სიტყვის სიღრმით, რაინდული კეთილშობილებით და ვაჟაკური ღირსებით იტაცებდა მსახიობს ჩონახს

რ ე მ ჰ ი ს შ უ ქ ზ ე

ია მუხრანელი

306 პრ ოცნებობდა ბავშვობაში მსახიობობაზე, ვინ არ თანაურგონობდა სცენასა და ეკრანზე რომანტიკულად ამაღლებულ გმირებს. ვის არ ჰქონია სურვილი, ფანქრის ერთი შეხებით მათი სახე ჩაეხატა. ჯადოქრული პროფესიაა... სცენასა და მაცურებელთა დარბაზს შორის იმეება უხილავ-

იერსახე. მოლაღატე ბახას მიერ სასიკვიდილო დაჭრილი ჩინთა-ო. მეღვინეთუხუცესი ცდილობს მახვილის დარტყმით უპასუხოს მას, მაგრამ არ ყოფნის დღე. იგი როგორც დაჭრილი არწივი, კლდის ქიმზე ცოცხ, მისი ხელი კვლავ მახვილის ჩასჭიდება, ითხოვს მიუახლოვონ ლამარის ჯვარი, ასენდებდა სიხურები, რაც ტრაგიკულ ჰიმნად — რვეყვიმად ეღერა. შემდეგ როლები ზაკის, კუნსეცივის, აქსიონოვის, კორნეიჩუვის, მილერის, შვესპირის, გორკის პიესებში: დიდიბე და პატარებ, საინტერესონი და არასაინტერესონი. და ყველგან იყო სრუაფვა ხელოვნებაში საკუთარი „გასასუღელების“ საპოვნელად. ფიქრები ცხოვრებაზე, მისი როლები პლატაკური ნახატო აყვავლოვის იმას ემსახურებოდა, რომ წარმოთქმული სიტყვების შინაგანი აზრი სწორად მიეტანა მაყურებელამდე. ადამიანები ხომ იმისათვის მოიად თეატრში, რომ დაფიქრდნენ თავიანი ცხოვრებაზე. ამისათვის გააჩნია მსახიობს სწორედ ისტატობის, პოეზიის, თანამედროვეობის შერძინების უნარი, აღქმის სიმახვილე, რომელსაც ის მიყავს ადამიანურების გზით ხელოვნებაში. მსახიობის აქტიურული გამოცდილებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პამლეტის როლზე მუშაობას, რომელსაც იგი 1966 წელს შეუდგა. ი. ისებლიანთან ერთად.

ფიკრები ხმაგალა

პამლეტე დაწერილია უმარავი გამოკლევა და კრიტიკული სტატია. პამლეტი — ჰუმანიტი, მოაზროვნე და ახასთან ერთად ოცდახალ სახე. იგი დინჯია და გაბედულიც (მარტოშატიო მახვილი ხელში აღის აგმანაზე პირატებთან), აგლიანი (პოლონურ სისადმი მიმართული სარკაზმით და დაქინებით) და ნაზი (აღსარება და დედასთან). ზოგი სოვლის, რომ ის მხოლოდ მოცინება. აუკვლავობის ძიებვის დარჩენა ჩარგეს შუბა, — წერად გოეთი. — ფეხები გაიზარდა და დარჩა დაიხსტარა“.

პამლეტი — ეს არის სიხებტაე, უკომპრომიზობა, დიდი სიყვარული და განუთომელი გულსიტყვილი კაცობრიობისადმი, ბორღებთანაშე შეურთებლობა. მისი სული გახსნილია სიკეთისთვის და სასევა ხალხისადმი სიყვარულით. გული მწუხდება, რომ ჭერ არ მოიხბდა მეთამაშა პამლეტი მაყურებელთა წინაშე. რათა სასმეკავრე გამომეტანა მისი ღრმა განცდები. ფიქტრობ, რომ ჩვენი ჩანაფიქრ განხორციელებდა რუსთავის თეატრში, რომელიც ავერ უკვც ორი წელია სახლი გახდა ჩემთვის, ისევე, როგორც ჩემი უსახანგებობის მარჩანაშვლის თეატრთან.

თეატრი ეს არის სიყვარული, ზოლის, ცხოვრების სკოლა, — მსახიობი კი გრანდული მასპინძელი.

თეატრმა უნდა გასწავლოს და შევადლებინოს, დაგარწმუნოს შესწავლბში. ამისათვის საჭიარის არ არის მხოლოდ გარდასახვის ისტატობა. შტერის, მანერის, სიარულის და ცალკეული ხასიათების იმტარება შესაძლებელია, მაგრამ იმისათვის რომ იცხოვრო გვირის ფიქრებთა და გრძობებით, უნდა დაეკუთვნოს მის იერსახე, ამისათვის კი საჭიროა ყველაფერი ეს შეითვისოს და გახსნა შენს, ყველა სპექტაკლში ფიზიკურად და ფსიქოლოგურად განახლება შემწილი სახე. როცა ადამიანი ცხოვრებაში მოუხარება განცდის, ის მხოლოდ იტანება და ტირის, ხოლო მსახიობი თუ სცენაზე გულახდილად და ღრმად განცდის, ამასთან ერთად ის შემოქმედებითი ხასიათსაც გრძობს. მსახიობს შეუდა ესპირიტუბა გრძობების განახლება, რომ ყოველთვის ახალი და საინტერესო იყო მაყურებლებისთვის. აი, ამას, მე მგონი, ყველაზე დიდი სირთულე და ჩვენი პროფესიის კამბორბა. თვისებები რა შეიქმედის იმპროვიზირებულ ფსიქოლოგიას, მსახი-

ობი, როგორც მხატვარი, ყოველთვის მოსმენნის თავის თავს. საპირა იცოდ სიუეტის ირველვ ფანტაზიება, გაიარ იმპროვიზაციის დიდი სკოლა, გამოყენო სიუეტეტი შემოქმედებითი ინდივიდუალობის თავისუფლად გამოსახატვად. იუმირის დეუარკავად მსახიობმა უნდა გაიმარჯვოს თავისი სხულის სიმძიმეზე. იუმირი, მიმართული შენი თავისადმი, გადაგარჩნეს საკუთარი პატივმეფავრობისგან. შოავარია როლში იგრძნო იერსახის ატმოსფერო .

სირანო დე ბარბერაკი

თთარ მეღვინეთუხუცესი გასაოცრად ფაქიზად გრძნობს თავისი გვირების ატმოსფეროს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამომეფავდა როსტანის კომედიანში — რუსთავის თეატრის პირველ პრემიერაში, ნასახიობისა და თეატრის პირველ დიდ გამარჯვებაში. რუსთავის თეატრი განსაკუთრებულია ცხოვრების დანახვის სიხუსტით, რომელიც მითი, აღმადურენით და თავისი მიმართულებით, სწორედ ამიტომ დაუკავშირა ნასახიობმა თავისი ბედი ამ თეატრს. მე მასსოვს ამ თეატრის დაბადება, როცა დასი რეპეტიციებისათვის მომთაბარებოდა სხვადასხვა დარბაზში და მსახიობებმა ე. ლორთქიფანიძის მოთაგებით გვიჩვენეს საკუთარი ძიების მნიშვნელობა და თავიანთი ადგილი ხელოვნებაში. რუსთავის მეტალურგების სასახლის დარბაზს არ შეეძლო სპექტაკლე ყველა მსურველის მიღება, მოთმინების გუგუნებდნენ სიუეტესები თეატრის მისადგომებთან. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მაყურებელთა რიცხვი. და როცა ჩაქრა შუქი და აღედარდნენ რამბის ნათურები, დარბაზში მსხდომნი თვალს არ აცილებდნენ სირანო-მეღვინეთუხუცესს, ურველად და ასე ახლობელს ყველასათვის. სიმართლის, პატიოსნებისა და სიყვარულის რაინდს. სცენაზე იყო ადამიანი, რომელიც დიდი ხანი უცლდა ბედნიერებას. სპექტაკლის ყველა ძაფი ერთ კვანძში, სირანოს პიროვნებაში იყრიდა თავს, მსახიობ-მეღვინეთუხუცესი სპექტაკლის სული, მისი საზომია. ის ასრულებდა არა ენუფიფული სიყვარულს, არა ამბოხებულ პოეტის მარტობის თანავარძლობის დრამას, არამედ თაობის ტრაგედიას, როცა სული მოტეხილია, გრძნობები გათელილია. მას არ შეუძლია „გულუბრყვილოდ ქედის მოხრა“, სირანო-ო. მეღვინეთუხუცესის მთავარი მოტივი პოეტის განისხება, ვენებათაღელვა და ტანჯვაა. ადამიანებს არ ემსიბერ ერთმანეთის, თავისი ეგოზმის იეთ ვერ იხედებიან სხვის სულში, ბუნებრიობისთვის ძალიან დიდ საფავურს იხიდან. და ამიტომ ზოგს მარტობა სჯის, ზოგნი ეგუებენ, როგორც რკინი შეგვაა თავის „კულმინარულ პოეზიას“, სხვები კი კვებიან მას, როგორც სირანო მოკვდა, ზეზურად, მოუტეხლად.

ო. მეღვინეთუხუცესმა დამაყვებლად გვაჩვენა სირანო ჩვენს წარმოდგენაში. მხოლოდ ასეთი უნდა იყოს დამნის ვირტუოზული ფორბა, მისი მხიარული ბავშვური დიმილი, მწარე ირონიის დამსხვრეულ ოცნებებზე, სარკასტული მონილოგი ცხვირებზე, სიყვარულის ახსნა, მისი ქედამდლობა და ღირსეული თავდაჭერა ჰერკლე დე გიმონა, განრისხება და სულის ყვირილი — მე ვარსკვლავთმრიცხველი ადამიანი ვარ და მინდა ვწურო, რაზეც მსურს! — განა ჩა-

მოთვლი იერსახის ყველა შტრიხს. ო. მეღვინეთუხუცესი ასრულებდა სირანოს ისე, თითქოს არ არსებობდა ტრადიციები. თანამედროვე ხელოვნების ინტონაციების უშუალო და გალური მახვილსიტყვაობის ირონიის ბრწყინვალე გამოყენებით, მსახიობი მაინც ყოველთვის თავისთავადი რჩება. პირადი მასში განუყურვლად არის დაკავშირებული ზოგად-ადამიანურთან, როცა სხვისი მწუხარება შენად იქცევა. მას არ შეუძლია უბრძოლველად გაცლა და სირანოსთან ერთად მსახიობი ყველას იწვევს ადამიანურობისათვის ბრძოლაში, პოეზიისთვის, სამართლიანობისთვის ბრძოლაში.

„100 წლის შემდეგ“

საბჭოთა კავშირში რუსთავის თეატრი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც 1967-68 წლების სეზონში ვ. კოროსტილევის ბიესა დადაგ. ნიკოლოზ პირველის როლს ასრულებდა ო. მეღვინეთუხუცესი. „ასი წლის შემდეგ“ დოკუმენტურ-ისტორიული ფაქტების შემცველი თანამედროვე ბიესაა.

მსახიობი არ ჩქარობს მსჯავრი დასდოს ნიკოლოზ პირველს — პალკინს. სურს ესმოდეს მისი, როგორც თავისი თანამედროვესი. მისი ნიკოლოზი ლამაზი და მომხიბვლელია. იგი საშინელია თავისი გველური სილამაზით და თვალმომპიკობაში გაწაფული ხელოვნებით. შიში მეფის ხედვლია და მისი ცხოვრება ამ შიშის გადალახვაა. მსახიობი მაყურებელთა ყურადღებას ამახვილებს თვითმპყრობელის შიშზე ჩამოხრჩობილითა არჩილებების წინაშე, შიშზე ისტორიის წინაშე. ამიტომ ის ასე გაწაფულად იქმნება და კითხვების ტუქტში, მაკიაველურად ამზადებს შესაფერის საბუთებს, სვამს ყალბი დოკუმენტებით დადასტურებულ

„ჭეშმარიტების“ სადღეგრძელოს. მაგრამ შიში არ ქრება, იგი უფრო იზრდება — შიში ხალხის წინაშე. შიში რომ დასაძლიოს, განრისხებულ მონარქი ამსხვრეტი სავაძიქლ-სახრძობლას, ისევე როგორც მოსპო ხუთი დეკაბრისტი მიცვალუბელთა ბაგენი უფრო ხმახალა ლაპარაკობენ, ვიდრე ცოცხლებსა, მათი ხმების ჩანსობა შეუძლებელია. გორნი-ი. უჩაიეშვილიან დღეებში ნიკოლოზ პირველი-ო. მეღვინეთუხუცესი დიდებულია გამომსახველობის ძალით, ზემოქმედების ხარისხით, როცა ერთმანეთის გვერდით ორი მსოფლმედეველობა, ორი ბედი, ორი ფილოსოფია დას. მეფე-მეღვინეთუხუცესი ხედვას რადეაბრისტიტების უდრეველობას, სიმტიცეს და სიმამაცეს, დასაწყისში მოქმედებს ძალის პოზიციიდან.

— ჩემს ქვეყანაში ზარებსაც კი ენას გლეჯდნენ, — მუქარით ამბობს ის და გორიანს რეპლიკის პასუხად, — მაშინ დუმილი სიტყვებზე უფრო მეტყველი იყო, — იგი მონეტრუად ცვლის ტაქტიკას, არბილებს ხმას, წუწუნებს მარტოობაზე, მეგობრობას სთავაზობს. იგი მამობრივად აღერსობს და ნაზოა ყმაწვილ ობოლენსეისთვის, ტანჯულის როლს გაითამაშებს და ხაზს უსვამს, რომ იგი მიატოვებს და მოატყუებს რუსეთის საუკეთესო შვილებმა. მსახიობი დამაჯერებლად ასახიერებს ნიკოლოზის სახეს ამ ელვისებურ ტრანსფორმაციებში. არის წუთები, როცა გჯერა მისი მონანიების. მაგრამ აი, დადაგ წაში, როცა ის მარტოდ-მარტო რჩება თავის თავთან და მისი ღმილი არღვევს ჩვენს ილუზიებს. ჩვენს წინ ისევე პალკინია და არაფერს არ შეუძლია მისი შეცვლა. აღარ არის სიყვარული, ვაჟ-ცაცობა, დარდი და მხოლოდ სიცარიელე რჩება. სიცარიელის სამეფო და ბორკილების ეღარუნია სამეფო ტახტისა და ორთავიანი არწივის სიმბოლო.



საინტერესო ღონისძიებები

ოთხი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტთან გაიხსნა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განყოფილება, რომელმაც ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ფაქტი მერად საგულისხმო და სასიხარულოა. ხელოვნების განყოფილების სტუ-

დენტთა უმრავლესობა კინოხელოვნებაში მიიზიდა. პირველმავე ლექციამ ცხადყო, თუ როდელ ინტერესს იჩენენ ახალგაზრდები კინოხელოვნებისადმი, როგორი სერიოზულობით ეკიდებიან მის შესწავლას.

გარდა თეორიული მეცადინეობისა, სტუდენტები კოლექტიურად ესწრებიან ფილმებს, შემდეგ კი მსჯელობენ და კამათობენ მის შესახებ. სტუდენტთა მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებენ პედაგოგები: გ. ხარტიშვილი, თ. ფერაძე, გ. ხუციშვილი, გ. ბარამიძე და სხვები. სწორედ მათი ინიციატივით კინოგანყოფილების სტუდენტებმა უნი-

ვერსიტეტის საექტო დარბაზში მოაწყვეს ქართული მხატვრული ფილმის „წყალობის“ განხილვა.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა დოცენტმა თ. ფერაძემ, ფილმის შესახებ მოხსენება გააკეთა IV კურსის სტუდენტმა დ. იოსელიანმა, რომელმაც საკუთარი აზრი გაუზიარა ფილმის შემქმნელ კოლექტივს. განხილვაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სტუდენტები: დ. ოქუჯავა, ჯ. ბარამიძე, მ. მოდუბაძე, რ. ევაძე, რ. თულიანი, კომპაეშვილის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე თ. ქლენტი, მოსწავლე მ. ქურდია-ნი, კომპაეშვილის თბილისის საქა-

მარტო ორი წლის მანძილზე რუსთავის თეატრმა თოხთხმეტი სპექტაკლი დადგა. „ჩვენი მუშაობის შეჯამება იყო გასატროლები მოსკოვში და როგორც ჩვენი პრესა აღნიშნავდა, ჩვენ იქ ვაჩვენეთ ექვსი სპექტაკლი: „სიხარო და ბერეკათი“, „100 წლის შემდეგ“, „კომედის ხელოვნება“, „ხიდი“, „კოლხეთის ცისკარი“ და „ფსკერზე“. „ფსკერზე“ ბოლო დადგმაა, რომელშიც მე სატინის როლს შევასრულე. სპექტაკლში ხაზგასმულია პიესის რომანტიკული მხარე. მსახიობები ცდილობდნენ ნათლად ეჩვენებინათ მიწეზე, რომლებიც ფსკერზე უბიძგებს გმირებს. ამიტომ ყოფაცხოვრების ტუნწი დეტალები, მსახიობთა პირობითი კოსტუმები თავშესაფრის სუსტად გამოსატული კონტურები იყო მხოლოდ ფონი ძირითადის — ადამიანის, მისი ბედის, მისი მომავლის საჩვენებლად. ყველაზე სასიამოვნო იყო ის, რომ ჩვენი მსახიობების მიერ ქართულ ენაზე თქმული სიტყვები რუს მკყურებლებში პოულობდნენ გამოძახისლს“.

ლონ-პიხობი

დაბოლოს, რუსთაველმა გაგაცნეს დელი ვასერმანის და ჯო დერიონის მუსიკლი „ლამანჯილი“ (მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ მიტჩლის, თარგმანი — მიხეილ ქვლივიძეს, ლექსები თარგმნილია პეტრე გრუზინსკის მიერ). დამდგმელი რეჟისორები არიან გ. ანთაძე და ნ. გაჩავა, მხატვარი — გ. გუჩია. სურვანტესისა და დონ-კიხოტის მთავარ როლებს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თთარ მეღვინეთუხუცესი. ეს მუსიკლი არ არის აგებული მხოლოდ რომანის ქარგაზე. აქ გამოყენებულია ფაქტები სურვანტესის ბიოგრაფიიდან: მისი დაბატმრება, სადაც დაიწყო რომანის წერა. ავტორები შეე-

ცადენ ეჩვენებინათ სურვანტესი და მისი შვილობილი ერთ სახეში. ბევრის მნახებლმა, ზღვის ბრძოლებში გამობრძმე-ლილმა, ტყვეობასა და ომში, შიმშილსა და ტანჯვა გამოვლილმა სურვანტესმა კარგად შეიგნო და გაიგო სიკეთე და ბოროტება, მამაცობა და ძალბორობობა. იგი გაფლანგვის ყალბი ბრალდებით ორჯერ იქნა დაპატიმრებული. და სწორედ აქ, ციხეში, ცხოვრების ფსკერზე მკაცრი სამსჯავრის წინ ის გაივლის რთულ გამოცდას, ამოწმებს თავის ადამიანის მნიშვნელობას ადამიანების, რომლებიც ძალზე შორს არიან ხელოვნებისაგან — პატიმარ ქურდებთან, ბოროტმოქმედებთან და მეძავე ქალებთან. სურვანტესი გაითამაშებს მათ წინაშე თავისი გმირების ისტორიას. ამასთან იზიდავს თავის მშენებლებსაც წარმოდგენაში. მას სურს დაამსხვრიოს უნდადლობის კველი, აღადგინოს და კარგული რწმენა პატიმრებისა, ადამიანების, რომლებმაც დაკარგეს ადამიანური სახე. მას სურს, დაარწმუნოს ისინი სიკეთეში, სამართლიანობასა და მშენიერებაში.

ო. მეღვინეთუხუცესმა სწორად გაიგო პიესის სპეციფიკა. არა მარტო იმიტომ, რომ ის თავისუფლად შედის ერთი როლის პლანიდან მეორეში, არამედ იგი ყოველთვის აჩვენებს თანამედროვე ადამიანის იმპულსს, რომელსაც კარგად ესმის ტრაგეზიში და კომიკურობა, უცნაურობა და შეცდომები, როგორც დონ-კიხოტის, ისევე თვით სურვანტესის, ბრძენის და კეთილის, მწუხარე რაინდის, რომელსაც ღრმად სჯერა სიკეთისა და სამართლიანობის. ის ასრულებს სურვანტესის და დონ-კიხოტის ისტორიას ტირილითა და სიცილით, ტანჯვით და დაკნინებით, თითქოსდა ყველაფერი ეს ახლა მოხდა. მისი დონ-კიხოტი მირბის თავისი იდეების სამყაროში, ყოველთვის ებრძვის გარშემორტყმულ უხემ სინამდვილეს, მის ახირებულობას ჩვეულებრივი ადამ-



ლაქო კომიტეტის მდივანი გ. აბდუშელიშვილი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე, ვაჟთა „მოლოდიოე გრუზიის“ კორესპონდენტი ლ. ჯანელიძე და სხვები.

მოსვენებელმა და კამათში გამოსულმა ახალგაზრდებმა დაწერილობით განიხილეს ფილმი, მსმენელთა სამსჯავროზე გამოიტანეს მისი ავ-კარგი. განხილვა განსაკუთრებით საინტერესო გახდა აზრთა სხვადასხვაობამ.

ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა თ. გოშაძემ და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ლ. კაპანაძემ მიიღეს მეგობრული შე-

ნიშვნები, რაც უდავოდ დაეხმარება მათ შემდგომ მუშაობაში.

საინტერესოდ წარიიშორა ავრეთვე სტუდენტების მიერ ჩატარებული კინოლამანახის განხილვა. წარმოდგენილი იყო კინოსტუდია ქართული ფილმის სამი ახალი კინოროგელა „ეპისკოპოსი ნადირობაზე“ (რეჟისორი ლ. ელიავა), „მეზობლები“ (რეჟისორი რ. ჯარხალაშვილი) და „ნუცა“ (რეჟისორი ა. რეხვიაშვილი). სიტყვით გამოსულმა სტუდენტებმა სწორი ანალიზი გაუკეთეს წარმოდგენილ ფილმებს, ბევრი სასარგებლო რჩევა მისცეს მათ შემქმნელებს.

რეჟისორებმა ლ. ელიავამ და

რ. ჯარხალაშვილმა ილაპარაკეს იმ სიძნელეებზე, რომლებიც ფილმზე მუშაობისას გააჩნდათ, ამავე დროს მაღლობა გადაუხადეს ახალგაზრდებს მათი შემოქმედების პრინციპული და ობიექტური შეფასებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნების განყოფილების ეს პირველი ნაბიჯები უდავოდ მისაღებების ღირსია. განყოფილების პედაგოგებმა შეადგინეს მომავალი მუშაობის გეგმა. სტუდენტები განიხილავენ ყოველ ახალ ქართულ ფილმს, ხოლო ღონისძიებები უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდება.

მიანები — დისწული, მღვდელი, ბაკალავრი იმით ხსნიან, რომ იგი ცხოვრობს სხვა სამყაროში, გამოვინო და ცრუ სამყაროში. მაგრამ ნუთუ ასეა შექმნილი ეს სამყარო? ამის შესახებ სერვანტესი პიესაში თავისდასაცავ სიტყვაში ეუბნება პატიმრებს: ჩაუფიქრდით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შევცდებით საგნებს. ერთი სამოციტოს ხელავს, მეორე სასახლეს, მესამე მშობლოდ წისქვილს უყურებს, სხვანი მტერს — გოლიათს, მეწისქვილს. ამაზე ელაპარაკება მსახიობი მაყურებელს სცენაზე და დარბაზში. დონ-კიხოტს არწმუნებენ, რომ გმირობის სესონი დიდი ხანია წვადა და დამკვიდრდა წმინდა ლოგიკის პერიოდში, მაგრამ ის არ ურიგდება და გამაგებელი ეძებს საბაბს მამაკობისთვის, ბრძოლისთვის, იმისათვის, რომ სამყარო უფრო კეთილი, უფრო სამართლიანი გახდეს. ო. მეღვინეთუხუცესი გვარწმუნებს — არა, არ დასრულდება გმირობის ხანა, არ შეიძლება აღივსოს რაინდობა, რადგან ბრძოლება ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ საჭიროა ბრძოლა უსამართლობათან, ხმლის გაშიშვლება სისხლიან ბრძოლაში, რომ ჩამოსწყვიტო ვარსკვლავი, რომ უმღერო სიკეთეს. ო. მეღვინეთუხუცესი ყოველ სცენაში უხსნის ამას მაყურებელს და იზიდავს მათ ორი სახეობის მოქმედებაში — როგორცაა თეატრი თავატრი. მოუხსრობს პატიმრებს მორიგ ეპიზოდებზე და იყენებს რა მათ როგორც რომანის გმირებს, ის შეუმჩნევლად თვითონ ერთვება მოქმედებაში. სერვანტესი — დონ-კიხოტს ტრაგიკულად მავედრებელი მწერაზე თვალბრუნებით იხმობს თავის სატრაგიკულითვეს იერიშისათვის წისქვილებზე. იგი თვით გაიჭრა ბრძოლაში, ხოლო სანჩო პანსა — რესპუბლიკის დანსახურებელი არტისტი ლ. ანთაძე, შემიწინააღმდეგე დავს შორიანება და ცდილობს დიდებს ბატონი. აი, არაქეთავიანი იდოლო ენარცხება ავანსცენასთან. შემიწინააღმდეგე მოღვრული მახვილისკაენ ყველაფერს ნათელს ხდის: დარტყმის ტკივილსაც, ბრძოლის სიმძიმეს და ქედუხერლობასაც. რა სერიოზული რწმენით აღიქვამს იგი თავის რაინდობას და როგორ სჯერა „ციხედარბაზის მასპინძლის“ — მედექინის (თ. მისურაძე), რა კეთილი და მორცხვია დუღიციანესთან. იატაკის საწმენდი ჩერთი, როგორც დროშით ხელში, იგი მორცხვად სთავაზობს, მიიღოს მოწყალება, ემსახუროს. არაფერს არ შეუძლია მისი რწმენის შერყევა, არც მოსმასახურე ქალის ვედრებას, შეხედოს მას ისე, როგორც ის ამას იმსახურებს, არც სასტიკ მარცხს, რომელიც მას სარკვეთა რაინდმა მიაციენა. აღმოჩნდება რა მოახლოებული სარკვევის წრეში, იგი დაბნეულია და ტირის, მაგრამ მაინც გაჰყვირის — „ჩემი ქალბატონი შევწინააღმდეგე და უგრანობლად ეცემა“.

მაგრამ ისმის ჩაფრების ყვირილი. სერვანტესი უნდა მოემზადოს ინკვიზიციასთან შესახვედრად. იგი დაღლილი წამოდგება უკვე არა როგორც დონ-კიხოტის, არამედ როგორც სერვანტესი, მას სასწრაფოდ სჭირდება სხვა ფინალის მოფიქრება. მსახიობი შუბს მიწაში ჩაასობს, იხსნის აბჯარს — შემდეგ კი ხელმოკრედ კვდება თავისი კეთილგონიერული ახლობლების წრეში, ის ისევ დონ-კიხოტია,

მოსუცი ავადმყოფი და უბედური ადამიანი. ის, რაც მან გადაიტანა, არის გრძელი და სამწინელი სიზმარი. სინიორი კებასა გონიერად განკარგულებების იძლევა, კარნახობს ანდერძს და არ ცნობს დუღიციანეს. ის კი კეთილით ასეინებს ფიცის სიტყვებს, მის გმიროდ საქმეებს და მისი თვალბრუნებები, ნელ-ნელა იკრებს ძალას მისი გრძელი, დაბერებულნი სიხურული, ვერადნობა სანჩოს და დუღიციანეს და ნელა უახლოვდება ავანსცენას, შთაგონებით იხსენებს ფიცისა და სიყვარულის სიტყვებს.

კვდება ის უბრალოდ. მისი სიკვდილი კიდევ უფრო ლამაზი გახადა მისმა დაბნეულმა კეთილმა ღიმილმა; გაიხსნის დუღიციანეს აღზნებული მოძახილი: — „ადამიანი მოკვდა. დონ-კიხოტი არ მოქვდა“ და შემდეგ მსახიობი — უკვე სერვანტესი ემზადება სხვა სასამართლოსთვის — ინკვიზიციისათვის.

ბორკილები ჟღარუნებს — მიდის სერვანტესი მისთვის სათუთად გადაცემული წიგნით ხელში, მიდის იმისათვის, რომ ასევე კარგად დაიცვას თავი სხვა სამსჯავროს წინაშე. მიდის მალაღობ, მამაღობ, ზეგნის განმცემელი ადამიანი, რაინდი და მებრძოლი. ის ტრავებს გონებასწინ, კეთილშობილ ადამიანებს და უტოვებს მათ მშვენიერ სიტყვებს, რომელიც უთხარა თავის საჭურველმკვირველს: „თავისუფლება, სანჩო, ეს არის ერთ-ერთი უძვირფასესი სიმდიდრე“...

თათარ მეღვინეთუხუცესი ძალზე ახალგაზრდა დასატატა. იგი ასევე მუშაობს თავდაუზოგავად, მიუღო შესაძლებლობებით და ყოველთვის გარძობს იმ საზრდას, რის შემდეგაც იწყება სიყვალზე. ცოტა უფრო მეტი პათოსი ან ცრემლი და სირაონ — რეზინერია, ცოტათი უფრო მეტი მაკავებლობი და ნიკოლოზი სქება იქნება და არა ადამიანი, ცოტა ნაკლები ვენება და ვაჟა-ფშაველა გაუღებელი ფოლოროსიტად იქცევა. ყველაფერი, რასაც მსახიობი აკეთებს დღეს, გამსჭვალულია ადამიანის სწრაფით თავისუფლებისაკენ. ო. მეღვინეთუხუცესი კითხულობს ლექსებს და გვაოცებს. აი, როგორ შეიძლება მოიხსნას ბარიერები წარსულსა და დღევანდელ დღეს შორის. ასახიერებს როლებს და გვაკვირვებს ახლებური ტრაქტოკით, ის ყოველთვის იცავს დისტანციას თავისსა და გმირს შორის.

მომავლისათვის მას დიდი გვემბი აქვს. აქვს სურვილი, ითამაშოს ქართული დრამატურგის როლი თანამედროვე პიესაში, მიინდას ტოლი როლი, ფილოსოფიური და ტრაგიკული, ლირიკული და ნაღვლიანი. საინტერესოა მისი მფეე გაიორგი, პირველი როლი ფილმში „დიდოსტატის მარკვენა“, როლი ადამიანისა, რომლის ჭაბუკურ მხრებს მიძიდვ დაწვა სისხლიანი ომებისა და აჯანყებების კომპარტი. როლი გლახუნა ავანსიძისა, რომელმაც იცის სიყვარული და ზიზღი. კინომაყურებლებს ახსოვს ო. მეღვინეთუხუცესი კინოფილმში „ფატმა“, „კეთილი ადამიანი“ — „ერთი მისი ქვეშ“, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თეატრი მისი მოთავარი მოხიანი და ერთადერთი სიყვარულია, და არც არასდროს უღალატებს.



ქართული თეატრალური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას — ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრს 110 წელი შეუსრულდა.

შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის თეატრმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოში 1905 წლის რუსეთის პირველ რევოლუციასთან დაკავშირებით მასების რევოლუციური სულისკვეთების აღსაზრდელად.

ქუთაისის თეატრი და 1905 წლის რევოლუცია სახელოვანი თავფურცელია ქართული თეატრის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის თეატრის კოლექტივი, რომელსაც იმ დროს ჩვენი ერის სიამაყე ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობდა, არა მარტო შემოქმედებითად, არამედ უშუალოდ, იარაღით ხელში მონაწილეობდა საბარკადო ბრძოლებში სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ამ შეტაკების დროს დაიღუპა თეატრის მსახიობი და მოკარანახე შ. მშველიძე.

ბუნებრივია, თეატრს, რომელსაც დიდი რევოლუციური დამსახურება მოუძღვის, მდიდარი ისტორიული წარსული აქვს.

სწორედ თეატრის წარსულის, აწმყოსა და მოავლის შესწავლას ემსახურება სამიოდე წლის წინათ ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრთან შექმნილი მუზეუმი, რომლის დაარსების ინიციატორია ამ საქმის ენთუზიასტი, სამამულო ომის გეტერანი, რეჟისორი, მუშა-ახალგაზრდობის (ტრამის) თეატრის ყოფილი აქტიორი ალექსანდრე ალფიძე. ყურადღებას იპყრობს მუზეუმის ფართო და ნათელ დარბაზებში თავმოყრილი ათასობით აფიშა, პროგრამა, გამორჩენილ თეატრალურ მოღაწეობა ფოტოსურათი; აქვეა დადგმათა ესკიზები, ნოტები, ცალკეული ფურცლები, სხვადასხვა რელიქვია, ქანდაკება, ბიუსტი, სივლითი. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს თუ რაოდენი მუშაობა გაუწევია მუზეუმის გამგეს ა. ალფაძეს მუზეუმის ორგანიზაციის, გაფორმებისა და თეატრალური ექსპონატების შერეოვება-სისტემატიზაციის საქმეში.

ქუთაისის სათეატრო მუზეუმი

ივანე ბუხაიძე

მუზეუმში თავმოყრილი საარქივო ჩანაწერები და რელიქვიები მოვითხრობენ ქუთაისის თეატრის მდიდარ ტრადიციებსა და შემოქმედებით მემკვიდრეობაზე.

ამ თეატრში აიდგეს ფეხი და შემოქმედებითად დაეკავიან ქართული აქტიორული სკოლის გამოჩენილი მოღაწეები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, ვალერიან შალიკაშვილი, ნუკა ჩხვიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, გიორგი არადელ-იშხნელი, იუზა ზარდალიშვილი და მრავალი სხვა.

სამუზეუმო ფონდის გამდიდრებაში უდევდა დიდია საზოგადოებრიობის როლი. მუზეუმის სიმდიდრე ხომ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა დახმარებას უწევს მას საზოგადოება სამუზეუმო ექსპონატების შერეოვებაში.

ამ მხრივ უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. გაიზარდა და განმტკიცდა კავშირი სათეატრო მუზეუმის საქმიანობით დანტერესებულ კერძო პირებთან, რის შედეგადაც დღითიდღე მატულობს საინტერესო ექსპონატთა რიცხვი. ქუთაისის თეატრის ისტორიის სრულყოფილი ასახვით დაინტე-

რესებულ არიან მსახიობი ვაჟა ოყრემშიძე, თეატრის ფოტოგრაფი ოთარ მხვიძე, თეატრის მთავარი ადმინისტრატორი ალექსანდრე ბუთაშვილი, პედაგოგი ნინო მიქაბერიძე, პენსიონერი ელენე კვანტრე და სხვები.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის ლაბორანტი — თამარ აბდლაძის მიერ თეატრის მუზეუმისადმი უსასყიდლოდ გადაცემული ძვირფასი ექსპონატებიდან ყურადღებას იმსახურებს ფოტოსურათი (1909-1912 წწ.), რომელზედაც აღბეჭდილია ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა. მაშინ გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ იმდროისათვის ცნობილი ექიმი ს. ხერინოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის დედა — მარგალიტა გიორგის ასული ანჯაფარიძე (თავმჯდომარე), სახელმწიფო ბანკის მმართველი ივანე პურადაშვილი, ბანკის ეკონომისატი ვ. კაჭახიძე და სათეატრო საქმიანობის ქველმოქმედი (კომერსანტი) მელიტან ბესარიონის ძე აბდლაძე (გარდაიცვალა 1954 წელს), რომელიც უსომოდ იყო შევცარებული თეატრზე. ეს გრძობა მას სიკვდილამ-



დე შემორჩა და ყოველთვის საგრძნობ ფულად დახმარებას უწყვედა ხელმოკლე თეატრს.

მელიტონ აბდლაძის პატრიოტობაზე მრავალ ფაქტს მივყავართ. მათ შორის იგი, პურდაშვილის ერთერთი წერილი მისდამი:

„ჭირფასო ძმაო მელიტონ ბესარიონი! დღეს ჩამოვედი ტფილისიდან, სადაც ვინახულე ჩვენი სასიკალო მამული-შვილი, ქართული თეატრის ამაღარი აკაცო ფაღვა. იგი ნამეტნავად დარჩა კმეოფილი, როცა თქვენი წერილი გადავეცი და გადაიკიბა, რომითაც თქვენ ატყობინებდით, რომ თქვენი შექნილი სტუდიის ლობილითებიდან თუ მოგება მოხვდებოდა რომელიმეს, ეს მოგება მოხმარებოდა ქართულ დრამატულ სტუდიას — ამ კარგ წამოწყებას.

ბატონმა აკაციმ სიხარულით წამოიბახა. ნეტავი მრავალდ გვევადენს მელიტონის მსგავსი პატრიოტი ქართველი მამული-შვილებიო. დავპირდა, რომ თუ კი მოგება შეხვდებოდა თქვენს ლობილითს, ამას გამოიყენებოდა პრესაში.

ძმაო მელიტონ! ამ კვირას შევიკრიბებთ დღის 12 საათზე ჩემთან და მოვისაუბროთ თუ 1922-23 სათეატრო სეზონში დასის რეჟისორად ვინ მივიწვევით. ლაპარაკია იუზას შესახებ, თუმცა სკობია, იუზას აზრი ვიცოდეთ. მე ვგონივო, რომ კვირას ქველმოქმედების იყვით და თავის დროზე თქვენებური პუნქტუალობით მობრძანდეთ თაბორზე.

პატივისცემით თქვენი ვაჟო პურდაშვილი, 12/VIII-1922 წელი.

ამავე წერილს ასლავს შემდეგი მიწერილი:

სულ მაეწედებოდა, მოვკითხა ჩვენმა დიდმა პურდამ ვასო, რომელიც ძალიან ავადმყოფონ. აიბრებს წყალტუბოში ჩამოსვლას, უნდა შევიკრიბოთ დახმარებისათვის სახსრები. მე თქვენი დახმარების დღი იმედს მაქვს.

თქვენი ვაჟო.
საკმარისია ითქვას, რომ მარტო მ. აბდლაძემ 1922 წელს თეატრს

უსასყიდლოდ გადასცა ათი თაისი მანეთის ღირებულების თეატრალური ნივთები და მორთულობა.

მუზეუმის საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში ფართოდაა წარმოდგენილი შ. დადიანის, მ. ქორელის, ნ. გომიძეშვილის, კ. მარჯანიშვილის, ა. ჩხარტიშვილის, გ. სულიაშვილის, ე. ყუბიტაშვილის, დ. ანთაძის, გ. ლორთქიფანიძის, აკ. ვასაძის ხელმძღვანელობის პერიოდში დადგმული სპექტაკლების აფიშები, ფოტოილუსტრაციები, მაკეტები, სივრცეები და სხვა ძვირფასი მასალა.

ამავე განყოფილებაში ნათლად ჩანს ქუთაისის თეატრის კოლექტივის წვლილი დიდ სამამულო ომში. აქვეა ფოტოსტენდი — „თეატრის მუშაკები სამამულო ომის მონაწილენი. 1941-1945 წ.“, რომელზედაც მოთავსებულია სამამულო ომში დაღუპული მახინობების აკაცი მამრიკაშვილის, აკაცი ოქრუაძის, აკაცი აფხაიძის, ალექსანდრე ვაშაყიძის, მიხეილ ბინიაურისვილის, გიორგი ნაფეტვარიძის, გიორგი ჯიბრუტსა და ივანე ნინიაშვილის პორტრეტები.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები სათანადო ყურადღებას მიაქცივენ სათეატრო მუზეუმის მუშაობის შემდგომ გაფართოებას და ქალაქის ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით იგი გახდება მნიშვნელოვანი თეატრალური ცენტრი.

ქვემოთხსენილით არსებული
გაყვანილობის სტუდიის
ლატარის გილდია №20846
 ფასი ათასი თუმანი (10.000 ლ.)

1 მოგება	25.000.000 ზან.
2 მოგება	10.000.000 "
3 მოგება	5.000.000 "
15 "	1.000.000 "
21 მოგება სულ	75.000.000 ზან.

პასუხისმგებელი გამეფ. ლატარისა სტუდიის ხელმძღვანელი: **საქართველო**
 ნებართვა № 3789 ივ. 2 გვ.

მეცნიერი და საზოგადო მომხსენი

ლადო გეგეჭკორი



გიორგი ჩხიკვაძე

გამორჩენილი ქართველი მეცნიერი, თეორიული მუსიკალური აზროვნების თვალსაჩინო მოღვაწე გრიგოლ ჩხიკვაძე დიდი მუსიკალური ტრადიციების ოჯახში აღიზარდა. მამამისი ზაქარია ჩხიკვაძე ეროვნული მუსიკალური კულტურის მოამბე და მისი ღრმა მცოდნე იყო. გრ. ჩხიკვაძე 1900 წლის 27 აპრილს დაიბადა თბილისში, 18 წლისამ წარმატებით დაამთავრა ქართული გიმნაზია, 1927 წელს კი თბილისის კონსერვატორია. შემდეგ იგი მივლინებულ იქნა ლენინგრადის კონსერვატორიაში, რომელიც 1932 წელს დაამთავრა თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის განხრით. 1935 წელს კი მან დაასრულა ასპირანტურა (ფოლკლორისტიკის ხაზით) საკავშირო მეცნიერებათა

აკადემიის ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

მაგრამ გრ. ჩხიკვაძის მოღვაწეობა გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ 20-იან წლებში იგი მუშაობდა თბილისის საშუალო სკოლებში სიმღერის მასწავლებლად და გუნდების ხელმძღვანელად, მუსიკალურ სასწავლებელში კი თეორიულ საგნებს ასწავლიდა. გარდა ამისა გრ. ჩხიკვაძე გახლდათ საზოგადოება „შეგარდენის“ გუნდის ლოტბარი, ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების მიერ დაარსებული ქართული სიმფონიური ორკესტრის წევრი (უკრავდა ჯერ ვიოლინოზე, შემდეგ ალტზე); ერთ დროს იყო თბილისის II

მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი და სხვა.

იგი თვალსაჩინოდ უთავსებდა სწავლასა და მუშაობას, რაც ლენინგრადში ყოფნის პერიოდშიც გაგრძელდა. ერთ ხანს მუსიკალურ გამფორმებლად იმუშავა ლენინგრადის რადიოკომიტეტსა და სხვადასხვა კლუბებში, ეთნოგრაფიულ საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულ ქართულ გუნდს ხელმძღვანელობდა, მუშათა ანსამბლსაც ლოტბარობდა, რომელმაც 1932 წელს საბჭოთა კავშირი გასტროლებით შემოიარა.

შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო საქართველოს სსრ რადიომეცნიერების მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაში, სადაც განაგრძობდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის განაწყო-

ლებას. 1935-1939 წლებში თბილისის კონსერვატორიის პროექტორი იყო, 1939-1948 წლამდე საკრთველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პასუხისმგებელი მდიანი გახლდათ. თითქმის ამავე პერიოდში ხალხური შემოქმედების ფოლოლპორატიორიასა და საექსპედიციო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მის მიერ მრავალი ქართული ხალხური სიმღერა იქნა ჩაწერილი და გამოფურული. 1941-45 წლებში თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი იყო; ხოლო 1946 წლიდან დღემდე თბილისის კონსერვატორიის პროფესორი და მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტის ხელმძღვანელია. პარალელურად 1953-60 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის განყოფილების ფოლკლორის სექციას განაგებდა.

ასევე მრავალმხრივია გრ. ჩხიკვაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. ცხრამეტი წლისა იყო, როცა ორეკსტრისა და კუორდისათვის შექმნა „შევარდენთა ბონი“ და რვა საორკესტრო პიესა თავისუფალი სპორტული გარჯიშისათვის. ეს ნაწარმოები ავტორისავე დირიჟორობით შესრულდა შევარდენთა სადამოუხე თბილისის ოპერის შენობაში 1920 წელს. მომდევნო წლებში მან შექმნა საბავშვო ოპერები „შემოდგომა“ და „კახაბერი“, რომელნიც დაიდა მისივე ხელმძღვანელობით სკოლა-საერებულში. საკუთარი ლიბრეტოს მიხედვით, ია ვკალაძის მოთხრობის საფუძველზე, გრ. ჩხიკვაძემ დაწერა თხზომქმედებიანი საბავშვო ოპერა „ცელქი გოგია“, ხოლო ორმოქმედებიანი ოპერა „ოთვინის კაცი“ 1924 წლის 24 მარტს სკოლა-საერებულის მოსწავლეთა მონაწილეობით და ავტორის ლტბარობით (რეჟისორი ნინო ხუნდაძე), რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში დაიდა. გრ. ჩხიკვაძე მრავალი რომანის, საკუნდო და კამერული მუსიკის ნაწარმოებთა და საბავშვო სიმღერების ავტორია; მანვე დაამუშავა მრავალი ხალხური სიმღერა.

ახლა კი თვალში შევავლით მის სამეცნიერო მოღვაწეობას. ოცი წლისა იყო, როცა „მუსიკის ელემენტარული თეორიის“ კურსი შეადგინა. ეს სახელმძღვანელო კონსერვატორიის სტუდენტებისათვის იყო გამიზნული და სამჯერ გამოიცა. მანვე შეადგინა საქართველოს კომპოზიტორთა ბიოგრაფიების კრებული. ისიც სამჯერ გამოიცა, მესამე გამოცემა 1956 წლითა დათარიღებულია. გრ. ჩხიკვაძის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ქართული მუსიკალური კულტურა უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“. რომელიც საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას; დისერტაცია ბრწყინვალედ დაიცვა 1945 წელს მოსკოვის კონსერვატორიაში.

ამის შემდეგ გრ. ჩხიკვაძე შედიხედ აქვეყნებს სამეცნიერო შრომებს: „ზ. ფალიაშვილი და ხალხურობის პრობლემა“, „ქართველი ხალხის უძველესი მუსიკალური კულტურა“, „ქართული ხალხური სიმღერა“, „ჩემი მუსიკის ი. რატლი“ (ქართულ, რუსულ და ჩეხურ ენებზე — უკანასკნელი გამოიცა პრადში), „აკაკი წერეთელი ქართულ მუსიკაში“, „ვეფხისტყაოსანი ქართულ ხალხურ სიმღერებში“, „დ. არაყიშვილი ქართული მუსიკის მკვლევარი“, „ივ. ჯავახიშვილი ქართული მუსიკალური კულტურის მკვლევარი“, „ლენინი და ხალხური მუსიკა“, „თანადროვნე ქართული მუსიკალური ფოლკლორი“, „პატრიოტიზმის თემა ქართულ ხალხურ სიმღერებში“, „1905-1907 წლების რევოლუცია და ქართული ხალხური სიმღერა“, „ქართული ხალხური სამუსიკო საკრავები“ (იბეჭდეს ბერლინი), „ისტორიამდელი ხანის ქართული ძეგლის სადამირი“ (1963 წელს წაკითხულ იქნა ეთნოგრაფების კონგრესზე უნგრეთში, დაიბეჭდა უნგრულ ენაზე მუდამეჭმში), „ქართული ხალხური მრავალმხანობის ძირითადი სახეობანი“ (წაკითხულია 1964 წელს მოსკოვში ანთროპოლოგებისა და ეთნოგრაფების VIII საერთაშორისო კონგრესზე), „ქართული აკენის ნაწები“ (დაიბეჭდა ამერიკაში „მსოფლიო ქვეყნების ნაწები“ კრებულში), „ლადო აღნაშვილი“ და სხვა.

მანვე შეადგინა „ქართული ხალხური სიმღერების“ სამტომეული, პირველი ტომი გამოცა მოსკოვში 1960 წელს, უფრო ადრე კი — 1956 წ. რუსული ენაზე გამოქვეყნდა კრებული «Грузинские народные песни».

როგორია გრ. ჩხიკვაძის მოღვაწეობა ხალხური სიმღერების ჩაწერა-შეკრების საქმეში? პირველი ჩანაწერები ჭაბუკობისას უწარმოებია, კახეთის სოფლებში; მამინ ზაქარია ჩხიკვაძე თელავსა და მის ახლო მდებარე სოფლებში მოღვაწეობდა და მისი ვაჟი გრიგოლიც იქვე იწერდა გლეხების მიერ ღღინთი წარმოთქმულ სიმღერებს. 1933 წლიდან 1945 წლის სიმღერებიც ეწევა სიმღერების შეკრებას, ხელმძღვანელობს ექსპედიციებს საქართველოს ყველა კუთხეში — აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შიასა თუ ბარში. თბილისში ჩაუწერია ქართული, ასირიული და ებრაული ხალხური სიმღერები. ჩაწერილი მუსიკალური მასალის (სიმღერებიც და საცალმომღებო) რაოდენობა 1500-ს აღემატება.

პროფ. გრ. ჩხიკვაძემ მთარგმნელობით მუშაობაც ჩაატარა. დავსახელებთ ზოგიერთ მათგანს, თარგმნილი აქვს ნ. რომსკი-კორსაკოვის „ქარმონის სახელმძღვანელო“, ი. ტრულინის „ქარმონის შესავალი“, დ. არაყიშვილის „ხალხური მუსიკის საკრავების აღწერა და გაზომვა“, და სხვა.

როგორი მუშაობა ჩაატარა მან, როგორც რედაქტორმა? აქაც დიდი შრომა აქვს გაწეული. იგი დ. არაყიშვილის მრავალი სამეცნიერო შრომის რედაქტორია. მისი რედაქციით გამოიცა პროფ. პ. ხუტუას წიგნები: „მელიტონ ბალანჩივაძე“, „ანდრია თყარაშვილი“ და თბილისის ოპერის ყარტის რუსულ (რუსულ ენაზე), ლადო გეგეჭკორის „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ (პირველი წიგნი), კომპოზიტორ ბორის გალავის რუსულ ენაზე დაწერილი წიგნი სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და სახელმწიფო ანსამბლის შესახებ, თამარ კუცია-ლვალაძის „ქართული მუსიკალური ნაწარმოების ბიბლიოგრაფია“, ლ. ზამბაჩიძის „ხაქ. ფალიაშვილის შემოქმედების ბიბ-

ლიორგაფია“ ა. ცამციშვილის წიგნი „ხელოვნების ქართული მოღვაწეები უცხოეთში“. გარდა ამისა, „ოთხი საბავშვო სიმღერის კრებული“, და არაყიშვილის მიერ დამუშავებული „ხალხური სიმღერების კრებული“, „საფორტეპიანო პიესების კრებული“, ნ. შარაბიძის „საბავშვო სიმღერები“, ა. გამარჯვების სიმღერები, „ასალგაზრდობის სიმღერები“ და ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების მრავალი სიმღერა, რომანსი და გუნდი.

როგორია გრ. ჩხიკავას საზოგადოებრივი მოღვაწეობა? იგი თქვენს მეტი სხვადასხვა საზოგადოებისა თუ სარევიზო კომისიის წევრია, ადვინიშნავთ ზოგიერთ მათგანს — საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის სარევიზო კომისია, მუსონონდის გამომცემლობის სარედაქციო კოლეგია, ხელოვნების ინსტიტუტის, ინტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოები, თეატრალური მუსეუმის სამხატვრო საბჭო, ხალხური შემოქმედების შემსწავლელი საპრობლემო-საკოორდინაციო საბჭო, პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმი, საქართველოს საუნდო-ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობა, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობა და სხვა. გარდა ამისა იგი კულტურის უნივერსიტეტის ლექტორი და სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციის მუსიკალური კონსულტანტია. პროფ. გრ. ჩხიკავაძემ კულტურის სამინისტროს დაავალბით სათანადო ცვლილებები შეიტანა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის მუშაობაში. წლების მანძილზე საქართველოს რადისთან არსებული ხალხური სიმღერის გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო (ლოტბარი ვასო მახარაძე), ეს გუნდი მივიწყებულ უძველეს სიმღერებს აღადგენდა და პროპაგანდას უწევდა.

ასევე ნაყოფიერია გრ. ჩხიკავას პედაგოგიური მოღვაწეობა. მას აღზრდილი მყავს ქართველ ფოლკლორისტთა თაობები, დღეს მისი მოწაფეები მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის

სხვადასხვა მუსიკალურ თუ კლევით ორგანიზაციებში.

სისტემატურად იბეჭდება გრ. ჩხიკავასის წერილები პრესაში. იგი თანამშრომლობს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალურ რედაქციებთან, აქტიურად ეხმარება ეროვნული მუსიკალური კულტურის სპირიტუორტო საკითხებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე გრ. ჩხიკავაძემ შეადგინა „ქართული მუსიკის ისტორია“ (დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდე), რომლის პირველი წიგნი გადასცა გამომცემლობა „ხელოვნებას“, ამჟამად გამოცემად ამზადებს მეორე წიგნსაც. მუშაობს ქართული მუსიკალური ფორკლორის სახელმძღვანელოზე; ამზადებს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვი-

ლის შრომის „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების“ მეორე გამოცემის შესავალი წერილით, კომენტარებითა და საძიებლით.

გრ. ჩხიკავაძე მოძმე რესპუბლიკათა მუსიკალური კულტურის მცოდნეა. ამას წინათ იგი ერევანში მოხსენებით გამოვიდა ცნობილი სომეხი კომპოზიტორის კომიტასის შემოქმედების შესახებ.

კვლავაც დაულაღვი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით არის აღსავსე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გრ. ჩხიკავასის ცხოვრება. ეჭმუტანელა — ქართული მუსიკალური კულტურის მოამავე კიდევ მრავალი აღმოჩენით გაამდიდრებს ეროვნულ მუსიკისმცოდნეობას.

საპარტეზლოს სსრ და საპარტეზლოს კომპარტიის
50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცხენიდას



ს. ცინცაძე.
ქევერის ვაღაჯანა



როსტომის ბრძოლა სირიის (შამის) მეფესთან.

ს ი ა უ შ ი ს

უცხოი ნაუუუჟარი

„შაჰ-ნამახ“ ერთი ეპიკოლინ ილუსტრაცია

გურამ შარაძე

ჩემ კიდევ ოცდაათი წლის წინ გა-
იორენილმა ქართველმა ირანისტმა
ვლ. ფუთურიძემ სეფიანთა ეპოქის
ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის
(1560-1634 წ. წ.) სახელგანთ-
ქმულ თხზულებაში — „თარიხ-ე
ალამ- არა-ჲე აბასი“ („ქვეყნის და-
მამუშიდებელი აბასის ისტორია“)
ყურადღება მიაქცია ცნობას სეფიან
შაჰების, სახელდობრ, შაჰ-თამაზ I
(1524-1576), შაჰ-ისმაილ II (1576-
1578), შაჰ-მოჰამედ-ხოდაბენდეს
(1578-1587) და შაჰ-აბას I (1587-
1628) დროის კარის მხატვრის სია-
უმ-ბეგ ქართველის (დაახლოებით
1524-1628 წ.წ.) შესახებ. ისქანდერ-
მუნშის დახასიათებით, სიაუმ ქართ-
ველს „„ფრიად ნაზი ყალამი ჰქონდა,
დეტალებს ღიდი ოსტატი და შეუ-

დარებელი მხატვარი იყო. კონტრულ
ხატვაში, მთების გამოაახესა და
თმის დახატვაში მას ვერც ერთი ოს-
ტატი ვერ შეედრებოდა. ჯგუფური
კომპოზიციების („მეჯლისი“) ხატ-
ვაში იგი უნაკლო იყო.“¹

მაგრამ ისტორიკოსის ამ დახასია-
თების დასადასტურებლად არ ჩანდა
თვით მხატვრის ნამუშევრები. მალე
ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში

¹ ვლ. ფუთურიძე, ისქანდერ მუნ-
შის ცნობა მხატვრის სიაუმ-ბეგ ქართვე-
ლის შესახებ, „ენიშკის მოამბე“, III,
1938, გვ. 383-86; იხ. აგრეთვე: ისქანდერ
მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ,
სპარსული ტექსტი ქართულ თარგმანი-
თა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ
ფუთურიძემ, თბ., 1963, გვ. 27.

გამოვლინდა სიაუმის მინიატურა
„გაწურთილი შვეარდენი“, რომელ-
საც ამშვენებს მხატვრის ხელრთვა:
„ქარე სიაუმ“ („სიაუმის ხელობა“)².
მიუხედავად იმისა, რომ სანადირო
შვეარდენი სპარსეთში მოშუშავე ქარ-
თველ მხატვარს მართლაც უნაკლოდ
აქვს შესრულებული, ის მაინც არ გა-
მოღებვა ისქანდერ მუნშის ზემომო-
ტიანილი დახასიათების შესამოწმებ-
ლად: ისტორიკოსი სიაუმს ხომ პირ-
ველ რიგში, პეიზაჟისა და ჯგუფური
კომპოზიციის შეუდარებელ ოსტატად
მიიჩნევს, მაგრამ სათანადო საილუს-

² ი. ჩავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი,
ს. ჭანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ.,
1943, გვ. 288.

ტრაციო მასალა კი დღემდე თითქმის არ გავგაჩნდა.³

ბუღალტრის არქეოლოგიურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას (1970 წლის ივლისში) ჩემი ყურადღება მიიპყრო ლონდონის ილუსტრირებულ ჟურნალში გამოქვეყნებულმა Andrew Causey-ს სტატიამ: „მითი და რეალობა სპარსულ ხელოვნებაში“,⁴ რომელიც ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში სპარსული მინიატურების (XV-XIX ს. ს.) გამოფენას ეძღვნება.

ეს ექსპოზიცია შედგენილი ყოფილა ბრიტანეთისა და ირლანდიის სახელმწიფო და კერძო კოლექციებისაგან. წერილს რამდენიმე ექსპონატის რეპროდუქციაც ახლავს. მათ შორის, სიაუსის „როსტომი ქამანდით იჭერს ქამუსს“. წერილის ავტორის სიტყვებით, „1548 წელს სპარსელის ღვინაქალაქი თავრიზიდან გადაიტანეს სამხრეთით, ყაზვინში, რადგან აღრიხდელი დედაქალაქი ახლის იყო თურქეთის საზღვართან. „როსტომი ქამანდით იჭერს ქამუსს“ დასატულია იქვე. ტყუობა, ისმიალი მგორისათვის, რომლის ხანმოკლე მეფობა საშუალებას გაძლევს მინიატურა დათავაირილით 1576 ან 1577 წლებით. მხატვარი იყო ქართველი, სიაუსი“.

როგორც გვხვდება, ბრიტანეთში დაცული ყოფილა სიაუსის მინიატურა, რომელიც უნებოდ იყო ჩვენს საზოგადოებისათვის.

თბილისში დაბრუნებისას ჩვენი ცნობილი ირანისტის — მ. თოდუას დახმარებით შევინწყველეთ აღნიშნუ-

ლი მინიატურის სპარსული ტექსტი, რამაც საშუალება მოგვცა შევემოწმებინა ინგლისელი ავტორის ზემომოყვანილი ზოგიერთი ცნობაც.

მართალია, მინიატურა წარმოადგენს „შაჰ-ნამეს“ და კერძოდ, მისი ერთი ეპიზოდის ილუსტრაციას, მაგრამ საინტერესოა, სახელდობრ, რა ეპიზოდია ეს?

A. Causey-ის მტკიცებით, აქ გამოსახულია როსტომის მიერ ქამუსის ქამანდით დაჭერის სცენა. მართლაც, „შაჰ-ნამე“ იცნობს ასეთ ეპიზოდს, მაგრამ მინიატურის წარწერების ამოკითხვით გამოირკვა, რომ მინიატურაზე გამოსახულია როსტომის ბრძოლა არა ქამუსთან, არამედ სირიის (შამის) მეფესთან. წარწერების ტექსტი ასე იკითხება (კავკავებზე ტექსტის ქართულ ტრანსლიტერაციასა და თარგმანს, რომელიც შესრულებულია პროფ. მ. თოდუას მიერ):

ჰამი თახთ ანღარ ფედე შაჰ-ე შამ
ბუჰანღახთ აზ ბალ ხამ დიდე ხამ
ჩენანეუ დარ ჰალეუ დარ აჯარ ჯორღ
ქე გოჭოი ხამ ანღარ შიამანეუ ქოშორღ
ზე ზინ ბარ გერათეუ ბექერდარ-ე გუშ
ქე ჩოლეგან ბუზახმ ანღარ აშღ ბა რუშ
ბუაღქენღ ო ბაჰრამ დასთეუ შაბასთ
გერაქთარ შოღ ნამბარდარ შასთ
ზე ხუნ ხაქ დარმა შოღ ო დაშთ ქუშ
ზე ბას ქოშოე აქქანდე აზ პარ გორღ
შაჰ-ე ბერბერესთან ბა ჩანეუ გორაზ
გერეღთარ შოღ ბა ჩეპელ სარქარაზ

მავეჟდა სირიის მეფეს,
პარისაგან (ტენიდან, ცხენდაცხენ)
დაწვეული ქამანდი ესროლა.
ის მოქცია ის ყულუში გვირბა,
რომ იტოვდი, წელზე ხეია შემოვახიო.
უღვარდიან ატყავა ის ბურთით,
თითქოს ჩოგანი ჰყარაო.
ჩამოავდო. ბაჰრამმა ხელი შეუტრა მას;

დატყავებულ იქნა სამოცი
სახელდავანი.
სისხლისაგან მიწა ზღვად იქცა და
ველი — მთავ,
იმდენი მკვდარი ეყარა [იქ] გროვ-
გროვად.
ბერბერთა მეფე(ე) ტახის (მსგავსი
გვირის) ხელით
დატყავებულ იქნა ორმოც გვირთან
ერთად.⁵

საკითხავია, სიაუსი მართლა „შაჰ-ნამეს“ ერთადერთი ეპიზოდის დასურათებით დაგმყოფილდა თუ კიდევ ჰქონდა ამ რიგის სხვა ტექსტაციები? ამ კითხვას მხოლოდ დადებითად შეიძლება ვუპასუხოთ: წარმოდგენილია, რომ ისეთი ზღვა მასალიდან, რასაც უთუოდ იძლევა ფირღუსის უკვდავი პოემა, მხატვარს მხოლოდ ერთი, და ისიც შედარებით უმნიშვნელო, ეპიზოდი აეღო. მით უმეტეს, თუ იგი შაჰისთვის (A. Causey-ის ცნობებით) ისმიალი მგორისთვის იყო განთავსებული.⁶ სიაუსს უნდა ჰქონოდა „შაჰ-ნამეს“ სხვა ილუსტრაციებიც, რომლებიც ან საერთოდ დაკარგულია, ან შესაძლოა ბრიტანეთში თუ სხვაგან იყოს გაფანტული, ოღონდ მათ შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით.

⁵ შტრ.: თვირანის გამოცემა, ტ. II, გვ. 400, ბათობები: 320-325. მოსკოვის გამოცემა, ტ. II, გვ. 144-145, ბათობები: 272-277. ლუშანის გამოცემა, ტ. II, გვ. 147. ბათობები: 320-325.

⁶ თუმცა, საიდან აიღო ეს მითითება ინგლისელმა ავტორმა, ჩვენთვის უცნობია. თვითონ მინიატურის ქვედა მარჯვენა კუთხეში, ჩარხთან, შეიმჩნევა წარწერის მსგავსი ნიშანი, რომელიც მოგვაგონებს ლენინგრადელი მინიატურის სიაუსისეულ ხელრთვის — „სიაუსის ხელვა“. ამას უფრო უსტატად მხოლოდ დედანი თუ ვაერყვეს.

³ არსებობს ცნობა, რომ პარიზში დაცულია სიაუსის ზოგიერთი ნამუშევარი, რომლებსაც ჩვენ არ ვიცნობთ.

⁴ Causey Andrew, Myth and reality in Persian Art, The Illustrated London News, 1967, jul. p. 22, 30.

საქართველოს
სსრ ღა
საქართველოს
კომპარტიის 50
წლისთავისადმი
მიძღვნილი
გამოფენიდან



გ. თოთიბაძე.
ჭანუი გურიაში.

მობონება ბიორგი ლეონიძე

ალექსი უსტაშვილი

სმ მოვლენას და გარდატეხათა ფონზე, რომელთა მას-
შტაბი არახული ტემპით ვითარდებოდა ჩვენს ქვეყანაში,
გზორგი ლეონიძე გოლიათურ ფიგურად მოჩანდა. იგი ახალ
ცხოვრებას უმღეროდა თავისებურად, ეპიკური სიღარბის-
ლითა და კაცურკაცობით. ამიტომ იყო, რომ სახალხო პო-
ეტის სახელი მოიხვეჭა და დიდ ქართულ მიღვაწეთა შო-
რის მთაწმინდაზე სამუდამოდ დაიმკვიდრა ბიხა.

ჩვენი სინამდვილის წინმსწავლობით სრბოლანი მზის
გ უ რ გ ე ნ ი. არა, ბოდიში, ლექციაზე მეგონა თავი. კი არ წავიკითხავთ, ისე მოგიყვებით, ზეპირად. ეს ასე მოხდა: მე რომ მოსკოვში ვიყავი პრიკამანდირებულო, სადოქტორო დისერტაცია უკვე წარვადგინე აპრობაციაზე და პირდაპირ გასავეყებლად მოიწონეს. ისე ერთხმად მიიღეს, რომ კამათიც კი არ ყოფილა. შემდეგ მე მოსკოვიდან ტუ-104-ით გადმოფრინდი საქართველოში და აჰ ჩემს სოფელში მგელი არ შემომხვდა?!

ნ ი ნ ო. საოცარია, საიდან სადაო! ალბათ, ის მგელი თქვენს დისერტაციაზე თუ იყო შემომწყვარი.

გ უ რ გ ე ნ ი. პა, პა, პა, პა, მგელს ვინ აკითხავს, იმდენმა პროფესორმა და აკადემიკოსმა მოიწონა.

ნ ი ნ ო. ერთი სიტყვით, საქმე იდეალურად გქონიათ აწყობილი.

გ უ რ გ ე ნ ი. იდეალურად!.. ეს მსოფლმხედველობის საკითხია. და მე ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე მივხვდი, რომ მატერიალისმი სჯობია იდეალისმს.

ნ ი ნ ო. მაშ, ვუნდერკინდი ბრძანებულხართ.

გ უ რ გ ე ნ ი. ვინ?

ნ ი ნ ო. ვუნდერკინდი, საოცარი ბავშვი.

გ უ რ გ ე ნ ი. პოთ... კი, დაახლოებით ასე... ხოლო თქვენ...
ნ ი ნ ო. მე, რა?!

(უხერხული პაუზა).

გ უ რ გ ე ნ ი. თქვენ... აქაურობა ძალიან მოგწონთ?
ნ ი ნ ო. ძალიან.

გ უ რ გ ე ნ ი. თანაც, თუ გალევებთ?
ნ ი ნ ო. მალევეებს, ძალიანაც მალევეებს.

გ უ რ გ ე ნ ი. კარგია, კარგი. ქალებს მღელვარება უყვართ. ასე არ არის?

ნ ი ნ ო. დიახ, ასეა.
(უხერხული პაუზა).

გ უ რ გ ე ნ ი. ასეთ ადგილზე ალბათ კლიოც გეწვიათ.
ნ ი ნ ო. კლიო?

გ უ რ გ ე ნ ი. ჰო, კლიო. ეს არის ისტორიის მუზა.
ნ ი ნ ო. რასა ბრძანებთ!
(უხერხული პაუზა).

გ უ რ გ ე ნ ი. ხომ მოგწონთ ის?
ნ ი ნ ო. რა?

გ უ რ გ ე ნ ი. არა, რას ხედავთ პირდაპირ, რაიონის შემოსასვლელთან?

ნ ი ნ ო. გალაკტიონის ძეგლს.

გ უ რ გ ე ნ ი. ხომ დიდებულა?
ნ ი ნ ო. შესანიშნავი.

(უხერხული პაუზა).

გ უ რ გ ე ნ ი. იცით, გალაკტიონი აქედან იყო, ჩვენი რაიონიდან.

ნ ი ნ ო. ვიცი.

გ უ რ გ ე ნ ი. მე როგორც კი შემხვებოდა, მაშინვე მხარზე ხელს მომხვევდა, ან ხუჭუჭ თიმბზე ხელს გადაიხსამდა და მეტყვოდა: როგორ ხარ, ჩემო გენიალურო სამივიო...!

ნ ი ნ ო. ფრიად სასიამოვნოა.
(უხერხული პაუზა).

გ უ რ გ ე ნ ი. იცით, კიდევ რას მეტყვოდა ხოლმე ცხონებულის დიდი მეოსანი?

ნ ი ნ ო. რას?

გ უ რ გ ე ნ ი. იცოვო, შენ დიდი მომავალი გაქვსო და აუცილებლად კარგი ქალი შეირთე ცოლადო.

ნ ი ნ ო. მართლა?

გ უ რ გ ე ნ ი. გეყვივებით!

ნ ი ნ ო. ალბათ, აქამდე ბლომდაც გექნებოდათ ვარიანტები.

გ უ რ გ ე ნ ი. ძალიან ბევრი. ვინ მოსთვლის... მაგალითად, მოსკოვში ქალი მეძლეოდა, თექვსმეტოთახიანი მალაქტეირიანი ბინა აქონდა და თექვსმეტევე ოთახში რთილი ედგა.

ნ ი ნ ო. რასა ბრძანებთ?

გ უ რ გ ე ნ ი. ამა!

ნ ი ნ ო. უყვართით?

გ უ რ გ ე ნ ი. გატყეებით.

ნ ი ნ ო. და მაინც უარი უთხარიო?

გ უ რ გ ე ნ ი. დიახ.

ნ ი ნ ო. დიდი უდურთო ბრძანებულხართ.

გ უ რ გ ე ნ ი. კი, ათუსტი ვარ!

ნ ი ნ ო. ესეც დიდებულნი რამ არის!
(უხერხული პაუზა).

გ უ რ გ ე ნ ი. პატივცემულო ნინო!

ნ ი ნ ო. დიახ.

გ უ რ გ ე ნ ი. თქვენ თუ გწვევიათ ის?
ნ ი ნ ო. ვინ?

გ უ რ გ ე ნ ი. ერთსი.

ნ ი ნ ო. ერთსი?

გ უ რ გ ე ნ ი. ჰო, სიყვარულის ღმერთი.

ნ ი ნ ო. მე ვერ გიპასუხებთ.

გ უ რ გ ე ნ ი. მაშ, ვინ მიბასუხებს თქვენს მაგივრად?
 ნ ი ნ თ. ჩემი ქმარი.
 გ უ რ გ ე ნ ი. ქმარი?
 ნ ი ნ თ. დიახ.
 გ უ რ გ ე ნ ი. არა, არ დავიჯერებ... ტყუილი იქნება!
 ნ ი ნ თ. ნეტავ და, მართლა...
 (უცებ გაისმა გურის ხმა).
 გ უ რ ი. ვიპოვეე!.. ვიპოვეე! ვიპოვეეე!!
 ნ ი ნ თ. მაშ, ნაპოვნი ლომი № 4.
 (შემოდის გური; ხელში თავის ქალა უჭირავს. თან მოსდევს დანარჩენები).

გ უ რ ი. ნეტავ ათასი ლომი შემხვედროდა და ეს არ მენა-
 ხს!

ყ ვ ე ლ ა. რა?!
 გ უ რ ი. ადამიანის თავის ქალა!
 ყ ვ ე ლ ა. ადამიანის თავის ქალა?!
 გ უ რ ი. ამას რომ შევხედ და ამან რომ მე შემომხედა, ეს
 რომ ჩემისთანა კაცი იყო და მეც ამისთანა უნდა შე-
 ვიქნე, ყველაფერი რომ წარმოვიდგინე, დამანგრია
 ცხოვრებამ, რა!

ა ბ ე ს ა ლ თ. უყურე შენ, ესა ვართ კაცო ჩვენ?!
 ნ ი ნ თ. სად იპოვე?
 გ უ რ ი. ქეზბით მოპირკეთებულ პატარა ქვაბულში ესვენა.
 ნ ი ლ ა რ ი. რატომ ამოიღე, ხომ იცოდი, რომ ჯერ რუკაზე
 უნდა გადაგვეტანა!

გ უ რ ი. შე მამაცხოვრებულო, კაცი ორიათას წელზე მეტი
 მიწაში წვეს და პურ-ღვინის მაგივრად ახლავე რუკა
 გინდა მიაგებო?

ა ბ ე ს ა ლ თ. ნუ სცოდავ და ნუ დასცინი, გური!
 გ უ რ ი. ღმერთს დამიფაროს! დავცინი კი არა, სამადლო
 საქმე ვეჭვი მგონია; მე რომ ორიათასი წლის შემდეგ
 ვინმემ მიწოდან ამომიღოს და ამ დიდებულ მძეს შე-
 ვიხედოს, გავცოცხლდები ნამდვილად.

გ უ რ გ ე ნ ი. ესეც წმინდა წყლის იდეალიზმია.
 გ უ რ ი. როცა ღმერთი ზეციდან ჭკუა-გონებას არიგებდა,
 ზოგიერთები „ზონტიკის“ ქვეშ იდგნენ.

გ უ რ გ ე ნ ი. კიდევ უარესი იდეალიზმი.
 გ უ რ ი. რა უნდა გითხრა, ოქროია, დაბერდები და არ და-
 კაცდები.

გ უ რ გ ე ნ ი. ბოდიში მოხიბდე!
 გ უ რ ი. მერე, ჩემი ბოდიში რაიმეს გიშველის?
 გ ი ო რ გ ი. გური, თავი შეიკავე თუნდაც იმ კაცის პატი-
 ვისკებით, ვისაც ორიათასი წლის წინ უცხოვრია ამ
 ჩვენს მიწაზე.

გ უ რ ი. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!
 გ ი ო რ გ ი. რა საშინელება! დასავლეთში არის ვინმე
 მიულერი, მკვლელი, მოზანთობი, რომელსაც ეძა-
 ხიან „აკეთა, რომელიც ციხისა“, და მისი სიცილის
 თიანა კაცთა კვლა, სადისტორი წამება. მას უწოდებ-
 ბენ მიულერ-კონგოს, რადგან ტორგონში ასობით აღა-
 მისანი საკუთარი ხელით გამოასალმა წუთისოფელს და
 იცით, რამ გამახსენა ეს გარეწარი? იგი თავის ნაც-
 ნობ-შეგობრებს უძერძოვასეს სუვეირიად უგზავნის
 ადამიანის თავის ქალას!

გ უ რ გ ე ნ ი. რას არ სჩადის ამერიკული იმპერიალიზმი!
 გ ი ო რ გ ი. არა, მიულერი გერმანელია.
 გ უ რ ი. პირდაპირ ვერ მოვაშლევინეთ გერმანიას ფაშის-
 ტობა!

გ უ რ გ ე ნ ი. მხოლოდ დასავლეთ გერმანიას, ამხანაგო.
 გ უ რ ი. „ფრაკ“-ს.

კ ა ხ ა. (თავის ქალა აიღო) საბრალო, იორიკ! მე მახსოვს
 იგი, პორაციო... აი, აქ ქჭონდა ის ტუჩები, რომლის
 თვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ უკოცინათ... სად არის

ახლა შენი მხიარულება, შენი სიმღერა, სიცილი, ტი-
 რილი, ნაპერწკლები შენი სიღოცხლისა, სად არის
 შენი სასვე, მოციხარი ლოყები?..
 ნ ი ნ თ. ნება მომეცით, შეგაწვევტინოთ შექპაბრული
 წიაღსვლა. (თავის ქალას ართმევს და აკვრდება).
 ახალაზრდა მამაკაცის თავია.

ა ბ ე ს ა ლ თ. უყურე შენ!
 გ უ რ ი. აფსუსი, ბიჭო!
 ა ბ ე ს ა ლ თ. ესეც ჩვენებური იყო?
 გ უ რ ი. კი, აქაური, ვანიდგან!
 ა ბ ე ს ა ლ თ. რა ხარ შენ, ღმერთი ხარ თუ ბუნება: მოი-
 ყვან კაცს და არ ეუბნები საიდან მოიყვანე. წაიყვან
 და არც იმას ეუბნები სად მიყავს!

ნ ი ნ თ. გური!
 გ უ რ ი. გისმენ, ოქრო!
 ნ ი ნ თ. მაშ, შენ ამბობ, რომ მხოლოდ თავი იპოვე.
 გ უ რ ი. დიახ, პატრონო.
 ნ ი ნ თ. ჩონჩხი არსად ჩანს?
 გ უ რ ი. არავითარი.
 ნ ი ნ თ. (მცერე ფიჭვის შემდეგ). წარკვეთილი თავია!
 ყ ვ ე ლ ა. წარკვეთილი?!

ნ ი ნ თ. დიახ. და შემდეგ ვიღაცის მზრუნველი ხელით სა-
 განგებო ნიშში დაკრძალული.
 ნ ო ლ ა რ ი. მე მგონია, რაღაც კავშირი აქვს იმ ჩონჩხთან.
 ნ ი ნ თ. რომელს გულისხმობ?
 ნ ო ლ ა რ ი. სწორედ ახლა აღმოაჩინა ჩემმა ჯგუფმა.
 ნ ი ნ თ. აბა, გვაჩვენე!
 ნ ო ლ ა რ ი. წავიდეთ!

(ყველანი მიდიან. გურგენმა გური შეაჩერა).
 გ უ რ გ ე ნ ი. გური!
 გ უ რ ი. პო, ოქრო.

გ უ რ გ ე ნ ი. ცურვის სასწავლებლად მდულარემი გადა-
 მაგდე?
 გ უ რ ი. რაიო?
 გ უ რ გ ე ნ ი. უარი მტკიცა.
 გ უ რ ი. არ გადაშრიო!

გ უ რ გ ე ნ ი. გადარეული კაი ხანია ხარ.
 გ უ რ ი. შენ რომ კაცმა ცეცხლი დაგინთოს და გაგათბოს,
 ბოლოს მაინც იმას იტყვი, ამ ცეცხლს კვამლი ქჭონ-
 დაო.

გ უ რ გ ე ნ ი. ბოლოს და ბოლოს, რა დავაშავე, ყველა რომ
 ათვალწუნებით მიცქერის? ვის შეუძლია მითხრას,
 რომ მე ამ ქვეყანაზე ცუდზე მეტი კარგი არ გამიკე-
 თვია?

გ უ რ ი. შენ ლუკაია მეკუბოვეს იცნობ?
 გ უ რ გ ე ნ ი. რა შუაშია!
 გ უ რ ი. იმ შუაშია, რომ ლუკაია კუბოზე მეტს აკვანს აკე-
 თებს, მაგრამ მაინც მეკუბოვეს ეძახიან და არა მეაკე-
 ნეს.

გ უ რ გ ე ნ ი. ერთი შენც... მე იმ ქალზე გეუბნები და შენ...
 რა კუბო, რა აკვანია!..

გ უ რ ი. შენ მამაკაცო, რა გეშველება უდედაკაცოდ,
 და პოი, შენ დედაკაცო, რა გეშველება პირიქით!

გ უ რ გ ე ნ ი. დაიწყე ახლა!
 გ უ რ ი. რად გინდა, კაცო, მაგნაირი ქალი! ხომ დაინახე,
 რვა ტორტივით აიღო ხელში ის თავის ქალა, რა ცი-
 ვად ზაზუმ-გამოზომა და როცა თქვა „წარკვეთი-
 ლიაო“, კისრის ძარღვებმა სულ ზრიალი დამიწყეს!

გ უ რ გ ე ნ ი. მე კი როგორი კარგი მეგონა! ასეთი მოაზ-
 როვნე მაინც არ იყოს.

გ უ რ ი. არა, მოაზროვნე მაინც სულ სხვაა.

გური. შენ მოსკოვში ნამყოფი კაცი ხარ და ერთი რამე უნდა გითხრო.

გურგენი. მკითხე.

გური. რომელი უარესია—, ოჩენ პოხოხო, ოჩენ სლაბო, თუ ნიკუდა ნე გადიტისა“.

გურგენი. „ნიკუდა ნე გადიტისა“.

გური. ჰოდა, ეგ ქალი არის სწორედ „ნიკუდა ნე გადიტისა“.

გურგენი. რა ვიცი და ვერაფერი გავიგე, ქალებს რა უნდათ ამ ქვეყანაზე!

გური. ეგ არ არის ძნელი დასადგენი, მაგრამ ის კი ვიცით, რა უწამლებს ქალისგან წიხნაწარვე კაცს.

გურგენი. რა უწამლებს?

გური. სხვა ქალი.

გურგენი. სხვა ქალი? რომელი ქალი?

გური. ამოიღე ბლოკნოტი!

გურგენი. ა?!

გური. ამოიღე-მეთქი!

გურგენი. (ამოიღო ბლოკნოტი). აბა, ამოვიღე.

გური. წაშალე ნინო ციხარაძე!

გურგენი. კი, მაგრამ ცოტა არ დავეჭვრდეთ?

გური. კაცმა თავის ფასი უნდა იცოდღე. ეგ არ ყოფილა შენი ღირსი, გადაუსვი ხაზი!

გურგენი. აბა, გადაუსვი! (ფანქარი გაქარა).

გური. მაჩვენე! (ბლოკნოტი ჩამართვა და ჩაბხდა). ჰო, ჰო, ანდნი საცოლე ხუთ „სკამინჯავაჲ“ არ დაეტრეა! ჰოდა, ხუთი „სკამინჯავა“ საცილიდან ერთ ქალს ვეღარ ამოვარჩევთ! (კითხულობს). გულიტვა ძამუკაშვილი, კომკავშირის წალაქომის ინსტრუქტორი, დაბადებული 1950 წელს. რა ნამეტანი ბავშვია, არც მიიღა ასე ვარგა. შენ ეს არ გამოგადგება. (ხაზი გადაუსვა და განავრძობს). თინათინ ელიავა, დაბადებული... მაგრამ, მოიცა, კაცო, თინათინ ელიავა ხომ გათხოვდა!

გურგენი. გათხოვდა?

გური. ორი წლის წინათ.

გურგენი. ესე იგი, ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს.

გური. ჰო, ფოსტით არავინ გამოგიგზავნა და...

გურგენი. წაშალე, წაშალე!

გური. აბა, წაშალე (განავრძობს)... ნათელა ნათაძე, რაიკომის განყოფილების გამგე, დაბადებული 1935 წელს. ეს შემოვინახით. შემდეგ, გულიკო ცნობილია-ქე. დაბადებული 1929 წელს, ინგლისური ენის მასწავლებელი... ა, ოქროია, შენი საცოლე!

გურგენი. გულიკო?

გური. ჰო, უკნო ენის მასწავლებელი; ბავშვებსაც შესწავლის და შენც მიუხიბრული ჭაბუნწყვიტად დროს თუ რაიმე ინგლისური წიგნი ჩაიგებინა ხელში და გადმოწერა დაგვირდა, ეს ქალი იქნება წაშალი. სხვა რაღა გინდა?

გურგენი. (ფიქრის შემდეგ). ტონო ტაქ!

გური. ა, მამო, ხომ ამოირჩიე საცოლე, როგორც ტარიელმა ამოირჩია ფრიდმანის ჯოგში ცხენი. აბა, გაიქცე და ახლავე შეირთე ცოლად!

გურგენი. მივდივარ! (გურგენი გადის).

გური. ის კაცი ცდილობს ყველაზე უმაღლესი იყოს, მაგრამ არა ყველაზე უკეთესი. ცალ-ცალკე თითქოს ყველაფერი კარგი აქვს, მაგრამ ერთად აღებული არაფერად არ ვარგა; ესე იგი, აქედან დასკვნა: უნდა დამაწლო სათადარიგო ნაწილებად და მერე ხელახლა დაამონტაჟო.

(შემოდინ ნინო, კახა, ნოდარი და გიორგი).

ნინო. სამარხებთან საქმე არა გვაქვს.

გიორგი. აბა, ეს ჩონჩხები?

ნინო. ისინი ხომ დამარხვის წესით არ არიან დაფლულნი.

გიორგი. არც ერთი მათგანი?

ნინო. არც ერთი. სამივე დიდი კატასტროფის მსხვერპლია.

გიორგი. ნამდვილად ხაშნი იყვნენ?

ნინო. დიან, ორი კაცი და ერთი ქალი.

გიორგი. ქალი და კაცი სრული აღნაგობით და კიდევ ცალკე კაცი, ოღონდ თავის ქალით.

ნინო. სწორედ ასე.

ნოდარი. ხვალსდელი ვათხრები კიდევ მეტს გვეტყვიან.

გიორგი. ჰო, მზე ჩასულა, არც შემინიშნავს, სვალის-თვის რას მიზრძანებთ, კვლავ შაბათობაზე მოვიხმოს ხალხი?

ნოდარი. ბატონო გიორგი, პირდაპირ სიტყვები ვერ გვიპოვია შესაფერისი მადლობის სათქმელად.

გიორგი. ბოდიში და, მე რასაც გვკითხებით, იმაზე მიპასუხებთ!

ნინო. ხვალ ხალხი დავასვენოთ და რაც გვიპოვია, მათ კლასიფიკაციას ვიზრუნოთ.

გიორგი. კეთილი. მამ, შე ახლა წავალ და ხვალ დილით კვლავ გეწვევით, თუკი იმ თქვენს „კლასიფიკაციას“ ხელს არ შევიშლით.

ნოდარი. როგორ გვეადრებათ. ჩვენ მხოლოდ თქვენს ამდენ შექმსებას ვერიდებით.

გიორგი. რას იტყვის პატივცემული ნინო?

ნინო. ხვალ თქვენი ყოფნა ჩვენთან აუცილებელია.

ნოდარი. ბიჭოს, ასე ვაჭვეგორიულად?

გიორგი. გზააღმობთ, ნინო, ასეთი ყურადღებისათვის; უშუკვლად გვახლებით. დამე შევიღობისა. (გაღის).

ნოდარი. დროა ჩვენც წავიდეთ და დავისვენოთ.

ნინო. ვისთვის დროა, ვისთვის უდროობა.

ნოდარი. ვერ გავიგე.

ნინო. მე აქ უფრო ვისვენებ.

ნოდარი. მამ, დარჩები?

ნინო. ჰო, მცირე ხანს.

ნოდარი. კეთილი; კახა, წავიდეთ!

კახა. ნოდარ, თუ ნებას მომცემ, მეც დავრჩები.

ნოდარი. ეს რა, შოთქმულებას მიწყობთ?

გური. (ახლა გამოჩნდა). ნოდარ!

ნოდარი. ჰო, გური!

გური. მარტო წასვლით თუ გემინია, მეც მოვიდვარ და ერთად წავიდეთ.

ნინო. გური, ბოდიში, რომ ვერ შევინიშნეთ.

გური. რატომ კადრულობ, ოქროია, ჩემთვის ისიც ბედნიერებაა, რომ თქვენი ცქერისა და სმენის უფლებამომცეა.

ნინო. მარტო სმენა და ცქერა კი არა, ჩვენ თქვენი აზრობა ძალიან გვაინტერესებს.

გური. ჩემი აზრი ისაა, რომ შენისთან ქალი არც მსმენია და არც გამოვიჩინა.

ნინო. ოჰო, მაინც რაინი ვარ?

გური. იქვენ სუყველანი ხართ თუ არა დარეინისტიები?

ყველა. ან შუაშია?

გური. ხომ ხართ-მეთქი?

ყველა. ვართ!

გური. ჰოდა, ნინო რომ დარეინს ენაა, არასოდეს თვითონ დარეინი დარეინისტი არ იქნებოდა. ნინოს მნახველი არასოდეს არ იტყოდა, რომ ადამიანი მაინუნისაგან წარმოსდგათ.

ყველა. ბიჭოს!

ნინო. მადლობელი ვარ, გური, უსაზღვროდ მადლობელი!
 გური. შენ არა. (კახას). შენ თქვი მადლობა!
 კახა. მე?!

გური. არა, ლუდოვიკო მეთოთხმეტემ!.. ნოდარ, წავედით!
 ნოდარი. ძალიან ბევრს ზრუნავ სხვისთვის.
 გური. ასეა. მე ვარ ცეცხლი, რომელიც სხვას ათბობს და თავის თავს კი ნთქავს. წავედით-მეთქი!
 ნოდარი. (ცოტა დაბნეული). წავედით... წავედით!.. (ნინო და კახა მარტო დარჩნენ).
 ნინო. მარტონი დაგრიოთ!
 კახა. პო, მარტონი...

(ისინი ახლოვდებიან და გარინდებით შესცქერიან ერთმანეთს. უცებ სინბრეუში უჩინარდებიან. შემდეგ ორივე იმავე პოზაში გამოჩნდება შემდგომი მოქმედების დასაწყისში).

მომხატავს მორა

გვიზოდი მესამე

დიალოგი გარდასულთა კარიბჭესთან

ნინო. მაშ, მარტონი დაგრიოთ!
 კახა. მარტოდმარტონი.
 ნინო. თუმცა ისინიც ზომ აქ არიან, ვინც იყენენ ერთ დროს ამ ქალაქში და ახლა აღარ არიან.
 კახა. როცა გარდასულთა სამყაროს ვეწვევი, მაშინვე გულში გახმინანდება ლექსი მძლავრი და თავსარდამცემი, ეპიტაფია ყველას საფლავზე:
 „ბინდი, ნესტი და აბლაბუდები,
 წახვალ და უკან არ დაბრუნდები.
 ხავსი, მტვერი და გროვა ლოდების,
 წახვალ და არვის მოაგონდები.
 წახვალ წუხილით და სულ ერთია —
 არც შავეთია, არც სულებთია...“

ნინო. და მაინც ყოველი კაცისთვის გამოსავალ გზად იმედად რჩება ოცდაერთი წლის ჭაბუკის ლაღი-სი:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვეჭიან,
 შეიღნი სოფლისა,
 უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
 არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა

ემსგავსოს,
 იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

კახა. ხოლო აქ დამიწებულ ადამიანებს, ვინ იცის, რა ჭკინდათ გამამხნევებელ სულიერ საზრდოდ?
 ნინო. ჩვენ რომ შეგვიძლოს მათი სულის დანახვა!
 კახა. კიდევაც შეგვლებთ. აი, მათი დიდებული ნივთიერი შემოქმედება, აი, მათი ჩონჩხები; თან მოიგონე რომელიღაც ლტოლვილი მითრიდატე ეგვატორი კოლ-ნოსის ერთ ციხე-სიმაგრეს აფარებს თავს. ამ ციხე-სიმაგრეში ახლა ჩვენ ვდევართ.

ნინო. ვეღაავ... მგონი, მეც ვეღაავ... შენთან ერთად...
 კახა. ნინო.

ნინო. პო, კახა.
 კახა. (არეზნებს დიდი ქვის ლოდს). მოდი აქ დაეხსნეთ.
 ნინო. მერე?

კახა. ერთად ვიფიქროთ... ერთად ვუცქიროთ...
 ნინო. ვიწროა ეს ქვა.
 კახა. ვიწრო დავეტყვი, დაკე! (თვითონ დაკდა).
 ნინო. ააა, დავაქე! (დაკდა).

კახა. ეს ქვა კოჭის ნამუსრვია.
 ნინო. ვინ იცის, ვინ იჯდა მასზე ოდესმე.
 კახა. იჯდა წყვილი ასე... ან უფრო ახლოს.
 ნინო. უფრო ახლოს?
 კახა. პო... მომკვარ!
 ნინო. კახა. არაფერი მითხრა, სულ არაფერი! მე აქ ვიქნები.

კახა. ვარგი.
 (ხანგრძლივი დუმილი).
 ნინო. სულ ჩამოხვდება.

კახა. დაბაში სინათლეები ჩაქრა.
 (ისევ დუმილი).
 ნინო. ნეტავ მთვარე მალე ამოვიდეს!
 კახა. ამოვიდეს, ვინ უშლის!

ნინო. მოვალ შენთან.
 კახა. არა.
 ნინო. არა?! რატომ?
 კახა. იმიტომ, რომ მე თვითონ მოვალ შენთან.
 ნინო. მოდი.
 (კახა მივიდა და გვერდით დაუჯდა).

კახა. ნინო.
 ნინო. (აწვეტივნებს) არაფერი სიქვა. იჯეთ ჩემად. ვიყით მდუმარედ.

კახა. ვიყით მდუმარედ, რომ ეს ბედნიერი წუთი არ გაწყდეს.
 (ხანგრძლივი მდუმარება).

ნინო. კახა, მისმენ?
 კახა. კი, გისმენ.
 ნინო. რატომ არის, რომ ადამიანი ღამით სხვა და ღლისით სულ სხვა?

კახა. არ ვიცი.
 ნინო. რატომაა, რომ ღამით სიტყვები სხვანაირ მნიშვნელობას ღებულობენ, ვიდრე ღლისით?

კახა. არ ვიცი.
 ნინო. რა კარგია!
 კახა. რა?
 ნინო. რომ არ იცი.
 (ისევ დუმილი).

ნინო. კახა, გესმის, მგონი მერცხლებმა დაიჭიკჭიკეს!
 კახა. მესმის.

ნინო. რატომ არ სძინავთ? ახლა ხომ დამეა.
 კახა. სწორედ იმიტომ, რომ დამეა.

ნინო. რატომ იმიტომ?
 კახა. ერთურსი ეტრფიან.

ნინო. ტრფილება ღლის სინათლეს გაურბის და ღამეს ეტრფის!

კახა. ასეა.
 ნინო. მერე, რად უყვარს ტრფილს წყვილადი?
 კახა. არ ვიცი.
 ნინო. რა კარგია, რომ არ იცი!
 (ხანგრძლივი დუმილი).

კახა. ნინო!
 ნინო. პო, კახა!
 კახა. დაინახავ?
 ნინო. ყველაფერს დაინახავ შენთან ერთად.

კახა. მაშ, მე გაეძახი ათასეული წლების წიაღს... ჰეი, მიწავ, დაგვიბრუნე აწ გარდასული ჩვენებურნი!
 (საყვებით ჩამოხვდება. ნინო და კახა აღარ ჩანან. მხოლოდ მათი ხმა ისმის).

კახა. ხ მ მ. ნინო, ხედავ?
 ნინო. ხ მ მ. ყველაფერს ვხედავ. რასაც შენ ხედავ; ყველაფერს ვისმენ, რასაც შენ ისმენ; ყველაფერს ვგრძნობ, რასაც შენ გრძნობ!..

ეპიზოდური მეოთხე
ანუ
ამბავი გარდასულთა

ერთბაშად ამომართა ბრწყინვალე ცხებ-ქალაქი. იგი წველიადს მოუცავს, ძლივს მოჩანს ორი კაცის სილუეტები — ლომშერიცა და ქებიურიცა. მათი დიალოგი მკვეთრია, მკაცრი და უპეხი, სიტყვებს ისრებივით უზუნუნ ერთმანებს.

ლომშერი. ჩვენ მართლა ვვავართ ერთმანეთს ხასიათით, თვალტანადობით.

ქებიური. დიას.

ლომშერი. ჩვენ ორივენი ერთნაირად სეფეწულნი ვართ.

ქებიური. დიას.

ლომშერი. შენ ხარ ძე დიდი ხელმწიფისა, პონტოს მეფე მითრიდატესი.

ქებიური. დიას.

ლომშერი. მაგრამ ჩემი მშობელი მამაც ხელმწიფე იყო.

ქებიური. დიას.

ლომშერი. ჩვენ ორივენი ერთნაირად ვართ ძალმოსილნი, როგორც სარდალნი კოლხთა ლაშქრისა და დამცველნი ჩვენი ქალაქისა.

ქებიური. დიას.

ლომშერი. ბედისწერამ ისიც იწინაა, რომ ჩვენ ორივეს ერთი ქალი შეგვეყვარებოდა.

ქებიური. დიას.

ლომშერი. მაგრამ ის ქალი ჩემი ცოლია.

ქებიური. დიას.

ლომშერი. მაშ, შენ გიყვარს ჩემი მეუღლე.

ქებიური. დიას.

ლომშერი. და შენ იტყვი, რომ მასაც უყვარხარ!

ქებიური. დიას.

ლომშერი. იცი, ეს რას ნიშნავს?

ქებიური. დიას.

ლომშერი. ესე იგი, შენ უკვე შეურიგდი იმას, რომ მე შენ მოგკლავ!

ქებიური. დიას.

(ამ დროს მთვარემ გამოანათა და შუქი მოჭოფინა მთ-შორებით აღმართულ კოშკზე მდგარ თენებებს სილუეტს).

თენებ. (მთვარეს გარინდებით ვასცქერის. მისი ხმა არის წყნარი, ლოცვისა და სიმღერის მსგავსი):

შეხედეთ, შეხედეთ, კედება აღონისი,
ტურფა აღონისი!
თმები ჩაიშალეთ, დაწვეები იხიკეთ,
ოოო, ქალწულნი!
სამგლოვიარო თახლით მიირთვი,
ოოო, შენ ქალღმერთო!

კედება აღონისი, კედება აღონისი!
(ლომშერი და ქებიური გაშტერებით შესცქერიან).

ქებიური. თენება! (მისკენ დაიძრა).

ლომშერი. ქებიურ, შესდექ!

ქებიური. არა.

ლომშერი. შესდექ, თორემ ინანებ!

ქებიური. არა.

ლომშერი. მობრუნდი-მეთქი!

ქებიური. არა (მტკიცე, აუჭქარებელი ნაბიჯით მიდის).

ლომშერი. (მშვილდ-ისარი გამართა) ხომ შეიძლება ისარი შურგინდო დაგწიოს.

ქებიური. არა (თენებამ მიუახლოვდა).

ლომშერი. მართალია, ზურგიდან არა. (ისარი ზეცისკენ გასტყორცნა და მშვილდი ძირს დაანარცხა).

ქებიური. თენება!
თენება. ქებიურ!
ლომშერი. თენება!
თენება. ლომშერ!
ლომშერი. კარგი იქნება სისხლისღვრის მოწმე თუ არ შეიქნები.

თენება. ყოველ წუთში ქალაქი ელის მტრის შემოსევას; სისხლის წინაზე შიშისათვის ვინ მოიცალა? ლომშერი. მე სხვა სისხლს ვამბობ.

თენება. რა სხვა?

ლომშერი. ჩემი ან მისი (ქებიურზე უთითებს).

ქებიური. დიას, ლომშერ.

ლომშერი. მაშ, დადექ, ქებიურ!

(მავლით მიაშურა. ქებიურიც ასევე შეხვდა).

თენება. შესდექით!

(შემოდის მითრიდატე).

მითრიდატე. აქ რა ხდება?

ყველანი. მეფე!!!

(ლომშერმა და ქებიურმა მახვილები ჩააგეს).

მითრიდატე. რატომ ჩაავეთ მახვილები, ჩემო სარდლებო? იქნებ ვეღარც კი მოასწროთ კვლავ გამიშველმა იარაღისა, როცა მტრნი, რომაელნი, ცოფიანი მელის ნაბიჯნი, ელვისებავარად თავს დაგვტყლო-

ქებიური. ჩვენ მზად ვართ, მამა-ხელმწიფე!

მითრიდატე. რას იტყვის ლომშერ?

ლომშერი. შევეცდები, არ შევარცხნიო არც ხელმწიფე და არც სამშობლო.

მითრიდატე. მაღლობელი ვარ, ჩემო ლომშერ, ასლა წადი და ჩემს ბრძანებას დაელოდე.

ლომშერი. მესმის, ხელმწიფე... თენება!

თენება. (გამოურკვია) ჰა...

ლომშერი. წაივდი!

თენება. პო...

(ლომშერი და თენება გადიან).

ქებიური. (კარგა ხნის დუმილის შემდეგ) წაივდი!

მითრიდატე. ვინ?

ქებიური. ის... ისინი...

მითრიდატე. კარგია, რომ წაივდნენ; მე შენთან დიდი საქმე მაქვს, შვილო.

ქებიური. რა საქმე, მამა?

მითრიდატე. იმ ანთებულ კოცონებს ხედავ!

ქებიური. ვხედავ და ვიცი, რომ რომაელთა ბანაკია.

მითრიდატე. იცი, ვინაა მათი სარდალი?

ქებიური. გზეუს პომპეუსი.

მითრიდატე. პომპეუსი ჯერ იბერიიდან არ გადმოსულა.

ქებიური. მაშ, ვინ უნდა იყოს სარდალი იმ ბანაკში?

ალბათ ვინმე, პომპეუსის მარჯვენა ხელი.

მითრიდატე. დიას, და თანაც... შენი ძმა.

ქებიური. ძმა?

მითრიდატე. დიას და თანაც... ტყუპისცალი.

ქებიური. ტყუპისცალი?!

მითრიდატე. დიას და თანაც...

ქებიური. კიდევ რაღა?

მითრიდატე. ისა, რომ... შენ ის უნდა მოკლა.

ქებიური. მამა!!!

მითრიდატე. ნუ ყვირი, შვილო! მომისმინე!

ქებიური. ჯერ შენ მისმინე და მიპასუხე! საიდან არის იგი ჩემი ძმა, თან ტყუპისცალი?

მითრიდატე. როგორცა ხდება, ჩვეულებრივად. დედაშენმა ერთად მომიძლენა თქვენი თავი. ეს მოხდა

რომთან პირველი ომის დასასრულს, როცა ლუციუს კორნელიუს სულასთან ზავი შეეკარი, დარდნის ზავი. მას შემდეგ გავიდა ოცდაერთი წელი.

ქ ე ი ბ უ რ ი. რად დაგვაშორეთ ერთმანეთს? რომაელთ შორის ჩემი სიცოცხლის შენახვად საიდან გაჩნდა?

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. დარდნის ზავის ერთი პირობა იყო ჩემ ერთ-ერთი შვილის რომში მიყვალა გავზავა.

ქ ე ი ბ უ რ ი. რაღა მაინცდამაინც ძუძუთა ბაღლი გაიმეტებ?

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. სწორედ ძუძუთას ბრძანებდა რომი, რათა უთესტომოდ აყვანილი ბაღლი თვისტომიერ მგლის ნაშვირად გადაეციოთ. და აი, კიდევ აღუწერულა რომაელთა საწადელი: მოვიდა იგი, ჩვენთან ჩვენს წინააღმდეგ.

ქ ე ი ბ უ რ ი. მამ, ახლა საკითრ გახდა მისი მოკვლა!

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. განა ვე საკითხავია?

ქ ე ი ბ უ რ ი. ვიცი, ახლა ომის ღმერთის კანონმდებლობა მირძანებლობს.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. შენი ვაჟკაცობა მუდამ იყო ჩემი ნუგეში.

ქ ე ი ბ უ რ ი. წაქეზება არა შეირდება, მამაჩემო. მე მხოლოდ სხვა რამ მინდა გითხრა.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. მითხარი, შვილო.

ქ ე ი ბ უ რ ი. შენი შვილი და ჩემი ტყუპი ძმა, მოდი სხვამ მოკლას.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. ვინ სხვამ?

ქ ე ი ბ უ რ ი. ვთქვით ლომშერმა.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. ლომშერმა?

ქ ე ი ბ უ რ ი. დიახ, მამა, მისთვის უფრო უპირატესია მოკლას ჩვენი სამშობლოს მტერი და არა ღვიძლი ძმა, ან ღვიძლი შვილი.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. მაგრამ ლომშერს ხომ არასგნით არ შეუძლია შეაღწიოს რომაელთა ბანაკში და უფრო მეტი სარდალის კარავში. მის ხელთ არის მხოლოდ მცირერიცხოვანი კოლხთა ლაშქარი, რომელიც რომაელ ლეგიონებს ვერასგნით ვერ გაუმკლავდება. შენ კი, შენი ძმის ზუსტ სახიერს, რომაულ ტანსაცმელში, ლათინთა ენის დიდებულ მოადრენს, თავისუფლად შევიძლია ძმასთან მისვლა. და...

ქ ე ი ბ უ რ ი. პო, კარგი, მივხვდი.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. გმადლობ, შვილო.

ქ ე ი ბ უ რ ი. მამაადამე, გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც მე მივიკლა შვილი!

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. ისევე, როგორც მე შენ — ძმა.
(მითრიდატე მიბრუნდა. კარავა ხანს სდუმან).

ქ ე ი ბ უ რ ი. მამა!

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. (შემობრუნდა) პო, შვილო.

ქ ე ი ბ უ რ ი. არ შეიძლება რომ არ მოკვლა?

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. რას ამბობ, ქეიბურ?

ქ ე ი ბ უ რ ი. მასთან მივიღე არა ვითარცა მტერი მტერთან, არამედ ვითარცა ძმა ძმასთან.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. შენ ფიქრობ, რომ რომაელად გაზრდილი მეციხოველ კოლხურ ოქროს ვერძად იქცევა?

ქ ე ი ბ უ რ ი. მაგრამ ისიც ხომ კოლხად დაიბადა და რომაელად აქციეს. რატომ არ შეიძლება, რომ უკუღმართად გაზრდილი ისევ საწაღმართის დაბრუნდეს!

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. ძნელია, შვილო, უკუღმართის გაწაღმართება.

ქ ე ი ბ უ რ ი. ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. არ დაგაიწყებდეს, რომ შენი ზიარი კვერცხიდანაა გამოჩვეილი; თან ერთვის რომაული

ვერაგობა და გულდრძობა. ამიტომ გვიშობ, რომ გიმუხტობს, ანდა დაგასწრებს.

ქ ე ი ბ უ რ ი. არხენად იყავი, მამა.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. შენ იცი, შვილო. მხოლოდ გასოვდეს, ხელოვანური არ დამიბრუნდეს.

ქ ე ი ბ უ რ ი. გასაგებია. ახლა მითხარი, რა ქვეთა მას.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. ჩემგან გაიოზი ვერქვა.

ქ ე ი ბ უ რ ი. მამ, რომაელად — გაიუს.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. ასე იქნება.

ქ ე ი ბ უ რ ი. როდის უნდა წაივად?

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. როგორც კი მივარე ჩაიწურება თავის სხვიებში.

ქ ე ი ბ უ რ ი. მამ, მარტო დაგრჩები და დაგველოდები მოვარის ჩასვლას.

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. (მოხეხია) ოცდაორ ენაზე მიგმართავ ღმერთებს, ისინი იყენენ შენი მფარველნი!

ქ ე ი ბ უ რ ი. აგრეთვე შენიც, მამა!

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. ახლა... ჯარს დაეხედე... და დაგველოდები... გამარჯვებულს დაგველოდები...
(გაღიანი ღმერთი ნაბიჯებითა და მსხრებით ტოკვით).

ქ ე ი ბ უ რ ი. პოი, დიდებულო მითრიდატე ევასტორ, ანუ შენ, ჩემო საბარლო მამა! ამდენი უთავგამო ლაღატითა და ვერაგობით გარემოტრყმულმა როგორ შესძელ გამკლავებოთ მთელი მსოფლიოს მბრძანებელ რომს! ღალატით მოუკლეს მამა, ღალატით უპირებდნენ მოკვლას თერმეტი წლის ობოლს, ღალატობდა დედა, ღალატობდნენ შვილები, ღალატი, ღალატი! ღალატისგან დაიღალა დედამიწა, კაცობრიობა კი არ იღალატა. იქნება კი ოდესმე დრო, როდესაც აღარ ეგოდინებთ, არ არს ღალატი?
(შემოდის თენგა).

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ!

ქ ე ი ბ უ რ ი. თენგა!

თ ე ნ ე ბ ა. მე მცირე ხნით მოვედი.

ქ ე ი ბ უ რ ი. ნეტავ ვე მცირე დრო საუკუნოდ გადიქცოდეს.

თ ე ნ ე ბ ა. ნეტავ არსადროს გათენდებოდეს.

ქ ე ი ბ უ რ ი. ნუ, თენგა, ნუ იტყვი აგრე — მიძიმა ღამე.

თ ე ნ ე ბ ა. მიძიმა, მაგრამ მეშინია სვალინდელი დღის.

ქ ე ი ბ უ რ ი. რად გეშინია?

თ ე ნ ე ბ ა. არ ვიცი.
(ღუმილი).

ქ ე ი ბ უ რ ი. თენგა!

თ ე ნ ე ბ ა. პო, ქეიბურ.

ქ ე ი ბ უ რ ი. მოდი ჩემთან.

თ ე ნ ე ბ ა. შენთან? რატომ?

ქ ე ი ბ უ რ ი. ერთად დავჯავდეთ.

თ ე ნ ე ბ ა. მერე?

ქ ე ი ბ უ რ ი. ერთად ვუყუროთ მივარეს, ვარსკვლავებს.

ყოველ ღამით ცა ახალა, ყოველ ღამით ცინცხალა მივარე, ვარსკვლავები, ცთომილები, მეტეორები.

თ ე ნ ე ბ ა. კარგი... მოვედი.

ქ ე ი ბ უ რ ი. აი, აქ დაესხლეთ (ჩამოვდა დიდ ქვავზე).

თ ე ნ ე ბ ა. ვიწროა ეს ქვა.

ქ ე ი ბ უ რ ი. უფრო დავეცვივით. დაჯექ!

თ ე ნ ე ბ ა. აჰა, დაჯექი! (დავდა).

ქ ე ი ბ უ რ ი. ასე... მომეკარ!

თ ე ნ ე ბ ა. მოგვკარა? არა, არა! (გაიქცა და მახლობელ კოშკზე ჩამოვდა).

ქ ე ი ბ უ რ ი. თენგა!

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ, არაფერი მითხრა, სულ არაფერი! მე ასე ვიქნები.

ქ ე ი ბ უ რ ი. კარგი.
(ხანგრძლივი დუმილი).

თ ე ნ ე ბ ა. შუალამე დგება.

ქ ე ი ბ უ რ ი. ჰო, შუალამე.

თ ე ნ ე ბ ა. მეშინია.

ქ ე ი ბ უ რ ი. ნუ გეშინია.

თ ე ნ ე ბ ა. მთვარე ეშვება ჰორიზონტისკენ.

ქ ე ი ბ უ რ ი. ეშვება, ეშვება.

თ ე ნ ე ბ ა. ნეტავ მთვარე არ ჩავიდოდეს!

ქ ე ი ბ უ რ ი. ნეტავ, ნეტავ--

(დუმილი).

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ!

ქ ე ი ბ უ რ ი. ჰო, თენება.

თ ე ნ ე ბ ა. მოვალ შენთან.

ქ ე ი ბ უ რ ი. არა.

თ ე ნ ე ბ ა. რატომ?!

ქ ე ი ბ უ რ ი. იმიტომ, რომ მე თვითონ მოვალ შენთან.

თ ე ნ ე ბ ა. მოდი.

(ქეიბური მივიდა და გვერდით დაუჯდა).

ქ ე ი ბ უ რ ი. თენება.

თ ე ნ ე ბ ა. (აწყვეტინებს) არაფერი თქვა! იჯექი ჩუმად. ვიციტ მდუმარედ.

ქ ე ი ბ უ რ ი. ვიციტ მდუმარედ, რომ ეს ბედნიერი წუთი არ გაწყდეს.

(ხანგრძლივი დუმილი).

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ, მისმენ?

ქ ე ი ბ უ რ ი. კი გისმენ.

თ ე ნ ე ბ ა. რატომაა, რომ ადამიანი ღამით სხვაა, დღისით კი სულ სხვა?

ქ ე ი ბ უ რ ი. არ ვიცი.

თ ე ნ ე ბ ა. რატომაა, რომ სიტყვები ღამით სულ სხვა მნიშვნელობას ღებულობენ, ვიდრე დღისით?

ქ ე ი ბ უ რ ი. არ ვიცი.

თ ე ნ ე ბ ა. რა კარგია!

ქ ე ი ბ უ რ ი. რა?

თ ე ნ ე ბ ა. რომ არ იცი.

(ისევ დუმილი).

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ, მისმენ?

ქ ე ი ბ უ რ ი. გისმენ, თენება.

თ ე ნ ე ბ ა. რატომ არის, რომ ადამიანს ასეთი მწუხარე სიცოცხლისაც არ ეშინია?

ქ ე ი ბ უ რ ი. იმიტომ, რომ სიცოცხლესთან ისე ახლოა ის!

თ ე ნ ე ბ ა. რა?

ქ ე ი ბ უ რ ი. სიკვდილი.

თ ე ნ ე ბ ა. მაგრამ რატომ არის, რომ კაცს ხანდახან სიკვდილისაც არ ეშინია?

ქ ე ი ბ უ რ ი. იმიტომ, რომ მან იცის: მთელი სიცოცხლე სიკვდილისათვის სამზადისაა.

(დუმილი).

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ, გესმის, მგონი მერცხლები ჭიკჭიკებენ.

ქ ე ი ბ უ რ ი. მესმის.

თ ე ნ ე ბ ა. რატომ არ სძინავთ? ახლა ხომ ღამეა.

ქ ე ი ბ უ რ ი. სწორედ იმიტომ, რომ ღამეა.

თ ე ნ ე ბ ა. რატომ იმიტომ?

ქ ე ი ბ უ რ ი. ერთუროს ეტრფიან.

თ ე ნ ე ბ ა. ტრფიალება დღის სინათლეს გაურბის და ღამეს ეტრფის!

ქ ე ი ბ უ რ ი. ასეა.

თ ე ნ ე ბ ა. მერე, რად უყვარს ტრფიალს წყვილია?

ქ ე ი ბ უ რ ი. არ ვიცი.

თ ე ნ ე ბ ა. რა კარგია, რომ არ იცი!
(დუმილი).

ქ ე ი ბ უ რ ი. იცი, თენება, შენს მოსვლამდე რაზე ვფიქრობდი?

თ ე ნ ე ბ ა. სიყვარულზე.

ქ ე ი ბ უ რ ი. არა.

თ ე ნ ე ბ ა. მამ?

ქ ე ი ბ უ რ ი. ღალატზე.

თ ე ნ ე ბ ა. რა ღალატზე?

ქ ე ი ბ უ რ ი. ცოლი ქმარს ღალატობს, მეგობარი კი — მეგობარს.

თ ე ნ ე ბ ა. მაგრამ ღალატი ხომ არ მომხდარა!

ქ ე ი ბ უ რ ი. ჯერ არ მომხდარა.

თ ე ნ ე ბ ა. არც არასდროს არ მოხდება!

ქ ე ი ბ უ რ ი. აგრე გულდაჯერებით რად ამბობ?

თ ე ნ ე ბ ა. განა ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის?

ქ ე ი ბ უ რ ი. გვეკუთვნის და არც გვეკუთვნის, უფრორე არ გვეკუთვნის.

თ ე ნ ე ბ ა. განა არ ვიცით, რას ჩავიდნეთ?

ქ ე ი ბ უ რ ი. ვიცით და არც ვიცით, რადგან ჩვენს ზემოთ რაღაც ძალა დგას, რომელიც ჩვენს ბედს განაგებს უკითხავად.

თ ე ნ ე ბ ა. განა ჩვენ არ ვიცით, რა ძალაა ის?

ქ ე ი ბ უ რ ი. ვიცით, მაგრამ ჩვენზე ძლიერია იგი. ესაა ომი.

თ ე ნ ე ბ ა. ომი და სასოწარკვეთა.

ქ ე ი ბ უ რ ი. ხოლო სასოწარკვეთას მიცემული ადამიანზე-ნი სულმოკლეობასაც ეძლევიან.

თ ე ნ ე ბ ა. ჩვენ სულმოკლეები ვართ?

ქ ე ი ბ უ რ ი. არა. ჯერ არა.

თ ე ნ ე ბ ა. ჯერ?!.. არც არასოდეს!

ქ ე ი ბ უ რ ი. სსსუ, გაჩუდდი... რადგან არ ვიცით... არა-ფერი არ ვიცით...

(დუმილი).

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ!

ქ ე ი ბ უ რ ი. ჰო, თენება.

თ ე ნ ე ბ ა. რა უფრო ძლიერია, ქეიბურ, ნალაატევი სიყვარულით მიღებული სიტკბოება, თუ მისი უკუღმებით მიღებული სიმწარე?

ქ ე ი ბ უ რ ი. არ ვიცი.

თ ე ნ ე ბ ა. რომელი უფრო აშფვენებს ადამიანს?

ქ ე ი ბ უ რ ი. არც ვე ვიცი.

თ ე ნ ე ბ ა. ნეტავ, კარგია თუ ცუდი, რომ არ ვიცით?

ქ ე ი ბ უ რ ი. არც ვე...

(დუმილი).

თ ე ნ ე ბ ა. ქეიბურ, ხედავ იმ მთვარეს?

ქ ე ი ბ უ რ ი. ვხედავ.

თ ე ნ ე ბ ა. თითქოს სისხლი ცურავს!

ქ ე ი ბ უ რ ი. თითქოს სისხლიან თავს წააგავს, კაცის წა-კვეთილ თავს.

თ ე ნ ე ბ ა. ოოო, მართლა რა საზარელია! ნეტავი მალე ჩავიდოდეს და ჩაიწურავდეს სისხლიან სხივებს!

ქ ე ი ბ უ რ ი. ოო, არა, არა, ნეტავ მალე არ ჩავიდოდეს! ნეტავ არასოდეს ჩავიდოდეს!

თ ე ნ ე ბ ა. რატომ, ქეიბურ, რად გინდა ეს სისხლიანი მზა-თობა?

ქ ე ი ბ უ რ ი. ის რომ ჩავა, ჩვენს დავმორღებით ერთმა-ნებს.

თ ე ნ ე ბ ა. დავმორღებით?! რად დავმორღებით?

ქ ე ი ბ უ რ ი. მთვარე რომ ჩავა, უნდა წავიდე.

თ ე ნ ე ბ ა. სად?

ქ ე ი ბ უ რ ი. რა ბედენაა? ახლა ხომ ომია.

თენებ ა. მამ, უკვე დამდგარა წასვლის კამი, — მთავრე სულ დავკრა პორიონტს.

ქეიბურ ი. მთავრე ჩადის, ბნულდება. შენ რჩები და წყვილიაღმი რალამ გამინათოს?

თენებ ა. რას შეუძლია გიჩირაღდნოს და გიწინამძღვროს?

ქეიბურ ი. შენს ამბორს.

თენებ ა. აპა, ქეიბურ! (პკოცის).

ქეიბურ ი. ოო, თენება, თენება, თენება!
(ხელებს უკოცის და მიღის).

თენებ ა. (მარტო) შენ წაბველ და შეიძლება ვერასოდეს მიხილო. შენთან შეყარამდე მე შევეცდები ალვასრული უწმინდესი განზრახსლება. განა არ მომხდარა, უმწიო ქალს თავისი სუსტი სიტოცხლისა და გონის გაწირვით დაეხსნას მოყვანის და სამშობლო წმინდათა წმინდა. თუნდაც ივეითი, რომელმაც თავი წარკვეთა ასირიელთა სარდალ ოლოფერნს და დაისხნა ქვეყანა ბაბილონის... ოოო, რა სადღესასწაულო იერი აქვს ამ სურათს! მიეხებლა სუეტისა მიმართ, რომელ იყო თავსა თანა სარეცლისა მისისა, და მახვილი მისი, მას ზედა შეკრული აღმოსდა ქარქაისაგან, უპყრნა თმანთა თავისა მისისანი, დასცა მახვილი ქვედა მისსა და მოჰკუთნა თავი მისი და აღიღო კრეტსამგელი სვეტისაგან და შეჰხვია მისორი მისი უთავო!...
(შემოდის ლომშერი).

ლომშერი ი. თენება!

თენებ ა. ლომშერი, მოხველ?

ლომშერი ი. მოვედი, რომ გამოგეთხოვო.

თენებ ა. არა, მე უნდა გამოგეთხოვო.

ლომშერი ი. კარგი, ერთმანეთს გამოგეთხოვო.

თენებ ა. შენ ხელმწიფე და ლაშქარი გიციდის; მე კი უფრო შორი გზა მიძევს.

ლომშერი ი. მე სწორედ მისთვის მოვედი, რომ ერთხელ კიდევ შევეცადო და ხელი ავადლებინო შენს გადაწყვეტილებაზე.

თენებ ა. კიდევ გეუბნები, მხოლოდ სიკვდილს შეუძლია ჩემი შეჩერება.

ლომშერი ი. გთხოვ, ვითარცა ვაჭკაცი თხოვს ქალს და მოვიტხოვ, ვითარცა ქმარი მოითხოვს ცოლისაგან.

თენებ ა. ქალს, რომელსაც ასეთი რამე გადაუწყვეტია, ვერ თვინიერ ჰყოფს ვერცა ზეცა, ვერცა ქვესკნული, ვერცა თხონითი და ვერცა მოთხოვნი.

ლომშერი ი. მე საესებით კიდევ არ მჯერა, სამშობლოსადმი სიყვარული იყოს მიზეზი შენი ასეთი თავგანწირვისა.

თენებ ა. ვაგლახ, რომ ამდენხნა ვერ შეგვიცნია შენი მუდღე.

ლომშერი ი. სწორედ იმიტომ, რომ ერთ სარეცლის მოზიარეთ ერთმანეთი აქამდე ვერ შეგვიცნია, შენ შეუღდევი გზას სიკვდილისას.

თენებ ა. თუ გნას დასხნას?

ლომშერი ი. შენ გულისხმობ სიკვდილის გზით თავის დასხნას... ჩემგან თავის დასხნას.

თენებ ა. არა, ლომშერი, მე გულისხმობ სამშობლოს დასხნას.

ლომშერი ი. ოოო, თენება, სიყვარულს არ გთხოვ, ოღონდ მართალი, მართალი მიიხარ!

თენებ ა. მართალი გითხარ, გვეცივები.

ლომშერი ი. საფიქრად რა გავქვს?

თენებ ა. ჩვენი წმინდა სარეცელი.

ლომშერი ი. (იმედით სახეგანაბრებული) შენ შეგიძლია გამიშორო?

თენებ ა. გფვიცები ჩვენს განუყოფელ, წმინდა სარეცელს!

ლომშერი ი. (აღტაკებული) მამ, შენ გიყვარვარ?

თენებ ა. მე გვ არ მიქვამს.

ლომშერი ი. (გაოფნებული) მამ, არასოდეს არ გყვარებივარ!

თენებ ა. არ ვიცი, რა ურქვა იმ გრძნობას, რაც შენის ხილვით მიტაცებდა მანამ, სანამ გავხდებოდი შენი მუდღე. მე მგონა, სწორედ ეს იყო სიყვარული. ახლა კი როგორ არ ცვდილობ, მაგრამ მაინც ვერ იქნა და ვერ გაივსენ რა გრძნობა იყო ის გრძნობა და საბოლოოდ დავეწმუნე, რომ ჩემთვის ქორწინების ასაკი სიყვარულის ასაკზე ნაადრევი ყოფილა.

ლომშერი ი. და სიყვარულის ასაკი მაშინ გამოგანგანდა, როცა იხილე „ის“!

თენებ ა. დიახ.

ლომშერი ი. რით მჯობია „ის“?

თენებ ა. არაფრით. თქვენ თითქოს ერთმანეთს გავხართ. ერთიმეორის ტოლს არავითარ არ უღებთ, მაგრამ მას აქვს ერთი უპირატესობა.

ლომშერი ი. რა უპირატესობა?

თენებ ა. იგი შექნა ჩემთვის ისეთი, რაც შენ იყავი ჩემთვის ჩვენს შეუღლებამდე.

ლომშერი ი. მაშ, ქორწინებამ მოკლა ჩვენი სიყვარული?

თენებ ა. ნურც გაიყვირებ, რადგან სიყვარული სიკვდილთან წილნაყარი გრძნობაა.

ლომშერი ი. თუ ეს ასეა, რაღად იფიცავ იმ ჩვენს სარეცელს?

თენებ ა. იმიტომ, რომ იგი არის წმიდათა წმიდა, შეუწყვეტილი და შეუბღალავი.

ლომშერი ი. ეს ყოველივე ხომ ნიშნავს იმას, რომ მე შეკუთვნი?

თენებ ა. ბეკუთვნი, მაგრამ მხოლოდ სხეულით, ხოლო სულით...

ლომშერი ი. სულით... „იმას“!

თენებ ა. არც ერთი სიტყვა აღარ მიიხრა „იმის“ შესახებ. „იმას“ შენს ბაღში ყვავილი არ მოუწყვეტია. კვლავ გიმეორებ და სიკვდილის კარამდე გწამდე: ჩვენი ცოლმეორული სიწმიდისათვის არასოდეს მიღალატინა და არც ამასდროს უღალატებ, სანამ ვხუნთქვამ ქვეყანაზე. მე მგონია, ეს ყველაფერი აპატისანი ვაჭკაცისათვის.

ლომშერი ი. მე ვიცი, რაც ანგრევს ჩვენს ოჯახს. ესაა ომი.

თენებ ა. პო. ომი.

ლომშერი ი. რაც ქვეყნად საომარი ყოფინა ბატყვება, ძლიერი არა ქვეყნისანი უხუნონი ხდებიან და სულ მალე — მდამიონივ მათი მიზანით.

თენებ ა. „იმისგან“ შორს ჩაიხი უხუნობა.

ლომშერი ი. თუ ომის დამთავრებას მოვეწვარი, მაშინ გავუსწორებდი, მანამდე კი ნება არა მაქვს.

თენებ ა. ომს მამაკაცივ იწყებენ, თითქოს ისინი ომით კიდევაც ერთობიან. ხოლო ქალი არს პირველი მსხვერპლი ომის გზით მტრისათვის სიღუპკრისას.

ლომშერი ი. სწორედ ქალის უხუნობით ვტყურობობთ, რომ ქვეყანა აირია და დანგრევის უფსკრულისაკენ დაქანდა.

თენებ ა. მამაკაცები პასუხს აგებენ ამქვეყნიურ წესრიგზე და უწესრიგობაზე, ზნეობაზე და უხუნობაზე... და დედუკაცთა მოღმის სისუბტაკესზე და გარყვნილებაზე, მაგრამ იცდენ, ჩვენს ოჯახს ვერ დაანგრევენ თვით არესი, უხუნანესი ომის ღმერთო!

ლომშერი. გამაღობ, თენება!
 თენება. გამაღობ მეც, რომ გამიგე, ჩემო მეუღლე!..
 ახლა კი დროა გავეშურო.
 ლომშერი. ეს საბოლოოდ...
 თენება. (აწყვეტილებს) საბოლოოდ, არც ერთი სიტყ-
 ვა, არც თხოვნა და არც მოთხოვნა!
 ლომშერი. ოო, თენება, როგორ შეაღწევ?
 თენება. როგორც იგიდითი ოლოფერნთან.
 ლომშერი. შერე, შენ შესხლებ?
 თენება. მწამს, რომ შევძლებ. მწამს, ყველა იხილავთ
 დიდ სახილველს: „განახევებ ბჭენი, რამეთუ ჩვენთან
 არს უფალი ღმერთი, და აღმოიღო ტომარაკითგან
 თავი ოლოფერნისა...“ ასე იქნება! შე თქვენ მოგი-
 ტანთ გამარჯვებას!
 (სასწრაფოდ გადის).
 ლომშერი. თენება! თენება! შენ არავის არ ეკუთვნი ამ
 ქვეყანაზე, არც მე, არც „იმას“. შენ ეკუთვნი ზეცას,
 მხოლოდ ზეცას!!!
 (სულ ჩამობნულდა).

მოკავება ანასა

ეპიზოდი მეხუთე

კვლავ დიალოგი გარდასულთა
კარიბჭესთან

ნინო და კახა.

ნინო. კახა!
 კახა. პო, ნინო.
 ნინო. მეშინია.
 კახა. რისა?
 ნინო. იმისა, რაც უნდა მოხდეს.
 კახა. მდგომარეობა ისე დაიძაბა და დაიხლართა, შიშ-
 სთვის ადგილი აღარ რჩება.
 ნინო. ახლა რა მოხდება?
 კახა. ის, რაც საერთოდ ხდება სიკვდილ-სიცოცხლის სა-
 სტიკი ლოგიკით.
 ნინო. თუ სიყვარულის ლოგიკით?
 კახა. მაგრამ სიყვარული ხომ სიკვდილთან წილნაყარი
 გრძობა ყოფილა!
 ნინო. პო, ასე ყოფილა... რას არ ვფიქრობ... ფიქრებით
 გავივებ.
 კახა. ასეა სიცოცხლე, ფიქრებით სავსე.
 ნინო. ნეტავ მალე გათქნდებიოდეს!
 ნინო. ოო, როგორი ხარ.
 (ღუმელი).
 კახა. შეწვივით თუ განვარძოთ?
 ნინო. განვარძოთ, განვარძოთ.
 კახა. იცოდ, ფინალი სახარელი იქნება.
 ნინო. მეშინია, მაგრამ ქალში შიშზე უფრო ძლიერია
 ცნობის წაიცილი.
 კახა. მაშ, განვარძოთ.
 ნინო. იმათ განავარძონ და ვნახოთ, როგორია ლოგიკა
 სიყვარულისა, ანუ სიკვდილთან წილნაყარი უძღვე-
 ლი გრძობისა.
 კახა. აი, შეხედე, მითრიდატე და ლომშერი უმაღლესი
 გოდოლიდან გასცქერიან სივრცეს.
 ნინო. ვხედავ.
 კახა. თუ გრძობ, რომ ისინი ვიდაცას მოუთმენლად
 ელოდებიან?
 ნინო. ვგრძნობ

კახა. და ცალკეულად არც ერთმა არ იცის, ვინ რომელს
 ელოდება.
 ნინო. არ იცინა.
 (ისმის თენებას შორეული ხმა: „ეპიკევიით!!!“).
 კახა. გემის ქალის ხმა?
 ნინო. მესმის.
 კახა. აბა, შეხედე და არ შეშინდე!
 ნინო. ჩვენ ვხედავთ, მაგრამ ისინი თუ ვხედავენ ჩვენ?
 კახა. არა, ისინი მკვდრები არიან.
 ნინო. რა კარგია, რომ მკვდრები ცოცხლებს ვერა ხე-
 დავენ!
 (ნინო და კახა გაუჩინარდნენ).

ეპიზოდი მეექვსე

აღსასრული გარდასულთა

მითრიდატე და ლომშერი, შემდეგ — თენება.

თენებას ხმა. ეპიკეპი, კოლხებო!!!
 მითრიდატე. ვინ არის ეს ქალი?
 ლომშერი. თენება.
 მითრიდატე. შენი ცოლი!
 ლომშერი. დიახ, მეყვე.
 მითრიდატე. ახლა, ასეთ დროს, საიდან მოდის?
 ლომშერი. ახლავ წარადგება შენს წინაშე და თვით
 მოგასხენებს.
 თენებას ხმა. განახევებ ბჭენი, რამეთუ ჩვენთან არს
 ღმერთი უზენაესი!
 მითრიდატე. ჰეი, გუშაგო, განახევებ კარნი!
 (შემოდის თენება. ხელთ უყრია ქსოვილის ჩანთა).
 თენება. ჩვენთან არს ღმერთი!
 ლომშერი. თენება!
 მითრიდატე. რას იტყვი, ქალო?!
 თენება. მე მოგიტანეთ გამარჯვება!
 მითრიდატე. რა გამარჯვება? აბა, გვიამბე!
 თენება. მე იქ ყავი.
 მითრიდატე. სად?
 თენება. მტრის ბანაკში, რომელთა სარდლის კარავში.
 ლომშერი. როგორ შეაღწევი?
 მითრიდატე. არასოდეს არ აშენებულა ისეთი ციხე-
 სიმაგრე, რომელშიაც ვერ შეაღწევს ლამაზი ქალი.
 შენ სხვა სიტყვი, ქალო: რა იხილე რომელთა სარ-
 დლის კარავში?
 თენება. გუშაგებმა ამხედ-დამხედეს, გაიციინეს და გა-
 მატარეს. შევედი კარავში. ჩირაღდან ჩამქრალი
 იყო. პირველი, რაც შევინახე, იყო სარკმელთან და-
 კიდებული დიდი რომაული მახვილი; მისი ტარი
 ოდნავ ბრწყინავდა შორეული რიყნაჭის შუქზე. ვჭკა-
 რობდი, გათენების შემზინდა. მიმოიხედე. ტახტზე
 კაცი იწვა. უჭკველად ის, ვინც მე მინდოდა. მახვი-
 ლი ჩამოვიღე და გავამიშველე. მივედი, სულ ახლოს
 მივედი. წამით დავაკეპრდი. ჩემსკენ ზურგიით იწვა.
 მე მხოლოდ კისერს ვხედავდი. მახვილი ორივე ხე-
 ლით ამდგამრთე და მოვიქნეი... ოოოო, ღმერთებო!..
 ლომშერი. დაასრულე, თენება!
 თენება. დავასრულებ, მაგრამ მოიცა! სად არის ქეი-
 ბური? რატომ არ არის თქვენს შორის ქეიბური?
 მითრიდატე. განავრძე, ქალო, ქეიბური ლაშქართა-
 ნაა.
 თენება. პო, სად გაეჩრდი?

თენეება. პო, დავკარი, მახელი დავკარი... მერე თმებში ხელი ჩაჭყიდე და... თავიც ამყვა... წამით თვალით დამინხლდა. ადამიანის მკვდარი სახის შემეშინდა. ამიტომ სახეშიც არ შემიხედავს, უცებ ჩავაგდე ტომარაში!

ლომშერი. თენება, რას გაუქმლი!
თენეება. მე უარესსაც გაუქმლი!
ლომშერი. უარესი რაღაა?!

თენეება. როცა გაყვნილი მუსლინი შედარი და კარბისაკენ ნაბიჯი წარუვდეი, ღრმა სუნთქვა გვიგონზე, ოხერის მაგვარი. წამით სისხლი გაშეყინა. ხუთუ უთავო გვამი ოზრავდა?

მითრიდატე. } უთავო გვამი?
ლომშერი. }
თენეება. არა, სხვა იყო.

მითრიდატე. } ვინ სხვა?
ლომშერი. }
თენეება. თვალი მოვაველე და შევნიშნე, კარავში მეორესაც ვინა.

მითრიდატე. } მეორეს?
ლომშერი. }
თენეება. შეძრწუნებულმა როგორ მივაგენ კარებს, აღარ მახსოვს. გარეთ გამოვყარდი. გუშავთა სიცილმა გამომაცილა. მოგრბოდი, მოგრბოდი. ხელები დამიმძიმდა; მკლავები დამაწყვდა; ოთო, რა მიმიზე ყოფილა თავი ადამიანისა!

მითრიდატე. სად არის იგი?
თენეება. აი, იგი!
(თენება აწოდებს ჩანთას. მითრიდატეს ჯერ წინ გადადგმული ნაბიჯი და გაშვებული ხელები გაურინდდა. მერე როგორც იქნა შეინძრა და ჩანთა ძლივს ჩამოართვა.)

მითრიდატე. შვიდი დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ჩამთვლიმა და ვნახე სიხზარის უსაშინელები... და ვაი, თუ განიზივნება ბედისწერისა ახლა, ამ წუთში ადგსრულოს!.. (ჩანთაში ხელი ჩაჰყო, ჩაჩხედა და დაიღრიალა) აღსრულებულა!!!

თენეება. } რა მოხდა?
ლომშერი. }
მითრიდატე. თუ იცი შენ, უბედურო ქალო, ვინ მოაკალა?!

თენეება. } ვინ?!

მითრიდატე. ჩემი შვილი!!!

თენეება. } შვილი?!

მითრიდატე. ჩემი ქებური!!!

თენეება. } ქებური?!

(ორივენი მივარდნენ ჩანთას.)
თენეება. ააააა, მართლა შენა ხარ, ქებური!!!
(თენება ქანდაკებად იქცა.)

მითრიდატე. არა, ქალო, შენ როდი მოაკალ... ბედისწერამ მომიღლა შვილი, ბედისწერამ... მითრა, მითრა!.. ანანკე, ანანკე!..

(მითრიდატე დაეცა. ხანგრძლივი დუმილი შორეული საომარი ნადარის ცეცხმ დაარკვია.)
ლომშერი. მეფეო!
მითრიდატე. (ძლივს გამოერკვა) რაო?!

ლომშერი. საომარი ნადარის ხმა გვიახლოვდება!
მითრიდატე. (შორეული ხმით) მაგრამ მე რომ შევილი მომიკვდა და ცრემლი კი გაშრა!

ლომშერი. ნუ გაგიწყვდება, რომ ხარ ხელმწიფე!
მითრიდატე. მაგრამ მე ხომ აგრეთვე ვარ მამა და...
შვილი მომიკვდა!

ლომშერი. უპირველესად შენ ხარ ხელმწიფე.
მითრიდატე. მაგრამ მე ხომ შვილი მომიკვდა!.. და ცრემლები!

ლომშერი. რომაელები ახლოვდებიან!
მითრიდატე. მაგრამ მე ხომ შვილი მომიკვდა!.. ცრემლები, ცრემლები, თორემ დავინჩხე!!!

ლომშერი. (მუხუხვით ხმით) ხელმწიფეო!!!
მითრიდატე. (თითქოს გამოერკვა) ეს ბავშვი მისი ტყუპის ცალ ჰგავდა, მაგრამ მაინც გამორჩეული იური ჰქონდა. არავინ იცის ვისი სისხლი დაედინება ამ ჩემს ძარღვებში, სპარსის, ბერძენის, მაკედონელის, იბერიელის თუ კოლხიდელის! მაგრამ ეს კი უქვეველი ვიცი, რომ ეს საბრალი ბიჭუნა კოლხი იყო სულით და ხორცილ. მას დედის თვალები ჰქონდა, თვალები ტრუნვა კოლხი ქალისა; ვაი, შვილო, თვალეში როგორ დაგხუტვია!.. მაღალი, გონიერი შუბლი ჰქონდა; ვაი შვილო, შუბლი როგორ გაგათვრებია!..

წამლისფერი ხუჭუჭა თმები ტვინად ეყარა; ვაი შვილო, თმები როგორ გაგანაცვლია!.. თეთრ-ყრმეში დაწვები ჰქონდა; ვაი, შვილო, როგორ ჩაფერფლილა შენი დაწვები!.. შვილო!!! შვილო!!! შვილო!!!
ლომშერი. გონს მოდი-მეთქი, დიდი ხელმწიფეო, შენ, მითრიდატე ევპატორო, შენ, ღვთაებრივო დიონისეო! აღსდქე! მკვდრეთით!

მითრიდატე. (ვისს მოვუო) ლომშერ, შენა ხარ?
ლომშერი. მესმის, ხელმწიფეო.

მითრიდატე. რა ხდება ლომშერ?
ლომშერი. რომაელები, ხელმწიფეო!

მითრიდატე. რომაელები? (სასწრაფოდ ფეხზე წამოიჭრა.)

ლომშერი. უკვე მოადგნენ ჩვენს ციხე-ქალაქს!
მითრიდატე. მაშ, ჩავეგე, ლომშერ! ნახსი თუ არ გეყოს, საშვეყების კარნი ვანახე და ნადირნი და ფუტკარნი მიუსიე მტერს. ხოლო ჩემ შვილს და ვაჟინებდა და იმ წამსვე მოგაშველები!

(ჩანთა აიტაცა, გულში ჩაიკრა და გაიქცა.)
ლომშერი. მესმის, ხელმწიფეო.

(მახვილი გაძირო და მეორე მხარეს გაურინარდა. ისმის ძლიერი საომარი ყვირი, იარაღის ზათქი და ზრიალი... ქანდაკებადქცეული თენება მარტო დარჩა. დიდი ხნის შემდეგ იგი თითქოს გაიცოცხლა.)

თენეება. დღერთობო, იქნებ თქვენ მიპასუხობო, მე მართლა მოვკლა ქებიური, ჩემი სიცოცხლე? მაგრამ მე ხომ ვცოცხლობო! მაშასადამე, ცოცხალია ქებიურიო! მე მას მოგვამობო, იგი მოვა და სუყველანი დარწმუნდებიან ჩვენს სიცოცხლეში!.. (დარბის და ყოველი კოშკიდან გადასასმის) ქებურ! ქებურ! ქებურ... (უცებ შეჩრდა და დააშტერდა) აი, ისიც, ჩემი ქებურიო!!! პა, პა, პა, პა, კიდევ იტყვიან, რომ მკვდარიო? ქებურ, აქეთ, შე გვიხამი, შენი თენება! არ ესმის! საომარი იბერიელი სენგნა აშხობს! ქებურო, ააა, შემოხმედა, ჩემსკენ მიდის! გზას სიოკვლეებს! კედლს მოადგა, ამოსვლას ლამობს!.. დღერთობო, ლომშერმა მიაშურა!

ვაპ, თუ შეაწყვდნენ ერთიმეორეს ჩემი გულისთვის! ლომშერ, შესდექი!!! ქებურ აქეთ!!! (უცებ თოჯის კიბე აიტაცა და კოშკიდან გადაისროლა) აი, ახოდის ქებიური, ჩემი ქებური, ჩემი, ჩემი!..

(კოშკზე ამოიშრათა და გადმოხტა ვაიუსი.)
გაიუსი. ოო, იუპიტერ, ისევე ქალი!

თ ე ნ ბ ა. ქეიბურ, შენა ხარ?... თუ არ ხარ...
გ ა ი უ ს ი. კეპურუს, ფრატერ მეუს, ჩემი ძმა, მოკლა შენ, ქალმა.

თ ე ნ ბ ა. (სამწიფად ვაოვნებულო) მამ, შენ არა ხარ ქეიბური! შენ მისი ძმა ხარ!

გ ა ი უ ს ი. შენ არის ქალი, ვინც კაპუტ დევიცი, თავი მოკვეთა ჩემი ძმა კეპურუს!

თ ე ნ ბ ა. (თავზარდაცემული) ყველაფერი ნათელია, ნათელია, ნათელი! ღმერთებო ეს რა ჩამიდენია!!!

გ ა ი უ ს ი. შენ კარგი ქალი, როგორც ქალღმერთი, პუელა კვამ დავა! მიდი გაკვირ, ქალო.
(გაიუსი ცდილობს თენებას მოეხვიოს).

თ ე ნ ბ ა. არ მომეკარო!!!

გ ა ი უ ს ი. ყვირილი არა, ქალო! შიში არა, ქალო!
(ძალით ეხვევა. თენება იბრძვის, უცებ ლომშერი გა-მოჩნდა).

ლ ო მ შ ე რ ი. შესდექ, რომაელო!

გ ა ი უ ს ი. ოო, ბარბარუს!

(იბრძვიან. უცებ შემოიჭრა მითრიდატე).

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. შესდექით!

(ლომშერმა მახვილი დაუშვა და გაიუსამც მკერდში აძგვრა. ლომშერი დაეცა).

თ ე ნ ბ ა. ლომშერ!!! (შეკვივდა და მის გვამს დაეშო).

ლ ო მ შ ე რ ი. თენება!.. სულ ჩამოხეულდა... ჩემი სამშობ-ლის ცაზე ჩამოხეულდა (ვედება).

თ ე ნ ბ ა. ოო, ლომშერ, ლომშერ!!!

(მითრიდატე და გაიუსი ერთმანეთს თვალთ შომა-ვენ).

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. რომში, მარადიულ მსოფლიო ქალაქში, დალტე და მუხანათობა კარგი გისწავლია. მომილო-ცავს, შეგილო ჩემო!

გ ა ი უ ს ი. შეგილო? პა, პა, პა, პა! სენექს დეტესტაბილის, საზუსტადი ბუბერი! (მახვილით შეუტია).

მ ი თ რ ი დ ა ტ ე. უძღებო შეგილო, ეგ ბოროტი სიცოცხლე შენ ჩემგანა გაუქვს ნაწუქარი, ახლა ნება მაქვს წავაბრ-თო იგი. (იბრძვიან. მითრიდატემ მოპირდაპირეს მახ-ვილი აძგვრა, ასწია და კოჭოდან გადასჩენა). პა, რომაელნო, თქვენი სარდალი! მე კი ახლა მივიღიარ-ბოსფორს; იქედან მალე დავბრუნდები ახალი სამო-ბრი ჩირაღდნებით ხელში!

თ ე ნ ბ ა. აღარც შენა ხარ, ძვირფასო ლომშერ! გულდა-წყვეტილი რატომ გამშორდი? იგი ხომ ჩემი სულით მოკვალა! მე ის მიყვარდა, მაგრამ მე მანც შენ გე-კუთვნიდი. თქვენ ორმო ვიყავ ჩასახლებული: მასნი სულით და შენში სხეულით, ახლა აღარც მე ვარსე-ბობ, რადგან აღარ არსებობთ თქვენ და აღარ არის ჩვენი სამშობლოც, ჩვენი ტკბილი სავანე და სამკვიდ-რებელი.

(მოხსნის გამაყრუებელი საომარი ყვირა. თენება წამოიშრება და გახედა).

კიდევ გამოჩნდნენ რომაული ლეგიონები! ყველამ რომ ერთად ისარი ტყორცნოს, მზე დაბნეულდება. მოდის, მოდის დიდი სენი ჩემი ქვეყნისა; ჩემო სამშობლოც, რამ ვიმეურნალოს ამიერიდან?! თუმცა გვასწავლის ბრძენი დიადი: რასაც წამალი ვერ განკურნავს, რკი-ნა ვერ განკურნავს, ცეცხლი განკურნავს!

(უკერძად ჩირაღდანი აიტაცა, ისროლა და თვითონაც გაუჩინარდა. ხანძარმა მოიცვა ყოველივე. ბოლოს, უძღლეს კოჭაზე გამოჩნდა სადღესასწაულოდ შორ-თულ-შემაკამული თენება).

თ ე ნ ბ ა. ლომშერ, ქეიბო, შემომგვებთ, ზარ-ზეიმით მოგპირივარ, თქვენსენა!.. შენც მომისმინე, კატა მოდ-

გამე, ვინც ოდესმე თაობათა ცვალებადობით დიბა-დები გაზოა წივადში! თუ კი ოდესმე თქვენთაგანი ამ ჩვენს ტანჯულ ძელებს დამიწყებამდე დღემამოწიდან ამიყრის და ერთხელ კიდევ მზეს დაანახვებს, მანვე იწამოს, რომ პატარონი ამა ძელებისა თქვენებრ წუხ-დნენ და ხარობდნენ, თქვენებრ ტირილდნენ და იცინო-დნენ, თქვენებრ სულდათ და უყვარდათ! და უფრო-რე, თუ თქვენ იხეული ჩვენი სამშობლოს სუფევამქნი-ლი მოქალაქენი, მოგვიფრებდეთ და გახსოვდეთ, რომ ჩვენც ვიყავით მსგავსი სახისა თქვენისა, მსგავსი ხორცისა თქვენისა, მსგავსი სისხლისა თქვენისა, მსგავსი სულისა თქვენისა!.. ჩვენც გვეწეროდა თავ-ზე ვეყვანა, მაგრამ ზნეობა უზნეობით არასოდეს არ შეგვიცვლია!..

